პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმომწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის— 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დღიური

- დაიხურა საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ყრილობა.
- სტუდენტების მღელვარება მექსიკაში.
- საფრანგეთის მთავრობამ პროტესტი განუცხადა ამერიკას საბაჟო ტარიფების გადიდების გამო.
- ვენის პოლიციის მზადება სამოქალაქო ომის შემთხვევისათვის.
- ბერლინის, ლონდონის და პარიზის პოლიციის უფროსთა თათბირი.
- ვარშავის საავადმყოფო კასების ყრილობის დაშლა.
- რუმინელი რევოლიუციონერი პაუკერი 87 დღეა შიმშილობს.

შაბათი, 15 ივნისი 1929 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 135 (2481)

მაგდებურგი—ვედინგი

ამას წინად მაგდებურგში დამთავრდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ყრილობა. ამჟამად კი ბერლინის ერთ-ერთ განაპირა მუშურ ცენტრში, ვედინგში, სადაც მაისის დღეებში სისხლის მღვრელი საბარიკადო ბრძოლა სწარმოებდა, მიმდინარეობს გერმანიის კომპარტიის ყრილობა. მაგდებურგი და ვედინგი ორი ერთმანეთის უარმყოფელი ხაზია, რომლითაც მიემართა გერმანიის, აგრეთვე მთელი კაპიტალისტურ მსოფლიოს ცხოვრება. სოციალ-დემოკრატიამ მაგდებურგში ჩამოაყალიბა ბურჟუაზიული წყობილების დაცვის, რევოლიუციონური მოძრაობის განადგურების და იმპერიალისტური პოლიტიკის პროგრამა და ტაქტიკა, ხოლო კომპარტია ვედინგში, შექმნილ პირობებთან შეფარდებით, იმუშავებს საშუალებებს მასების მობილიზაციისათვის კაპიტალის შემოტევის, ომის საფრთხის და მოღალატე სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ და ამზადებს ნიადაგს გენერალური კლასობრივი გამძლეობისათვის კაპიტალის ბატონობის დასამხობად, პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად.

გერმანიის ბურჟუაზიის მთელი პოლიტიკა დიდ კლასობრივ შეხლა-შემოხლას აუცილებელს ხდის. კაპიტალისტური რაციონალიზაცია, მუშების უსაზღვრო ექსპლოატაცია, ხელფასის შემცირება, სამუშაო დღის გადიდება, უმუშევრობის სწრაფი ზრდა, რასაც ჩვენ ვხედავთ გერმანიაში, პროლეტარულ მასებს რევოლიუციონურ მოქმედების გზაზე აყენებენ. ასეთი მეთოდებით ბურჟუაზია ცდილობს განამტკიცოს თავისი მდგომარეობა არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ დაიბრუნოს მსოფლიო ომის დროს დაკარგული ეკონომიური და პოლიტიკური პოზიციები უცხოეთში. მუშების ხარჯზე აიაფებს სამრეწველო პროდუქციას, რომ სხვა ქვეყნებს მეტოქეობა გაუწიოს და საზღვარგარეთის ბაზრები დაიპყრას, ამავე დროს გერმანიის აღორძინებული იმპერიალიზმი ჯავშნოსნებს აგებს და იარაღდება. ამას უნდა დაემატოს რეპარაციების სიმძიმე, რომელიც მხოლოდ მუშათა მასებს აწვებათ ზურგზე. გერმანიის სახალხო მეურნეობის მინისტრმა კურციუსმა გულახდილად განაცხადა, რომ მთავრობა აპირებს სოციალურ დაზღვევის შეკვეცას, რომ სარეპარაციო გადასახადების გაღება შეესძლოთ. ესაა ახალი თავდასხმა პროლეტარიატის იმ მცირეოდენ მონაპოვრებზე, რომლებიც მას კიდევ შერჩენია. ამასთან აღსანიშნავია, რომ გერმანიის ზოგიერთი წრეები ძველებურად აწარმოებენ ვაჭრობას ანტანტასთან ანტისაბჭოთა ბლოკში გერმანიის მონაწილეობაზე მისგან სამაგიეროდ რაიმე დათმობების მისაღებად. ამ მხრივ ერთხელ კიდევ გვაფრთხილებს კოულმანის და რეხბერგის უკვე გამომჟღავნებული საიდუმლო მოლაპარაკება პარიზის სარეპარაციო კონფერენციაზე.

როგორია სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულება მთელ ამ პოლიტიკასთან? ამაზე, სხვათა შორის, გარკვეული პასუხი გასცა მაგდებურგის ყრილობამ. მან მიიღო კაპიტალისტური გერმანიის შეიარაღების პროგრამა და ამგვარად მენშევიკებმა ოფიციალურადაც გამოაცხადეს თავი „მშობლიურ“ იმპერიალიზმის გამტარებელ პარტიად. ამავე დროს, ცხადია, შეიარაღება მათ ესაჭიროებათ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ინტერვენციისათვის. შინაური პოლიტიკის დარგში მაგდებურგი აშკარად დაადგა ფაშისტურ დიქტატურის გზას. ველსმა პირდაპირ აღიარა ყრილობაზე: „თუ რესპუბლიკის მტრები მოახერხებდნენ დემოკრატიისათვის ისეთი დიდი ზიანის მიყენებას, რომ ერთად ერთი გამოსავლად დიქტატურა დარჩენილიყო, მაშინ ს.-დ. და პროფკავშირები, პასუხისმგებლობის სრული შეგნებით და ურყევი დისციპლინის შენარჩუნებით, იძულებული გახდებოდნენ დიქტატურის მეთოდებისათვის მიემართნათ“. მენშევიკების „დემოკრატია“ სხვა არა არის რა, თუ არ კაპიტალისტების ბატონობა მუშათა კლასზე; ბურჟუაზიული „დემოკრატია“ ამ ბატონობის ნიღაბ აფარებული ფორმაა. მაგრამ იგი, უკვე გამოუსადეგარი ხდება კლასთა ბრძოლის ახლანდელ გამწვავებულ პირობებში, და ბურჟუაზია აშკარა ფაშიზმისაკენ მიილტვის. ამ მიზნის მისაღწევად გერმანიის ბურჟუაზიას ჯერ კიდევ არ ყოფნის საკუთარი ძალა, და სოციალ-დემოკრატია ხელს უწყობს მას და თვითონ კისრულობს ფაშისტური დიქტატურის გატარებას.

რომ მენშევიკების ასეთი „მაგარი“ კურსი მიმართულია არა უკიდურესი რეაქციის, არამედ რევოლიუციონურ მუშათა კლასის და მისი მეთაურის—კომპარტიის წინააღმდეგ, ამას მთელი მათი „მოღვაწეობა“ ადასტურებს. დემონსტრანტ მუშების დახვრეტა ცერგიბელების მიერ პირველ მაისის დღეებში, მათ მიერვე წითელ ფრონტელთა კავშირის აკრძალვა, კომუნისტურ გაზეთების დახურვა და სხვ. ამ მხრივ მეტყველი ფაქტორია. ახლა კი ამ მიმართულებით კიდევ ახალი ნაბიჯები იდგმება. გაეცანით ზევერინგის განცხადებას, რომელსაც დღეს ვაქვეყნებთ: სოციალ-დემოკრატ მინისტრებს არქივიდან გამოაქვთ ბურჟუაზიული ბლოკის მიერ შემუშავებული კანონ-პროექტი, რომლის შეტანა რეიხსტაგში მანაც ვერ გაბედა. ეს კანონპროექტი გულისხმობს ისეთ პოლიტიკურ ორგანიზაციების დაშლას, რომელთა „მიზანი და მოქმედება კანონმდებლობას ეწინააღმდეგება“. განა მტკიცება უნდა, რომ კანონპროექტის ავტორებს აქ კომპარტია ჰყავთ მხედველობაში. ამავე დროს იზღუდება კრებების გამართვის უფლება და პოლიციას სრული თავისუფლება ენიჭება აკრძალოს ისეთი კრებები, რომლებსაც ის „არაკეთილსაიმედოდ“ მიიჩნევს. ამგვარად ზევერინგები პირდაპირ შეუდგნენ სოციალ-ფაშისტური დიქტატურის განხორციელებას.

ასეთ მომენტში, როცა ბურჟუაზია და სოციალ-დემოკრატია ერთი მხრივ მკაცრ შეტევას აწარმოებენ მუშათა კლასზე და ფაშისტური დიქტატურის გამოცხადებისათვის ემზადებიან, ხოლო მეორე მხრივ იარაღს იხამენ ახალი იმპერიალისტური ომებისათვის და საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის მონაწილეობის მისაღებად, ასეთ დროს შეიკრიბა გერმანიის კომპარტია. ყრილობის მიმდინარეობა გვიჩვენებს, რომ გერმანიის კომპარტიას ნათლად აქვს შეგნებული მის წინაშე მდგარი ამოცანები, რომლებიც ამხ. ტელმანმა ნათლად დაახასიათა. მუშათა მასების შემდგომი დარაზმვა ომის წინააღმდეგ და განთავისუფლებული შრომის ქვეყნის დასაცავად, კონტრშეტევა გათავხედებულ კაპიტალისა და მისი მარჯვენა ხელის—მენშევიკების წინააღმდეგ, რომელნიც ფაშისტურ დიქტატურისაკენ ისწრაფვიან და ახალი მსოფლიო ხოცვა-ჟლეტისათვის ქმნიან პირობებს, გაძლიერებული მზადება პროლეტარიატის დიქტატურისათვის, პარტიაში მუშათა ახალ-ახალი ფენების მოზიდვა, თვით პარტიის რიგებში სრული მთლიანობის და ფოლადისებური დისციპლინის დაცვა, ყოველგვარ გადახრების და მერყეობის უკუგდება—ასეთია გამარჯვების გზები, რომლებსაც ვედინგში მიმდინარე ყრილობა უსახავს პარტიას და მთელ გერმანიის მუშათა კლასს.

გერმანიის კომპარტიას ბოლო დროს უსათუოდ დიდი მიღწევები აქვს. საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების არჩევნებმა ცხადყვეს მისი დიდი გავლენა პროლეტარიატზე. ბერლინის ამბებმა გამოააშკარავეს გერმანიის მუშათა კლასის რევოლიუციონური ნებისყოფა და მისი მზად ყოფნა ბრძოლისათვის კომპარტიის მეთაურობით, პარტიის შინაური მდგომარეობა სულ უფრო მტკიცდება. ყოველივე ეს იმის უტყუარი საწინდარია, რომ გერმანიის კომპარტია, მიუხედავად ბურჟუაზიის და სოციალ-დემოკრატიის გაერთიანებული ფრონტისა მის წინააღმდეგ, ღირსეულად შეასრულებს თავის ამოცანებს და პროლეტარიატს გამარჯვებათა გზით წაიყვანს.

პირველი კვირა

ორი კვირა გავიდა მას აქეთ, რაც ინგლისის მუშათა პარტიამ არჩევნებში გაიმარჯვა და ერთი კვირა შესრულდა მას აქეთ, რაც ჩამოყალიბდა მაკდონალდის მთავრობა. გარკვეულად ლაპარაკი მაკდონალდის მთავრობის პირველი ნაბიჯებისა და ღონისძიებათა შესახებ ჯერ კიდევ ძნელია, რადგან საამისო საჭირო ცნობები მცირეა. ხელმძღვანელი „მუშათა“ მინისტრები ჯერ-ჯერობით მეტად ზოგადს, შინაარსს მოკლებულ დეკლარაციებს სჯერდებიან. რაკი ისინი ხელისუფლების საჭეს დაეპატრონენ, ლაპარაკს უკლეს და სრულებითაც არ ჩქარობენ განახორციელონ არჩევნების წინ საზეიმოდ დადებული დაპირებანი. როგორც ყოველი „რესპექტაბელური“ ბურჟუაზიული სამინისტრო, „მუშათა“ მინისტრების მთავრობაც თავის პირველ სხდომებს საიდუმლოების ბურუსში ხვევს. ეტყობათ, რომ ცდილობენ რაც შეიძლება კარგად მოეწყონ ბოლდუინის მინისტრების მიერ განთავისუფლებულ სავარძლებში.

უფრო მეტის თქმა შეიძლება იმ დამოკიდებულების შესახებ, რომელსაც ბრიტანელ შემთანხმებელთა მთავრობისადმი იჩენენ სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფები, პარტიები და პრესა. მაკდონალდის მეორე მთავრობის შექმნას დიდი სენსაცია არ გამოუწვევია. თუ 1924 წელს მაკდონალდის სამინისტროს დაბადებამ თვალსაჩინო საერთაშორისო და შინაური პოლიტიკური ალიაქოთი შექმნა (ლონდონის ბირჟამაც კი იხამა და ოდნავ შეკრთა!), ახლა „მუშათა“ მთავრობის შედგენას არავითარი მღელვარება არ გამოუწვევია. საკმაოდ დამახასიათებელია, რომ „მუშათა“ მთავრობისაგან არაფერ მოულოდნელს, სათანადო „ჩარჩოებს“ გადაცილებულ ნაბიჯებს არ მოელიან. ყველას კარგად ესმის, რომ მაკდონალდი, სნოუდენი და სხვები, რასაკვირველია, არ გაბედავენ, ინგლისის პოლიტიკური კურსი საგრძნობლად შეატრიალონ და ოდნავაც მაინც შეეხონ შეერთებული სამეფოს იმპერიალისტური პოლიტიკის საფუძვლებს.

მხოლოდ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ორგანო, მთელს მსოფლიოში ყველაზე ნამუსგარეცხილი, ყველაზე უსირცხვილო გაზეთი „ფორვერტს“-ი ცდილობს მოატყუოს მუშები და მაკდონალდის მთავრობის შექმნა მსოფლიო-ისტორიულ გარდატეხად დასახოს. „ფორვერტს“-ს პათეტიური სიტყვების შადრევანი ღირსია იმისა, რომ აქ მოვიყვანოთ რამდენიმე ადგილი.

„შრომა იმარჯვებს!“ ასე აფასებს ინგლისის ამბებს „ფორვერტს“-ი 6 ივნისის მოწინავე წერილის სათაურით.

„ინგლისის მუშათა პარტიის გამარჯვება — ვკითხულობთ ამ წერილში—დიდი მოვლენაა პროლეტარიატის სავალ გზაზე; იგი გამოიწვევს არა მარტო ერების შერიგებას და მშრომელთა მასების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, არამედ მუშათა ინტერნაციონალური მოძრაობის საბოლოო მიზნის განხორციელებასაც“.

„მუშათა პარტიის გამარჯვება.., ახალ ხანას იწყებს ბრიტანეთის ისტორიაში: ხელისუფლება ეპატრონება მუშათა კლასის, ე. ი. მშრომელი უმრავლესობის მთავრობა“-ო, ასე მიესალმნენ გერმანელი მაკდონალდები თავის ინგლისელ თანამოძმეებს.

ჩვენ განგებ მოვიყვანეთ ეს ნიმუში იმისა, თუ როგორ აბრმავებს გერმანიის მუშათა მასებს მატყუარა „ფორვერტს“-ი, ჩვენ გვინდა აქ ყალბ პათოსს დაუპირდაპიროთ იმ პირთა გულახდილი სიტყვები, ვისაც „ფორვერტს“-ის აზრით, „შრომა ამარცხებს“, ე. ი. ინგლისელი მეფაბრიკეების სიტყვები. თურმე ინგლისელმა მეფაბრიკეებმა ვერც კი შეამჩნიეს, რომ „შრომა იმარჯვებს“. უფრო მეტიც: ინგლისელი კაპიტალისტები სალამს უძღვნიან მათ, ვისგანაც „მარცხდებიან“. მაგალითად, გამოჩენილი ბარონი უიჩექსი მაკდონალდის მთავრობას „კარგი მთავრობის“ მოწმობას აძლევს, რომლისაგანაც კაპიტალიზმს ყოველგვარი სიკეთის მოლოდინი უნდა ჰქონდეს. ხოლო მრეწველთა ნაციონალური კავშირის დირექტორმა კორკორანცმა განაცხადა, რომ მას მოსწონს მაკდონალდის მიერ „მინისტრების მოხერხებულად შერჩევა“. ასეთი დახასიათება და ატესტაცია საკმაოდ მოინახება. ამაზე ამბობს „ფორვერტს“-ი „შრომა იმარჯვებს“! ბრიტანეთის კაპიტალის ცენტრალური ნერვული სისტემის—ლონდონის სიტის აზრი, ძალიან ნაკლებ ადასტურებს იმას, რომ თითქოს სიტი „დამარცხებას“ გრძნობს, როგორც უკვე ვიცით, ფასიანი ქაღალდებისა და უცხოეთის დევიზების კურსს „მსოფლიო-ისტორიული“ მოვლენა სრულებითაც არ დასტკობია.

ყოველივე ამის საიდუმლოება მეტად მარტივია: ინგლისის „მუშათა“ მთავრობა კეთილზნიანი ბურჟუაზიული მთავრობაა, რომელიც ყველაზე უფრო „სახეიროა“ ინგლისის ბურჟუაზიისათვის ახლანდელი ისტორიული სიტუაციის დროს (კონსერვატიული რეაქციის მებრძოლი პოლიტიკის აშკარა დამარცხების შემდეგ). გარდა ამისა მაკდონალდებს განსაკუთრებული საბუთი აქვთ, რომ ბურჟუაზიის კეთილი განწყობილების იმედი ჰქონდეთ: 1924 წელსა და 1929 წელს შუა მათ პოლიტიკური სიმწიფის მოწმობა მიიღეს როგორც საყოველთაო გაფიცვისა და მემაღაროეთა გაფიცვის დამთრგუნველებმა.

მაკდონალდის ხელისუფლების პირველი კვირა გვიჩვენებს, რომ „მუშათა“ პარტია იმპერიალისტური კურსის საერთო ჩარჩოებშიაც კი ვერ ბედავს გადაჭრით და დაუყოვნებლივ შეუდგეს იმ ელემენტარულ-საჭირო ზომების განხორციელებას, რომლებსაც შეეძლებათ რამდენადმე მაინც გამოასწორონ ბოლდუინების მიერ სახელგატეხილი მდგომარეობა ინგლისის კაპიტალიზმისა. შინაური პოლიტიკის ხაზით მაკდონალდის მთავრობა აშკარად ვერ ბედავს იმ უმნიშვნელო პოლიტიკური ზომების განხორციელებას, რომელთა შესახებაც მან დემაგოგიური პირობა დასდო საარჩევნო ბრძოლის დროს.

ინგლისელმა შემთანხმებლებმა თითო-ოროლა პირობა დასდეს უმუშევრობასთან ბრძოლის დარგში, პირობა დასდეს, რომ დაუყოვნებლივ შეუდგებოდნენ ინგლისის ეკონომიკის—ამ მეტის-მეტად მძიმე ავადმყოფობის „განკურნებას“.

საქმეს ამით იწყებენ: შექმნეს „კომისია“, რომელიც ამ საკითხის „შესწავლას“ შეუდგება. კომისიის თავმჯდომარედ დანიშნულია ტომასი (რასაკვირველია, ნამუსგაყიდული „ფორვერტს“-ი ტომასს ინგლისელი მუშების მეგობარს დაარქმევს, მაგრამ ინგლისელმა კაპიტალისტებმა იციან, რომ ტომასი მათი მეგობარი და მსახურია). ელემენტარულ საქმიან მოსაზრებას თითქოს უნდა ეკარნახებინა ინგლისის მუშათა პარტიის ლიდერებისათვის, რომ, უმუშევრობის შენელების თვალსაზრისით, საბჭოთა კავშირთან ნორმალური ურთიერთობის დაუყოვნებლივი აღდგენა გაცილებით უფრო არსებითი ზომაა, ვიდრე ტომასის ათი და ასი კომისია.

თუ მაკდონალდის მთავრობისაგან ვინმე მოელის პრინციპიალურ — ახალ თვალსაზრისს „მუშათა საკითხში“, კაპიტალისა და, დაქირავებული შრომის საკითხში, მას სინამდვილე სასტიკად დასცინებს. ყბად აღებული „მონდიზმი“ — უკანასკნელი ფაშისტურ - ბურჟუაზიული გამოგონება და მისი პრინციპი, — ეგრეთწოდებული „მშვიდობიანობა მრეწველობაში“, — მთლიანად შეტანილია შემთანხმებელთა საპროგრამო არსენალში. მრეწველობაში მშვიდობიანობის დამყარების დაწყების ამბავით მაკდონალდმა უკვე რადიოთი გააბედნიერა ინგლისის მთელი მოსახლეობა. მაგრამ „მრეწველობის მშვიდობიანობის“ მხრით ინგლისის ეკონომიკის პერსპექტივას ბედნიერი ნიშნები არ ამშვენებს.

უფრო პირიქით, ხდება. ობიექტიური მდგომარეობა ასეთია: ვიდრე „მუშათა“ მინისტრები სხდომებზე მსჯელობენ, ინგლისელი მრეწველები გააფთრებულ შეტევას აწარმოებენ მუშების საცხოვრებელი დონის წინააღმდეგ. ბამბეულობის ქსოვილთა ინგლისის მეფაბრიკეების ფედერაცია მოითხოვს ლანკაშირის ფეიქართა ხელფასის შემცირებას 12½ პროცენტით. მრეწველობის სხვადასხვა დარგში უფრო და უფრო მაგრად უჭერენ კაპიტალისტური რაციონალიზაციის მუხრუჭებს. უნებლიედ გვაგონდება 1924 წლის ცნობილი ეპიზოდი, როცა „მუშათა მთავრობა“ აშკარად გამოვიდა დრაკონის ზომებით ტრანსპორტელების წინააღმდეგ, რომლებიც მაშინ იბრძოდნენ. ამ შემთხვევაში ინგლისის მუშათა კლასი, ალბად, უფრო საფუძვლიანად, უფრო სრულად გაივლის შემთანხმებელი ხელისუფლების ცოცხალ გაკვეთილებს და ბოლომდე შესვამს მაკდონალდშჩინის მწარე ფიალას, რადგან სწორედ მაკდონალდები იქნებიან კაპიტალისტური რაციონალიზაციის პასუხისმგებელი გამტარებელნი.

საგარეო პოლიტიკის დარგში ამჟამად მთავარი ყურადღების საგანს წარმოადგენს მაკდონალდის მომავალი დიპლომატიური ვიზიტი ვაშინგტონში და შეერთებული შტატების პრეზიდენტ გუვერთან შეხვედრის გეგმა. მაგრამ დიდი ილიუზია და სინამდვილის სრული დამახინჯება იქნება, რომ მაკდონალდის მიერ განზრახული ვიზიტი ვაშინგტონში ჩავთვალოთ ინგლის-ამერიკის ანტაგონიზმის „დასასრულის დასაწყისად“. ორი იმპერიალისტური გიგანტის ამ ისტორიული წინააღმდეგობის ბედი სრულებითაც არ შეიძლება მოთავსდეს მაკდონალდის ჟილეტის ჯიბეში. ვიზიტი ვიზიტად დარჩება, ბანკეტი — ბანკეტად, მაგრამ საზღვაო ჰეგემონიის პრობლემა და კაუჩუკის და ნავთის საკითხი გაცილებით უფრო მეტი წონისაა საერთაშორისო პოლიტიკის სასწორზე. აქ შესაძლოა დროებითი, აუცილებლად დამპალი კომპრომისი, კონიუნქტურული მანევრები და ნაწილობრივი წარმატებანი, მაგრამ მსოფლიო წინააღმდეგობათა მაგისტრალური ხაზის გაუქმებას, ცხადია, ვერ შესძლებს მაკდონალდი და თვით უაღრესად მნიშვნელოვანი „ზელოკარნო“.

საბჭოთა კავშირთან ნორმალური დიპლომატიური და საქმიანი ურთიერთობის აღდგენის საკითხი დიდი ხნის მომწიფებული საკითხია. ამას გვერდს ვერ აუხვევდა თვით კონსერვატიული ხელისუფლებაც კი, რომ ის მთავრობის სათავეში დარჩენილიყო ხანგრძლივი ვადით. ძალიან გაკოტრდა შუბლმაგარ უგუნურთა გაშმაგებული კურსი, რომელნიც შეიპყრო განდიდების მანიამ და ფიქრობდნენ, რომ მძარცველური თავდასხმებით, ყალბი საბუთების დამზადებით, უხეში იერიშებით და ფილანიური ზეგავლენით წამოაჩოქებდნენ პროლეტარულ სახელმწიფოს. ყოველივე ამასთან ერთად უნდა აღვნიშნოთ დამახასიათებელი „თავდაჭერილობა“, რომელიც ინგლისის საგარეო პოლიტიკის ეხლანდელმა ხელმძღვანელებმა გამოიჩინა საბჭოთა კავშირის საკითხში. ჰენდერსონის განცხადება საჭიროებს, ყოველ შემთხვევაში, მეტ სიცხადეს; არა ნაკლებ ბუნდოვანია პასუხი, რომელიც საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს გასცეს საერთაშორისო ფოსტა - ტელეგრაფის კარგ თვისებებზე მითითებით. ინგლისის მუშათა პარტიის ბელადებს კარგად უნდა ახსოვდეთ ის, რაზედაც კისერი მოიტეხა ბოლდუინის კაბინეტმა. ბოლდუინის საგარეო პოლიტიკის „სამმა ღუზამ“ — კონფლიქტების გამწვავებამ ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატებთან, ბლოკმა საფრანგეთთან და უპირველეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის მიმართ. უგუნურმა პოლიტიკამ მეტად სავალალო შედეგები მოიტანა და ამიტომ დიდი უმეცრება იქნება, რომ იგი გახდეს ბრმა წამბაძველობის ობიექტი. და ყოველგვარ მერყეობას და შეფერხებას საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის საკითხში აშკარა ზიანი შეუძლია მოუტანოს ყველაზე მეტად იმათ, ვისაც ხელთ უპყრია ამჟამად ინგლისის „სახელმწიფო ხომალდის“ საჭე.

„პრავდა“, 14 ივნისი.

მაკდონალდი ცდილობს საერთო ენა გამონახოს შეერთებულ შტატებთან

ჰუვერისა და მაკდონალდის მომავალი შეხვედრის დროს განხილული იქნება საზღვაო განიარაღების საკითხი

გერმანიის მენშევიკი მინისტრები ამუშავებენ კანონს კომუნისტების წინააღმდეგ

ინგლის-საბჭ. კავშირის ურთიერთობა

ლონდონი, 14 ივნისი. როგორც „დეილი ნიუს“-ის დიპლომატიური მიმომხილველი იუწყება, მის მიერ მიღებული ცნობებით, მუშათა პარტის მთავრობამ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენის საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა გადასდო მაკდონალდის დაბრუნებამდე შეერთებული შტატებიდან.

„მაკდონალდს, — სწერს იგი, — შესაძლებლად მიაჩნია ცოტა რამ მოიგოს საკითხის გადიდებით. იგი კვლავ დაჟინებით ამტკიცებს, რომ ევროპის განიარაღების პრობლემა ვერ გადასწყდება იმ დრომდე, სანამ რუსეთი განზე დარჩება. მაკდონალდის აზრით, საყოველთაო მშვიდობიანობა დამოკიდებულია ინგლისისა და შეერთებული შტატების მეგობრობასა და თანამშრომლობაზე. შეერთებული შტატების მთავრობა უარს აცხადებს საბჭოთა კავშირის ცნობაზე და მაკდონალდს, უეჭველია, სურს გაიცნოს ის მოსაზრებანი, რომლებიც შეერთებული შტატების მთავრობას აიძულებენ დაადგეს ასეთ პოლიტიკას. შესაძლებელია, რომ ჰუვერისა და მაკდონალდის მიერ პრობლემის მთლიანად განხილვის შემდეგ შეერთებული შტატების მთავრობამ რამდენიმედ შესცვალოს თავისი აზრი მოსკოვის შესახებ“. (ადს)

როდის გადაწყდება საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის საკითხი

ნიუ-იორკი, 13 ივნისი. ნიუ-იორკ ივნინგ პოსტ“-ის ლონდონელი კორესპონდენტი ამტკიცებს, რომ საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების საკითხს მაკდონალდი განიხილავს ჰუვერთან ერთად ვაშინგტონში. მაკდონალდი შეეცდება დაარწმუნოს ჰუვერი, რომ „განცალკევებული რუსეთი საერთაშორისო მშვიდობიანობის მთავარ საფრთხეს წარმოადგენს“. კორესპონდენტი ამტკიცებს, რომ მაკდონალდს განზრახვა აქვს გადასდოს ინგლის-საბჭოთა კავშირის დიპლომატიური ურთიერთობის განახლება იმ დრომდე, სანამ შეერთებული შტატების მთავრობა არ გადასწყვეტს—იმოქმედოს იმავე მიმართულებით.

კაბინეტის სხდომაზე მაკდონალდმა დაარწმუნა მთავრობის წევრები—გადასდონ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენის საკითხის გადაჭრა მის დაბრუნებამდე ვაშინგტონიდან. კორესპონდენტი დასძენს, რომ მაკდონალდს სურს იკისროს შუამავლის როლი საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ მსოფლიოს შორის. მაკდონალდს იმედი აქვს, რომ „ამით ის გავლენას მოახდენს რუსეთის კომუნიზმზე და უფრო ზომიერად გახდის მას“. (ადს).

მაკდონალდის მთავრობის პირველი ნაბიჯები

ჰუმბერტ ვოლფი რვა საათ. სამუშაო დღის შესახებ

ბერლინი, 13 ივნისი. როგორც ჟენევიდან იუწყებიან, ინგლისის დელეგატმა შრომის საერთაშორისო კონფერენციაზე, ჰუმბერტ ვოლფმა ინგლისის ახალი მთავრობის სახელით განაცხადა, რომ მთავრობა მზადაა მოახდინოს რატიფიკაცია ვაშინგტონის 1919 წლის კონვენციისა რვა საათის სამუშაო დღის შესახებ. ბოლდუინის მთავრობამ გადაჭრილი უარი განაცხადა ამ კონვენციის რატიფიკაციაზე.

„დეილი ტელეგრაფ“-ი მაკდონალდის მგზავრობის შესახებ

ლონდონი, 13 ივნისი. „დეილი ტელეგრაფ“-ის სიტყვით, არ არის მოსალოდნელი, რომ ვაშინგტონში მაკდონალდის მგზავრობას მოჰყვეს არსებითი შეთანხმება საზღვაო განიარაღების საკითხში. გაზეთის აზრით, შეიძლება მოხდეს პრინციპიალური შეთანხმება სათანადო კონფერენციების მოწვევისა და დისკუსიისათვის საერთო ბაზის შექმნის შესახებ. (ადს).

16 ივნისს დაუესი მაკდონალდს შეხვდება

ლონდონი, 13 ივნისი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების ახლად დანიშნული ელჩი ინგლისში გენ. დაუესი 16 ივნისს შეხვდება პრემიერ მაკდონალდს შოტლანდიაში, სადაც მაკდონალდი დასასვენებლად გაემგზავრა.

პრემიერმა მაკდონალდმა განაცხადა, რომ ამ შეხვედრის დროს ისინი შეეხებიან ინგლის-ამერიკის თანამშრომლობის უდიდეს საკითხებს განიარაღებისა და საყოველთაო მშვიდობიანობის უზრუნველყოფის საქმეში. (ადს).

ინგლის - იაპონიის თანამშრომლობა

ტოკიო, 13 ივნისი. „ტოკიო ასახი“ მოწინავე წერილში ეხება ინგლის-იაპონიის თანამშრომლობას. გაზეთი აღნიშნავს, რომ მუშათა პარტიის მთავრობა ჩინეთის მიმართ დაადგება უფრო რბილ პოლიტიკას, ვიდრე ბოლდუინის მთავრობა.

ხმების თანახმად, ტანაკამ წინადადება მისცა ინგლისს—განახლებულ იქნას ინგლის-იაპონიის თანამშრომლობა ჩინეთში. (ადს).

აივი ლის განცხადება

საბჭოთა კავშირი პირნათლად ასრულებს თავის ვალდებულებებს

ნიუ-იორკი, 13 ივნისი. როკფელერის საწარმოთა პრესის განყოფილების დირექტორმა აივი ლიმ „გერმანია-ამერიკის სავაჭრო პალატის“ კრებაზე განაცხადა, რომ საერთაშორისო სარეპარაციო ბანკის შექმნა ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის გაფართოვებასო.

„რეპარაციების გადახდა, — განაცხადა აივილმა, — შესაძლებელია უმთავრესად ექსპორტის საშუალებით, ამიტომ გერმანიას მოუხდება ახალი ბაზრების ძებნა, შეერთებული შტატების გარდა, საფრანგეთსა და ინგლისში. რუსეთი მისთვის ყველაზე უფრო დიდ და რეალურ ბაზარს წარმოადგენს“.

შემდეგ აივი ლიმ განაცხადა—საბჭოთა კავშირი მტკიცედ ასრულებს საქმიან ვალდებულებებს. (ადს)

ბისმარკის ღირსეული მემკვიდრეები

ბერლინი, 13 ივნისი. შინაგან საქმეთა მინისტრმა, სოციალ - დემოკრატმა ზევერინგმა რეიხსტაგში განაცხადა, რომ კოალიციურმა მთავრობამ გადასწყვიტა წარმოადგინოს კანონპროექტი პოლიტიკური ორგანიზაციების შესახებ, დამუშავებული ჯერ კიდევ ბურჟუაზიული ბლოკის დროს.

ეს კანონპროექტი, რომელიც თავის დროზე ბურჟუაზიულმა მთავრობამაც კი ვერ წარუდგინა რეიხსტაგს მთლიანად, მიმართულია გერმანიის კომპარტიის წინააღმდეგ. კანონპროექტის თანახმად, შეიძლება ყოველი პოლიტიკური ორგანიზაციის აკრძალვა, თუ „ამ ორგანიზაციის მიზნები და მოქმედება ეწინააღმდეგება კანონმდებლობას“. ყოველი ორგანიზაცია, რომელიც ახლად ეწყობა, ვალდებულია ორი კვირით ადრე წარუდგინოს სათანადო პოლიციის სამმართველოს წესდება და წევრთა სია. ცის ქვეშ კრება შეიძლება მოწვეულ იქნას მხოლოდ მას შემდეგ, როცა პოლიციის სამმართველოში შეტანილი იქნება სათანადო განცხადება 48 საათით ადრე კრების მოწვევამდე. პოლიციას უფლება აქვს, აკრძალოს ასეთი კრება, „თუ ის უშუალოდ ემუქრება საზოგადოებრივ წესრიგს“.

საფრანგეთის სოც. პარტიის ყრილობა

უკანასკნელი სხდომა

პარიზი, 13 ივნისი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„ნანსში სოციალისტური პარტიის ყრილობის უკანასკნელმა სხდომამ დაადგინა — გადასდოს ვარენის პარტიის წევრად აღდგენის საკითხი. ვარენი პარტიიდან გამორიცხულ იქნა იმისათვის, რომ მან, პარტიის დირექტივის წინააღმდეგ, დაიჭირა გენერალ-გუბერნატორის თანამდებობა ინდო-ჩინეთში.

ყრილობამ დასტოვა წინანდელი წესდება, რომელშიაც შეიტანა მცირეოდენი ცვლილებანი. ერთხმად მიღებულ იქნა ლეონ ბლიუმის მიერ შემოტანილი რეზოლიუცია, რომელიც შეეხება საკითხს პალატის სოციალისტ ფრაქციის მუშაობის შესახებ. ხსენებულ რეზოლიუციაში, რომელიც წარდგენილია სპეციალურად გამოყოფილი კომისიის სახელით, აღნიშნულია, რომ პოლ ბონკურმა და ფიანსეტმა დაარღვიეს პარტდისციპლინა, რადგან მათ, როგორც პალატის საგარეო საქმეთა და საფინანსო კომისიების თავმჯდომარეებმა, თავი შეიკავეს ხმის მიცემისაგან, როცა პალატა არჩევდა ბიუჯეტის მუხლებს კათოლიკური კონგრეგაციების შესახებ. პარტიის დისციპლინა კი ავალებდა მათ —ხმა მიეცათ ხსენებული მუხლების წინააღმდეგ.

რეზოლიუცია აღნიშნავს, რომ ყრილობა ვერ დაუშვებს გამონაკლისს იმ პრინციპიდან, რომლის თანახმადაც პალატაში ფრაქცია ერთსულოვნად უნდა აძლევდეს ხმას.

ყრილობამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია სოციალური დაზღვევისა და სასკოლო საკითხის შესახებ. ამის შემდეგ ყრილობა დაიხურა. (ადს)

გერმანიის კომპარტიის ყრილობა

სემარის გამოსვლა

ბერლინი, 13 ივნისი. 13 ივნისს გერმანიის კომპარტიის ყრილობის სხდომაზე სიტყვა წარმოსთქვა კომინტერნის აღმასკომის წარმომადგენელმა სემარმა, რომელსაც ყრილობა მქუხარე ოვაციით და ინტერნაციონალის სიმღერით შეხვდა. სემარმა აღნიშნა გერმანიის კომპარტიის განსაკუთრებული მნიშვნელობა კომინტერნში. გერმანიის კომპარტიას უდიდესი გამოცდილება აქვს რევოლიუციონური ბრძოლებისა კაპიტალის ქვეყნებში და ჰყავს რევოლიუციონურ ბრძოლაში გამობრძმედილი მტკიცე პარტიული კადრები.

შემდეგ სემარი შეეხო კაპიტალისტურ ქვეყნებში შექმნილ მდგომარეობას და აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს ახასიათებს კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავება. ასეთ პირობებში კომინტერნის მე-6 კონგრესის მიერ ტაქტიკის შეცვლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა. ეს ახალი ტაქტიკა ყველაზე უფრო თანამიმდევრობით განხორციელებულ იქნა გერმანიაში.

გერმანიის კომპარტიამ პირველმა დასვა სწორად ორგანიზაციულად შეუკავშირებელი მუშების და ეკონომიური ბრძოლების დამოუკიდებლად ხელმძღვანელობის პრობლემა. გერმანიის კომპარტიამ უკვე მიიმხრო უმრავლესობა მნიშვნელოვან სამრეწველო საწარმოებში, მაგრამ ამით იგი ვერ დაკმაყოფილდება. მან უნდა მიიმხროს ახლო მომავალში მთელი გერმანიის მუშათა კლასის უმრავლესობა. გერმანიის კომპარტია ჰეგემონიას მუშათა კლასში განახორციელებს მხოლოდ დაუზოგავი ბრძოლით სოციალ - დემოკრატიის წინააღმდეგ, მემარჯვენე გადახრისა და ოპორტუნისტული მერყეობის წინააღმდეგ საკუთარ რიგებში.

პირველი მაისის ამბებმა ბერლინში დაგვანახვეს, თუ როგორ სწრაფად შეიძლება მიაღწიოს მშრომელთა ბრძოლამ უმაღლეს პოლიტიკურ საფეხურს. ამასთან ერთად ამ ამბებმა გვიჩვენეს გერმანიის კომპარტიის სუსტი და ძლიერი მხარეები. ერთის მხრივ, ამ ბრძოლებმა დაგვანახვეს, რომ პარტია მზადაა გაუძღვეს მასებს რევოლიუციონურ ბრძოლაში, ხოლო მეორეს მხრივ, გამოააშკარავეს ორგანიზაციული დეფექტები ფართო მასების მობილიზაციის საქმეში, არასაკმაო კავშირი დიდ წარმოებებთან და პარტიული მუშაობის მეთოდების არასაკმაოდ შეფარდება გამწვავებული რევოლიუციონური სიტუაციის პირობებთან.

კომინტერნის აღმასკომი დარწმუნებულია, რომ გერმანიის კომპარტია თავის გამოცდილებიდან გამოიტანს საჭირო დასკვნებს. შეუძლებელია მასების ხელმძღვანელობა და გამარჯვება უიმისოდ, თუ საკუთარი რიგები არ გასწმინდე ოპორტუნისტებისაგან. გერმანიის კომპარტიის ბრძოლას მემარჯვენეების წინააღმდეგ საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. იგი მოასწავებს ბოლშევიზაციის გაძლიერებას გერმანიის კომპარტიაში და მის მზადებას ახალი დიდი ბრძოლებისათვის.

გერმანიის კომპარტიის წმენდა ოპორტუნისტული ელემენტებისაგან არ დამთავრებულა. მემარჯვენეების როლი იკისრეს შემარიგებლებმა. პარტიამ უნდა გააფრთხილოს შემარიგებლები, რომ ისინი გაიზიარებენ პარტიიდან გამორიცხული ლიკვიდატორების ბედს, თუ მათ განაგრძეს ძველებურად მუშაობა.

დასასრულ სემარმა განაცხადა, რომ გერმანიის კომპარტიის ამოცანას შეადგენს ფართო მასების მობილიზაცია პარტიის მოსალოდნელი აკრძალვის წინააღმდეგ ასამხედრებლად და ამავე დროს სათანადო ღონისძიებათა მზადება შემდგომი რევოლიუციონური ბრძოლისათვის. (ადს)

ს. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის მისალმება

მოსკოვი, 14 ივნისი. მოსკოვის კომიტეტის პლენუმმა მოსკოვის კომუნისტებისა და პროლეტარების სახელით ძმური სალამი გაუგზავნა გერმანიის კომპარტიის მე-12 ყრილობას. (ადს).

სპარსეთი შეუერთდა მოსკოვის ოქმს

თეირანი, 13 ივნისი. მეჯლისმა პირველი წაკითხვის შემდეგ დაამტკიცა დადგენილება იმის შესახებ, რომ სპარსეთი უერთდება მოსკოვის ოქმს კელოგის პაქტის ვადაზე ადრე ძალაში შესვლის შესახებ. (ადს)

საფრანგეთის საპროტესტო ნოტა ამერიკას

ნიუ-იორკი, 13 ივნისი. საფრანგეთის მთავრობამ ჩრდ. - ამერიკის შეერთებულ შტატებს გამოუგზავნა საპროტესტო ნოტა ფუფუნების საგნებზე და კვების პროდუქტებზე საბაჟო გადასახადების აწევის პროექტის წინააღმდეგ. (ადს)

პოლიციამ დაიგვიანა

პრაღა, 13 ივნისი. კომპარტიის ორგანო „რუდე პრავო“-ს ცნობით, გაჩხრიკეს გაზეთის სტამბა. პოლიცია დაეძებდა ბროშურას „ლიკვიდატორული ლეგალიზმიდან ბოლშევიკური მუშაობისაკენ“. ბროშურის მთელი ტირაჟი, 10.000 ცალი, უკვე დაგზავნილი აღმოჩნდა. კონფისკაცია უყვეს მხოლოდ 2 ცალს. (ადს)

სასიკვდილო განაჩენი

ვარშავა, 13 ივნისი. უზენაესმა სასამართლომ დაამტკიცა ლვოვის საოლქო სასამართლოს განაჩენი, რომლითაც ორ უკრაინელს — ვერუბიცკის და ატამანჩუკს (ბრალდებოდათ ლვოვის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის მოკვლა) მიესაჯა პირველს — სიკვდილით დასჯა, ხოლო მეორეს — 30 წლის კატორღა. (ადს)

პილსუდსკი—პოლონეთის სოც. პარტიის წინააღმდეგ

ვარშავა, 13 ივნისი. შრომის მინისტრის განკარგულებით, დაშალეს ვარშავის საავადმყოფოთა სალაროების საოლქო ყრილობა. ყრილობას ხელმძღვანელობდა პოლონეთის სოციალისტური პარტია. ამიტომ ეს განკარგულება ნიშნავს მთავრობის გალაშქრებას პოლონეთის სოციალისტური პარტიის წინააღმდეგ. (ადს)

პოლიციელების თანამშრომლობა

ბერლინი, 13 ივნისი. გაზეთების ცნობით, იმ მოლაპარაკებას, რომელიც ამჟამად ლონდონის, ბერლინისა და პარიზის პოლიციის უფროსებს შორის სწარმოებს ლონდონში, უნდა მოჰყვეს ევროპის ხსენებულ დედაქალაქებში პოლიციის აპარატების უფრო მჭიდრო თანამშრომლობა. ბერლინის პოლიცეი-პრეზიდენტი ცერგიბელი ერთი კვირაა უკვე, რაც ლონდონში იმყოფება. ამ დღეებში პარიზის პრეფექტიც ჩავიდა იქ. (ადს)

მირუტის პროცესი

ლონდონი, 14 ივნისი. მირუტის პროცესში (ინდოეთის მუშათა მოძრაობის მოღვაწეთა პროცესი, ეს მოღვაწენი პასუხისგებაში არიან მიცემულნი არსებული წყობილების ძალით შეცვლის ცდისათვის) ბრალდებულებმა მაკდონალდს გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიაც მოითხოვენ — საქმე გადაეცეს უზენაეს სასამართლოს. ამჟამად საქმეს არჩევს განსაკუთრებული სასამართლო. (ადს)

აჯანყება მაროკოში

საფრანგეთის ჯარის მოქმედება

პარიზი, 13 ივნისი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„სამხედრო მინისტრი ადასტურებს ცნობას საფრანგეთის ჯარსა და მაროკოელ მსროლელთა შორის შეტაკების შესახებ ელ-ბორჯში. მიღებულია ყველა საჭირო ზომა იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას აიტი-აკუპის პოსტი, რომელზედაც აჯანყებულებმა იერიში მიიტანეს“. (ადს)

მსხვერპლს ეძებენ

ელექტრონის სკამისათვის

ბრალდება კავშირის მუშაკების წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 13 ივნისი. გასტონიაში გაფიცვის ორგანიზატორების ფრედ ბილისა და ვერა ბუშის გარდა, პოლიციის უფროსის მკვლელობაში (პოლიციის უფროსი მოჰკლეს პოლიციის თავდასხმის დროს გაფიცულთა ბანაკზე) ბრალს სდებენ აგრეთვე ფეიქართა მემარცხენე კავშირის განყოფილების თავმჯდომარეს პასაიკ გარისონს და ამ კავშირის ათ სხვა მუშაკს.

გარდა ამისა, კავშირის 55 მუშაკს ბრალდება თავდასხმა მკვლელობის მიზნით. ყველა დაპატიმრებულია. (ადს)

მოითხოვენ სიკვდილით დასჯას

ნიუ-იორკი, 13 ივნისი. გასტონიაში ფეიქართა გაფიცვის ორგანიზატორს ფრედ ბილს აბრალებენ პოლიციის უფროსის მოკვლას. თუმცა მკვლელობის დროს ბილი სხვაგან იყო, საფეიქრო მრეწველთა გაზეთები მაინც მოითხოვენ ბილის სიკვდილით დასჯას.

სხვადასხვა

- ●ზაგრების პროკურატურამ განთავისუფლა ის ვექილები, რომლებიც დაპატიმრებულ იქნენ ვექილთა გაერთიანების დამფუძნებელ კრებაზე. ისინი დააპატიმრეს ბელგრადის დიქტატურის წინააღმდეგ გამოსვლისათვის. გაათავისუფლეს ყველა ვექილი, გარდა ყოფილი დეპუტატის სუნჩიჩისა (ადს)
- ● კურასაოს კუნძულზე (ჰოლანდიის კოლონია ვესტ-ინდოეთში), სადაც ადგილი ჰქონდა მუშების გამოსვლებს, გამოცხადდა სამხედრო წესები. (ადს)
- ● სპარსეთის ფოსტის სამინისტრომ განკარგულება გასცა—დამთავრებულ იქნას აეროდრომების აგება ბუშირსა, ჯასკსა და ლინგში. აეროდრომები დააკმაყოფილებენ ინგლისის კომპანიის საჰაერო მიმოსვლის ხაზის საჭიროებას. ყველა აეროდრომთან მოაწყობენ რადიო-სადგურებს.
- ● მექსიკოდან მიღებული ცნობით, 2.000 სტუდენტმა დაიჭირა უნივერსიტეტის შენობა, ამართა მასზე წითელი დროშა და მძევლებად წაიყვანა პროფესორები. სტუდენტები მოითხოვენ რექტორის გადაყენებას. პოლიციას დემონსტრანტებისათვის ხელი არ შეუშლია. (ადს)

უკანასკნელი ცნობები

გერმანიის კომპარტიის ყრილობა

შემარიგებელთა წარმომადგენლის გამოსვლა

ბერლინი, 14 ივნისი. გერმანიის კომპარტიის ყრილობის 14 ივნისის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. რემელეს მოხსენების ირგვლივ. ორატორები ეხებოდნენ იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ რევოლიუციონური ბრძოლის კონკრეტიულ საკითხებს. ბადენის ორგანიზაციის დელეგატმა აღნიშნა, რომ საჭიროა უფრო მჭიდრო კონტაქტი ძმურ კომპარტიებთან, განსაკუთრებით საფრანგეთის კომპარტიასთან. შემარიგებელთა ჯგუფის წარმომადგენელმა ებერლეინმა განაცხადა, რომ იგი ეთანხმება ცეკას თეზისებს იმპერიალისტური ომის შესახებ, მაგრამ მოითხოვს იმ ფრაზის ამოღებას, რომელშიაც ნათქვამია, რომ შემარიგებლები ძირითად საკითხად არ სცნობენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის საფრთხის საკითხს. მათ მხოლოდ,— ამბობს ებერლეინი, — პარტიის არასწორი ტაქტიკის ეშინიათ.

ებერლეინის საპასუხოდ ელლერი აღნიშნავს, რომ ამხ. ებერლეინის გამოსვლა მიზნად ისახავს „ალიბი“-ს განმტკიცებას, ე. ი. თითქოს შემარიგებლები პარტიის ყრილობაზე გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის დასაცავად. ეს, ვინც ლაპარაკობს კაპიტალისტური სტაბილიზაციის განმტკიცებაზე და იმაზე, რომ პარტიის პოლიტიკა შემცდარია, სწორად ვერ გაუძღვება მუშაობას.

ლეგენდა პოლიციისა და ჯარის უპირატესობის შესახებ გაცამტვერდა 1 მაისს. ნეიკელნისა და ვედინგის 30 მუშის წინააღმდეგ იბრძოდა ათასეული პოლიციელი. როდესაც მასები გამოდიან ქუჩაში, ყაზარმის დისციპლინას ბოლო ეღება.

დილის სხდომაზე ამხ. ტელმანმა გამოაქვეყნა პოლიტიკური კომისიის განცხადება. განცხადებაში აღნიშნულია: შემარიგებელთა მიერ წარმოდგენილი პლატფორმა იმის დამამტკიცებელია, რომ შემარიგებლები მიექანებიან ლიკვიდატორობის გზით. შემარიგებლების პლატფორმა წარმოადგენს რევიზიის ცდას ლენინის იმ შეხედულებათა, რომელნიც შეეხებიან სტრატეგიას, ტაქტიკას და პარტიის ორგანიზაციას.

შემარიგებლების პლატფორმა ერთსა და იმავე დროს წარმოადგენს ცდას — ყველა შემარიგებელი ელემენტები კომინტერნში დარაზმოს იდეოლოგიურ და ორგანიზაციულ ნიადაგზე და აგრეთვე ცდას — ყველა ელემენტები შეაკავშიროს კომინტერნის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ.

ყველა იმათ, ვინც ხელი მოაწერა და ვინც მხარს უჭერს შემარიგებელთა პლატფორმას, ყრილობა უყენებს შემდეგ მოთხოვნებს:

1) ნახევრად მენშევიკური შეხედულებების უარყოფა და ყრილობაზე წარდგენილი პლატფორმის ფრაქციული ხასიათის აღიარება;
2) ყველა ფრაქციული და ჯგუფობრივი კავშირების დაუყოვნებლივ მოსპობა და
3) პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებათა და პარტიის ხელმძღვანელობის ყველა დირექტივების მტკიცედ განხორციელება. (ადს).

ერთა ლიგის საბჭოს სესიაზე

მადრიდი, 13 ივნისი. ხუთშაბათს ეროვნულ უმცირესობათა საკითხი განხილულ იქნა ერთა ლიგის საბჭოს ღია სხდომაზე. ერთხმად იქნა დადასტურებული სამშაბათს დახურულ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება. სამეულის მოხსენების დასკვნები ეროვნულ უმცირესობათა საკითხზე გადაეცა ერთა ლიგის საბჭოს, ამასთან „მოხსენების გამო შეიძლება გაკეთებულ იქნას შენიშვნები და განცხადებები“. ღია სხდომებზე გამართულ კამათში შტრეზემანმა განაცხადა, რომ სამეულის მოხსენების პრინციპიალური ნაწილი მიუღებელია გერმანიისათვის, მაგრამ აღიარა, რომ მოხსენების დასკვნები ნიშნავს „სერიოზულ გაუმჯობესებას“-ო (ეს დასკვნები, როგორც ცნობილია, შეიცავს რამდენიმე წინადადებას უმნიშვნელო ცვლილებათა შესახებ ეროვნულ უმცირესობათა პეტიციების გარჩევის წესში). ამასთან ერთად, შტრეზემანმა აღნიშნა, რომ გერმანია პრინციპიალურ გადაწყვეტილებებს ამ საკითხზე სდებს მომავალი დროისათვის. შტრეზემანის საპასუხოდ ზალესკიმ (პოლონეთი) და ტიტულესკუმ (რუმინეთი) სცნეს, რომ სამეულის მოხსენების დასკვნები განუყრელად არის დაკავშირებული მოხსენების პრინციპიალურ ნაწილთან. ბრიანმა ვრცელ სიტყვაში „მადლობა გამოუცხადა შტრეზემანს დათმობისათვის, რომელიც საშუალებას იძლევა ერთხმად იქნას მიღებული გადაწყვეტილება ამ მეტად საშიშარ და სერიოზულ საკითხზე“. ამავე დროს ბრიანმა კვლავ განავითარა იმპერიალისტური სახელმწიფოების თვალსაზრისი, რომელსაც ატარებს ერთა ლიგა და რომლის მიხედვით „დაუშვებელია იმ სახელმწიფოების სუვერენულ უფლებათა დარღვევა, რომელთა შემადგენლობაში შედიან ეროვნული უმცირესობანი“. მან განაცხადა აგრეთვე, რომ „ეროვნული უმცირესობანი საბოლოოდ უნდა გათქვეფილნ საერთო სახელმწიფოებრივ საქმიანობაში“-ო. პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ გერმანიის დელეგაცია დამარცხდა. (ადს).

რეტარეპო „პროტესტს“ აცხადებს

ბერლინი, 14 ივნისი. ჟენევიდან მიღებული ცნობით, ერთა ლიგასთან არსებული შრომის საერთაშორისო ბიუროს სესიის სხდომაზე გამოვიდა კოლუმბიის მთავრობის დელეგატი რეტარეპო, რომელმაც პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ ერთა ლიგა საბჭოთა კავშირის მიმართ აწარმოებს დათმობისა და დაახლოვების პოლიტიკას. რეტარეპომ განაცხადა: ერთა ლიგის წრეებში საბჭოთა დელეგატებს „მეტად კარგად მოეპყრნენ“, მაშინ, როდესაც ცნობილია, რომ ბოლშევიკური აგენტები მთელ მსოფლიოში აშკარად ქადაგებენ სისხლის - მღვრელ რევოლიუციასა და სამოქალაქო ომსო. რეტარეპოს სიტყვას ტაშით შეხვდა ბევრი დელეგატი. (ადს)

მოწოდება წითელი დღისათვის მზადების შესახებ

მოსკოვი, 14 ივნისი. პროფინტერნის აღმასბიურომ მოწოდებით მიმართა რევოლიუციონური პრესის ორგანოთა მუშკორებს — აქტიური მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო წითელი დღის მომზადებასა და ჩატარებაში. (ადს)

შეტევა მუშების წინააღმდეგ

ლონდონი, 13 ივნისი. ბამბის ქსოვილების საწარმოთა მფლობელთა ასოციაციამ წინადადება მისცა თავის წევრებს — 12,5 პროცენტით შეამცირონ მუშების ხელფასი. ხელფასის შემცირება ვრცელდება ლანკაშირის საფეიქრო მრეწველობის 500.000 მუშაზე. (ადს)

ცვლილებები საკ. კომპარტიის მოსკოვის შემადგენლობაში

მოსკოვი, 14 ივნისი. საკავშირო კომპარტიის (ბ) მოსკოვის კომიტეტის პლენუმმა, რომელიც ეხლახან დამთავრდა, დაადგინა — გაანთავისუფლოს მოსკოვის კომიტეტის სამდივნოს წევრის მოვალეობისაგან ამხ. მიხაილოვი, და მის მაგივრად სამდივნოში შეყვანილ იქნას ამხ. სტრიევსკი.

კანდიდატობიდან სამდივნოს წევრად დამტკიცებულ იქნა ამხ. ზაიცევი (სოფლად მომუშავე განყოფილების გამგე).

მოსკოვის კომიტეტის ბიუროს შემადგენლობა შევსებულ იქნა შემდეგი ამხანაგებით: ბორევა (მოსკოვის კომიტეტის მუშა - ქალთა განყოფილება), კოზლოვი (კრასნო - პრესნის რაიკომის მდივანი), პალკინა (სოკოლნიკის რაიკომის მდივანი).

გადასვლა განუწყვეტელ სამუშაო კვირაზე

მოსკოვი, 14 ივნისი. მშენებელთა კავშირის ცეკამ და რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის ს. მ. უ. საბჭომ დასდეს შეთანხმება სამშენებლო მუშაობის განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლის შესახებ.

გადასვლა განუწყვეტელ მუშაობაზე უნდა მოხდეს ერთდროულად მშენებლობის ყველა დარგში, რომელთა მუშაობასაც მჭიდრო საწარმოო კავშირი აქვს ერთმანეთთან. (ადს).

კრედიტები ელექტროფიკაციისათვის

მოსკოვი, 14 ივნისი. საკავშირო სახ. მეურნ. უმაღლ. საბჭომ 13 ივნისს, ხელახლად გაანაწილა ასიგნობები ელექტროფიკაციისათვის 1928 — 29 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით. ასიგნობა რიონჰესისათვის გადიდებულ იქნა 650.000 მანეთით, ძორაჰესისათვის (სომხეთი) — 700.000 მანეთით. გამოკვლევისა და საესკიზო პროექტებისათვის დამატებით გადადებულ იქნება 500.000 მანეთი. (ადს).

რკინის მადანის აღმოჩენა

ბაქო, 14 ივნისი. განჯიდან 19 ვერსის მანძილზე აღმოჩენილ იქნა მაგნიტის ანომალია. მაგნიტის ანომალია იწვევს მაგნიტის ისრის გადახრას თითქმის ორი გრადუსით. ანომალიით დაინტერესებულმა პროფესორმა პრისპეშნიკოვმა აღმოაჩინა იმის ნიშნები, რომ მახლობლად არის რკინის დიდი მადანი. ქანების ნიმუშებს შორის იპოვნეს რკინის მადნის ნატეხები. ანომალიის რაიონის გეოლოგიური წყობა და ნაპოვნი ქანები ისეთივეა, როგორიც არის დაშკესანის რკინის მადანი.

პროფესორ პრისპეშნიკოვის წინადადებით, აზერბეიჯანის ს. მ. უ. საბჭომ გადასწყვიტა — მოახდინოს იმ ადგილების გამოკვლევა, სადაც მაგნიტის ანომალიაა.

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

პოლონეთის გაზეთი „გაზეტა ვარშავსკა“ მოითხოვს ურთიერთობის გაუმჯობესებას საბჭოთა კავშირთან

„ჩვენი დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან საფუძვლიანად უნდა გადაისინჯოს“—აცხადებს გაზეთი

მოსკოვი, 14 ივნისი. ნაციონალურ სახალხო კავშირის ორგანო „გაზეტა ვარშავსკა“ ეხება საბჭოთა კავშირის ეკონომიურ ურთიერთობის გაცხოველებას მთელ რიგ დიდ სახელმწიფოებთან და სწერს:

საბჭოთა ეკონომიურ ორგანოების მიერ დადებული ხელშეკრულება საავტომობილო მრეწველობის გამოჩენილ მსოფლიო ფირმა „ფორდთან“ მოწმობს, რომ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებისა და საბჭოთა კავშირის სამეურნეო თანამშრომლობა შეუჩერებლად იზრდება. გაზეთის სიტყვით ახლო მომავალში მოსალოდნელია ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განახლება. ყველა ეს ფაქტები სრულიად აშკარად ხდიან, თუ რამდენად არის დაინტერესებული ინგლის-ამერიკის კაპიტალი საბჭოთა კავშირის ბაზრებით.

საბჭოთა კავშირი სდგას ახალ პერიოდის წინაშე კაპიტალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობაში. ფორდის გამოჩენა ნიჟნი-ნოვგოროდში არა ნაკლები მნიშვნელობის ფაქტია, ვიდრე მუშათა პარტიის გამარჯვება ინგლისის საპარლამენტო არჩევნებში.

გერმანიაც უკვე დიდი ხანია ცდილობს იმისათვის, რომ შესაფერი ადგილი მოიპოვოს საბჭოთა კავშირის ბაზრებზე.

პოლონეთი, რომელიც უდიდესი სივრცით ესაზღვრება საბჭოთა კავშირს, —სწერს „გაზეტა ვარშავსკა“,—უნდა მიდიოდეს პირველ რიგში საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობაში. მიუხედავად ამისა, ამ მიმართულებით ძალიან ცოტა რამ არის გაკეთებული. მთავარი დაბრკოლებები გვეღობება პოლიტიკურ დარგში. აქედან აშკარაა, რომ პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ საფუძვლიანად უნდა გადაისინჯოს. საჭიროა ყოველივე ზომების მიღება პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გასაუმჯობესებლად.

ლოიდ ჯორჯის პირობები მაკდონალდის მთავრობას

მოსკოვი, 14 ივნისი. „იზვესტია“-ს ლონდონელი კორესპონდენტი გადმოგვცემს შემდეგს:

ლოიდ-ჯორჯის გამოსვლას დიდი ინტერესით მოელოდნენ ინგლისის პოლიტიკურ წრეებში. ამ დღეებში ლოიდ-ჯორჯმა წარმოსთქვა პირველი სიტყვა მას შემდეგ, რაც დასრულდა საპარლამენტო არჩევნები. ლიბერალური პარტიის ლიდერმა თავის ამ სიტყვაში განაცხადა:

ჩვენი პარტია მხარს დაუჭერს მაკდონალდის კაბინეტს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მუშათა პარტიის მთავრობა არ მოახდენს სოციალისტურ ექსპერიმენტებს, ამასთანავე ლოიდ-ჯორჯმა მოითხოვა დიპლომატიური ურთიერთობის დაუყონებლივი აღდგენა საბჭოთა კავშირთან.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაშისტური პოლონეთის წინაალმდეგ

აღშფოთების ტალღა მთელ საქართველოში

საქართველოს მუშები და გლეხები აცხადებენ: „ნებას არავის მივსცემთ ჩაერიოს ჩვენს შინაურ საქმეებში.— რკინის კედელივით აღვიმართებით საბჭოთა კავშირის დასაცავად— მზად ვართ საბჭოთა ხელისუფლების პირველი დაძახებისთანავე ვეკვეთოთ მტერს“

საქართველოს მუშები და გლეხები მოითხოვენ: „საბჭოთა მთავრობამ მიიღოს ზომები, რათა პოლონეთმა ერთხელ და სამუდამოთ აიღოს ხელი პროვოკაციებზე საბჭოთა კავშირის წინაალმდეგ და მოსთხოვოს პოლონეთის მთავრობას თავის საზღვრებიდან გააძევოს ქართველი მენშევიკი ავანტიურისტები“.

საპროტესტო კრებები ადგილებზე

მტკიცედ დავიცავთ ოქტომბრის მონაპოვარს

სამტრედიის მშრომელთა პროტესტი

სამტრედია, 14 ივნისი. სამტრედიის დეპოს მუშა-მოსამსახურეთა 750 კაცისაგან შემდგარი მიტინგი, გაეცნო რა პოლონეთის მთავრობის მიერ საბჭოთა კავშირის წინაალმდეგ პროვოკაციულ გამოსვლას, ენერგიულ პროტესტს უცხადებს პოლონეთის ფაშისტურ მთავრობას, ჩვენ მოვითხოვთ პოლონეთის წარმომადგენლობის გაძევებას, რომელსაც არ სურს ჩვენთან ნორმალური ურთიერთობა. ჩვენ კი პროლეტარულ სიტყვას ვაძლევთ საბჭოთა ხელისუფლებას საჭიროების დროს იარაღით ხელში დავიცავთ ოქტომბრის მონაპოვარს.

სამტრედია, 14 ივნისი. სამტრედიის რკინის გზის მოძრაობის დარგის მუშა-მოსამსახურენი გამოვსთქვამთ ღრმა გულისწყრომას პოლონეთის მთავრობის და მოღალატე მენშევიკების მიმართ. ჩვენ მზად ვართ მთავრობის ძახილზე იარაღით ხელში დავიცავთ ოქტომბრის მონაპოვარი და გავსწიოთ წინ კომუნიზმისაკენ.

სამტრედია, 14 ივნისი. სამტრედიის პროფკავშირის წევრთა და მშრომელი გლეხობის გაერთიანებული კრების მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: მიუხედავად საბჭოთა კავშირის და მსოფლიო პროლეტარიატის მრავალჯერ გაფრთხილებისა, პოლონეთის ფაშისტური მთავრობა კვლავინდებურად განაგრძობს საბჭოთა კავშირის წინაალმდეგ უსირცხვილო პროვოკაციულ გამოსვლებს. ჩვენ მოვითხოვთ საბჭოთა მთავრობიდან სასტიკი წინაალმდეგობა გაუწიოს ყველა იმათ, ვინც მოინდომებს ჩვენი სოციალისტური მშენებლობისათვის ხელის შეშლას. ჩვენ მზად ვართ საჭირო შემთხვევაში იარაღით ხელში დავიცვათ ჩვენი მუშურ-გლეხური რესპუბლიკა და ოქტომბრის მონაპოვარი.

სამტრედია, 14 ივნისი. სამტრედიის გაერთიანებულ ადგილკომში შემავალი მუშა-მოსამსახურეები ჩვენ ხმას ვურთებთ საქართველოს მშრომელთა ერთსულოვან პროტესტს და მოვითხოვთ საბჭოთა ხელისუფლებისაგან გაძევოს საქართველოდან პოლონეთის მთავრობის წარმომადგენელი. არავის მივსცემთ ნებას ხელი შეგვიშალონ სოც. აღმშენებლობაში.

სამტრედია, 14 ივნისი. სამტრედიის აგურის ქარხნის მუშების საერთო კრება ენერგიულ პროტესტს აცხადებს მოღალატე ქართველი მენშევიკების და პოლონეთის ფაშისტური მთავრობის პროვოკაციული გამოსვლის წინაალმდეგ.

მოითხოვენ პოლონეთის კონსულის გაძევებას

ქუთაისი, 14 ივნისი. მიწა-ტყის მუშაკთა საერთო კრება აღნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის მშრომელები, რომელნიც ახალი ქვეყნის მშენებლობაში არიან ჩაბმული, არავის მისცემენ უფლებას დაემუქრონ სისხლით მოპოვებულ თავისუფლებას. კრება კატეგორიულად მოითხოვს პროლეტარულ თბილისიდან პოლონეთის კონსულის გაძევებას.

ქუთაისი, 14 ივნისი. ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის მუშა - მოსამსახურეთა კრება ზიზღს უცხადებს პოლონეთის მთავრობას, რომელიც პანების ბრბოს წარმოადგენს და რომელიც სჩაგრავს, მუშათა კლასისა და ნაციონალურ უმცირესობათ. კრება სთხოვს მთავრობას სასტიკი პასუხის მოთხოვნას პოლონეთის მთავრობისაგან და თბილისიდან გააძევოს პანების კონსული.

ახალსენაკი, 14 ივნისი. ახალსენაკის მუშა-მოსამსახურეთა, მშრომელთა და საბჭოს წევრთა გაერთიანებული კრება ღრმა აღშფოთებას და სასტიკ პროტესტს აცხადებს საქართველოდან გაძევებული მოღალატე მენშევიკების უტიფარ ცილისწამების და პოლონეთის ფაშისტური მთავრობის ანტისაბჭოთა ზრახვების წინაალმდეგ, რაც მშვიდობიანობის ჩაშლას და ახალი იმპერიალისტური ომის გამოწვევას ნიშნავს. ჩვენ არ გვინდა ომი, მაგრამ თუ ვინმე გაბედავს და გვაიძულებს ჩაგვითრიოს ომში, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცავთ ოქტომბ. მონაპოვარს. ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ პოლონეთის მიერ საბჭოთა მთავრობის წინადადებათა დაკმაყოფილებას, წინაალმდეგ შემთხვევაში პოლონეთის საკონსულოს გაძევებას საქართველოდან საბჭოთა მთავრობის მიერ.

გაუმარჯოს ოქტომბრის სადარაჯოზე მყოფ მუშურ-გლეხურ წითელ არმიას.

რკინის კედელივით ავიმართებით მტრების წინაალმდეგ

ქუთაისი, 14 ივნისი. რკინის გზის დეპოს და სალიანდაგო დარგის მუშა - მოსამსახურეთა მიტინგი, რომელსაც 800 კაცამდე დაესწრო, სასტიკ პროტესტს აცხადებს პოლონეთის ფაშისტური მთავრობის და მისი ლაქიის ქართული მენშევიკების პროვოკაციის გამო. კრება მოითხოვს საკადრისი პასუხის გაცემას მუშათა კლასის ჯაშუშებისათვის. ჩვენი ქვეყნის მშრომელთ არ სურს ომი, მაგრამ თუ კი იძულებულს გაგვხდიან, რკინის კედელივით აღვიმართებით მტრის საწინაალმდეგოთ პროლეტარულ სამშობლოს დასაცავად.

ქუთაისი, 14 ივნისი. რიონჰესის პირველი და მეორე უბნების მუშა - მოსამსახურეთა მიტინგი, რომელსაც 800 კაცი დაესწრო, მოითხოვს წითელი თბილისიდან პოლონეთის ფაშისტურ პანების მთავრობის წარმომადგენელის დაუყოვნებლივ გაძევებას. ჩვენ, — ნათქვამია მიღებულ რეზოლუციაში, — მზად ვართ მედგრად დავიცვათ საბჭოთა სოციალისტური მშენებლობა და არავის მივსცემთ ნებას დაემუქროს ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართ.

ღირსეული პასუხს გავსცემთ ავანტიურისტებს

ქუთაისი, 14 ივნისი. რიონჰესის სამუშაოთა მუშა - მოსამსახურეების კრება აცხადებს, რომ ცეცხლის ალში გავხვევთ ყველა იმ ავაზაკებსა და არამზადებს, რომელნიც მოისურვებენ ხელის შეშლას ჩვენთან მშვიდობიანი მშენებლობისათვის.

ქუთაისის ინჟენერ-ტეხნიკოსების პროტესტი

ქუთაისი, 14 ივნისი. ინჟენერ - ტეხნიკოსთა მრავალრიცხოვანი, კრება პოლონეთის მთავრობის მოქმედების გამო მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნავს, რომ სასტიკი პასუხი მოეთხოვება მათ, ვინც ხელს უშლის ჩვენს ქვეყანაში სოციალისტურ მშენებლობის საქმეს. კრება მოითხოვს პოლონეთის ფაშიზმის წარმომადგენლის გაძევებას საქართველოს ფარგლებიდან.

ფაშისტურ მთავრობის პროვოკაციულ მოქმედებას — შრომის ნაყოფიერების ზრდით უპასუხოთ

ქუთაისი, 14 ივნისი. თამბაქოს, ბარიტის, ელსადგურის და კოლოფების ფაბრიკა-ქარხნების მუშა - მოსამსახურეთა საპროტესტო მიტინგი აღნიშნავს, რომ მუშები ფაშისტურ მთავრობისა და მენშევიკების პროვოკაციას შრომის ნაყოფიერების გასაკეცებით და თვითღირებულების შემცირებით უპასუხებენ, მაგრამ ამასთანავე ერთად მოითხოვენ პანების მთავრობის წარმომადგენლის გაძევებას წითელი საქართველოს საზღვრებიდან.

ბორჯომის მუშების ხმა

ბორჯომი, 14 ივნისი. ბორჯომის შუშის ქარხნის, საკასრე ქარხნის და ჩამწყობი განყოფილების მუშა-მოსამსახურეთა მიტინგი ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნავს: პოლონელი ფაშისტების მორიგი გამოქომაგება საქართველოდან გაძევებულ მენშევიკებისადმი ერთხელ კიდევ ნათელჰყოფს მუშათა კლასის მოსისხლე მტრების მტაცებლურ პოლიტიკას. პოლონეთის ფაშიზმის თავხედობის წინაალმდეგ ვაცხადებთ სასტიკ პროტესტს და გადაჭრით მოვითხოვთ მათთან დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტას და მათი წარმომადგენლობის გაძევებას ჩვენი ქვეყნის ტერიტორიიდან.

არავის მივსცემთ ნებას სისტემატიურად მოაწყონ პროვოკაცია

ზესტაფონი, 14 ივნისი. რკინის-გზის მუშათა კლუბში შესდგა მუშა-მოსამსახურეთა კრება, რომელმაც ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლუცია: პოლონეთის მთავრობა მფარველობს და აქეზებს ჩვენი ქვეყნიდან გაძევებულ კონტრ-რევოლუციონერებს. პოლონეთის მთავრობა თანაგრძნობით ეპყრობა თეთრგვარდიელ თავდამსხმელებს და უმსუბუქებს მათ სასჯელს. ჩვენ ჩვენს ქვეყანაში ვაწარმოებთ სოციალისტურ აღმშენებლობას, საგარეო პოლიტიკაში კი ვიბრძვით მშვიდობიანობისათვის. არავის მივსცემთ ნებას, რომ სისტემატიურად მოგვიწყოს პროვოკაციები და მთელი ენერგიით შევებრძოლებით საბჭოთა კავშირის წინაალმდეგ მიმართულ ყოველგვარი სახის კონტრრევოლიუციონურ გამოსვლებს.

საპროტესტო მიტინგი შორაპანში

შორაპანი, 14 ივნისი. შორაპნის დეპოს, შავი ქვის გადამტვირთავი მუშების და ადგილკომებში გაერთიანებულ მუშა-მოსამსახურეთა მიტინგზე ერთხმად მიიღეს რეზოლუცია, რომელშიაც ნათქვამია: პოლონეთის მთავრობამ თავშესაფარი მისცა საქართველოდან გაძევებულ ლაქია მენშევიკებს, პოლონელი ფაშისტები ახდენენ პროვოკაციულ გამოსვლებს საბჭოთა რესპუბლიკების წინაალმდეგ მაშინ, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება იცავს მშვიდობიანობას. ჩვენ მოვითხოვთ ფაშისტური მთავრობის წარმომადგენელი გაძევებულ იქნას საქართველოდან, და ერთხელ და სამუდამოთ საზღვარი დაედოს პოლონელი პანების თავხედობას.

ზიზღი პოლონელ პანებს—გადახვეწილ თეთრგვარდიელთა მფარველებს

საჯევახო, 14 ივნისი. გამოჩინებულის თემის მასიური კრება აღშფოთებას გამოსთქვამს მენშევიკებისა და პოლონეთის ფაშისტურ მთავრობის მოქმედების გამო. კრება პატიოსან სიტყვას იძლევა დაიცვას მუშურ-გლეხური ხელისუფლება ყველა იმ პირთაგან, ვინც ხელს უშლის სოციალისტურ მშვიდობიან აღმშენებლობას.

ზემო-ხეთა, 14 ივნისი. ზემო-ხეთის მშრომელთა კრება, რომელსაც დაესწრო 400-დე კაცი, მოითხოვს ბოლო მოეღოს ბურჟუაზიულ აგენტ მენშევიკებისა და პოლონეთის მთავრობის პროვოკაციულ მოქმედებას.

ხიდისთავი, 14 ივნისი. ხიდისთავის მოქალაქეთა საპროტესტო მიტინგი სასტიკად გმობს პოლონეთის მთავრობას, რომელიც მფარველობას უწევს უპასუხისმგებლო მენშევიკ-ემიგრაციის ავანტიურულ გამოსვლებს. კრება მოითხოვს რა პოლონეთის საკონსულოს გაძევებას ჩვენი ქვეყნიდან, ძმურ სალამს უძღვნის და გამარჯვებას უსურვებს პოლონელ მშრომელებს ბურჟუა-მემამულეთა წინაალმდეგ ბრძოლაში.

სურამი, 14 ივნისი. სურამის მუშა მოსამსახურეების და მშრომელი გლეხობის საპროტესტო მიტინგი ზიზღს უცხადებს რა გახვეწილ მენშევიკებსა და პოლონეთის მთავრობას მათი სამარცხვინო მოქმედების გამო, მოითხოვს პოლონეთის წარმომადგენლობის გაძევებას საბჭოთა კავშირიდან.

ცხემლისხიდი, 14 ივნისი. ღვაზზუს მშრომელთა მიტინგი მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნავს პოლონეთის მთავრობის უტიფარ ჩარევას ჩვენს შინაურ საქმეებში. კრებას საჭიროდ მიაჩნია ჩვენი ქვეყნის ფარგლებიდან ჩვენი დაუძინებელი მტრის—პოლონელ პანების წარმომადგენლობის გაძევება.

კულაში, 14 ივნისი. კულაშის თემის მრავალრიცხოვანი კრება სასტიკ გულისწყრომას უცხადებს პოლონეთის ფაშისტურ მთავრობას თავისი არაერთხელ განმეორებულ პროვოკაციულ მოქმედების გამო. კრება მოითხოვს მთავრობისაგან 24 ს. განმავლობაში გააძევოს პოლონეთის მთავრ. წარმომადგენლობა საბჭ. კავშირის ტერიტორიიდან და აღუთქვამს ხელისუფლებას იარაღით ხელში დაიცვას დიდი რევოლიუციის მონაპოვარი.

ლანირი, 14 ივნისი. ლანირ-ჯაგანის საერთო კრება სასტიკად გმობს გაბანდიტებულ მენშევიკებსა და პოლონეთის მთავრობის უკანასკნელ მოქმედებას მიმართულს საბჭოთა კავშირის წინაალმდეგ. კრება მოითხოვს რა პოლონეთის საკონსულოს დაუყოვნებლივ განდევნას, სიტყვას იძლევა, რომ პირველ მოწოდებისთანავე როგორც ერთი კაცი დადგება ფეხზე პროლეტარულ სამშობლოს დასაცავად.

ქუთაისი, 13 ივნისი. პროლეტმწერლების და ხელოვნების დარგის მუშაკთა კრებამ მოისმინა ინფორმაცია პოლონეთის ფაშისტების პროვოკაციის შესახებ. კრება ერთსულოვნად მოითხოვს საქართველოს და საბჭოთა კავშირის მთავრობისაგან პოლონეთის წარმომადგენლის გაძევებას.

ქუთაისი, 14 ივნისი. ხეჭიმო დარგის მუშაკთა მიტინგი ერთსულოვან აღშფოთებას გამოსთქვამს იმპერიალისტების ფინიის პოლონეთის პანების თავხედობის გამო.

ლიხაური. 14 ივნისი. ლიხაურის მშრომელი მოსახლეობა პროტესტს აცხადებს პოლონეთის მთავრობის თავხედური მოქმედების გამო. მეცხრე წელია, რაც საქართველოს მშრომელები სოციალისტურ მშვიდობიან აღმშენებლობას აწარმოებენ, და დარაჯად უდგანან ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარს. ვაი იმას, ვინც საბჭოთა კავშირთან ბრძოლას მოიწადინებს. კრება მოითხოვს პოლონეთის საკონსულოს დაუყოვნებლივ გაძევებას.

შემოქმედი, 14 ივნისი. შემოქმედის მრავალრიცხოვანი კრება მოითხოვს საქართველოს ფარგლებიდან პოლონეთის საკონსულოს გაძევებას და მოუწოდებს პოლონეთის მუშათა კლასს გავლენა მოახდინოს პოლონეთის მთავრობაზე, რათა უკანასკნელმა პოლონეთის საზღვრებიდან გააძევონ გახრწნილი ემიგრანტები.

ფხიზლად ვიდგომებით ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე

ტყიბული, 14 ივნისი. ტყიბულის საბჭოთა და სავაჭრო პროფკავშირის წევრთა და სარიწაო კოოპერაციის თანამშრომელთა კრების მიერ მიღებული რეზოლუცია აღნიშნავს: პოლონეთის მთავრობა სისტემატიურად განაგრძობს საქართველოდან განდევნილი მენშევიკების მხარის დაჭერას ჩვენი ქვეყნის წინაალმდეგ და ამზადებს ნიადაგს ახალი სისხლის ღვრისათვის. ჩვენ მზად ვიყავით და ვართ მშრომელთა დიქტატურის ქვეყნის დასაცავად და მოვითხოვთ პოლონეთის წარმომადგენლის გაძევებას წითელი თბილისიდან.

ტყიბული, 14 ივნისი. ტყიბულის საბჭოთა საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურეები გამოვსთქვამთ ღრმა გულისწყრომას პოლონეთის მთავრობის პროვოკაციული გამოსვლის გამო.

ტყიბული, 14 ივნისი. ტყიბულის ტრანსპორტის მუშა-მოსამსახურეთა კრება მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნავს, რომ პოლონეთის მთავრობა, რომელიც სულს უხუთავს საკუთარი ქვეყნის მუშათა კლასს და ნაც. უმცირესობებს, ცინიკურად ასაღებს თავს მცირე ერების განმანთავისუფლებლად. საქართველოდან გაძევებული მენშევიკებისათვის მხარის დაჭერა პოლონეთის ფაშისტური მთავრობის მიერ წარმოადგენს ჩვენს შინაურ საქმეებში ჩარევას და ნიადაგის მომზადებას ახალი ომისათვის. პოლონელი ფაშისტების და ქართველი მენშევიკების ყოველგვარ ცდას შეაფერხონ ჩვენი მშვიდობიანი აღმშენებლობა, ჩვენ უპასუხებთ ჩვენი რიგების კიდევ უფრო შემჭიდროებით.

სალიანდაგო მუშა-მოსამსახურეთა პროტესტი

სალიანდაგო დარგის მუშა-მოსამსახურეთა კრებამ მოისმინა ამხ. პრიუსეცკის მოხსენება პოლონეთის მთავრობის უკანასკნელ ანტისაბჭოთა ნაბიჯების შესახებ. კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია:

მოვისმინეთ ცნობა ამხ. პრუსეცკისა პოლონეთის მთავრობის მოქმედების შესახებ, რომელიც თავშესაფარს აძლევს საქართველოდან განდევნილ მენშევიკებს, მე-6-ე უბნის მუშა - მოსამსახურენი სასტიკ პროტესტს ვაცხადებთ და მოვითხოვთ პოლონეთის მთავრობიდან დადებულ პირობის შესრულებას, და კონტრ - რევოლიუციონური მენშევიკების განდევნას პოლონეთიდან; გარდა ამისა კრება მოითხოვს, პოლონეთის წარმომადგენლობის გაძევებას ჩვენი ქვეყნიდან.

სახკინმრეწვის მუშა-მოსამსახურეთა რეზოლიუცია

მოვისმინეთ რა ცნობა პოლონეთის მთავრობის და ქართველ და უკრაინელ თეთრგვარდიელ - ემიგრანტების პროვოკაციული გამოსვლების შესახებ, ჩვენ, სახკინმრეწვის მუშა - მოსამსახურეები და კინო - აქტიორები, კატეგორიულ პროტესტს ვაცხადებთ, საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებში პოლონეთის მთავრობის ასეთი უტიფარი ჩარევის გამო.

ქართველმა მენშევიკებმა, რომლებმაც პოლონეთს შეაფარეს თავი, იპოვეს თბილი ბინა მათ მოძმე და მონათესავე კაპიტალის ლაქიებთან. დღეს ისინი პოლონეთის მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად მართავენ ანტი - საბჭოთა დემონსტრაციებს.

წითელი საქართველოს მუშები და გლეხები გამოჩერჩეტებული მენშევიკებისა და პილსუდსკის მომხრეების პროვოკაციულ გამოსვლებს უპასუხებენ თავისი რიგების მეტი შემჭიდროებით და ყოველთვის მზად იქნებიან, რომ სათანადო პასუხი გასცენ ყველა მათ, ვინც გაბედავს ოქტომბრის მონაპოვართა წინაალმდეგ გალაშქრებას.

მოვითხოვთ გაძევებულ იქნას ჩვენი ქვეყნის საზღვრებიდან პოლონეთის მთავრობის წარმომადგენლები.

ხელები შორს, საბჭოთა კავშირისაგან!

აზერბაიჯანის და სომხეთის მწერლები თბილისში

დელეგაციის წევრები ამხ. მიხა ცხაკაიასთან

გუშინ დილით სომხეთის და აზერბაიჯანის მწერალთა დელეგაციები მიიღო საქართველოს ცაკის თავმჯდომარემ ამხ. მიხა ცხაკაიამ, რომელმაც საქართველოს მშრომელთა და მთავრობის სახელით მიესალმა დელეგატებს, სხვათა შორის, შემდეგი სთქვა:

„თავისი შრომით ლიტერატორები ხელს უნდა უწყობდნენ სოციალიზმის შენებას, ბურჟუაზიას არ შეიძლება ეწოდოს კულტურის მატარებელი; კულტურით იგი სარგებლობს ხალხთა გონების მოსაშხამავათ; მხოლოდ საბჭოთა კულტურას შეუძლია იამაყოს იმით, რომ იგი ნამდვილად ემსახურება მასების აღზრდის საქმეს. მით უფრო სასიამოვნოა ჩემთვის, რომ ვხედავ ამ დარგის მუშაკთა წარმომადგენლებს“.

საპასუხო სიტყვაში სომხეთის მწერალთა დელეგაციის თავმჯდომარემ ამხ. შირვანზადემ განაცხადა:

„წინად საქართველოზე ლაპარაკობდნენ, რომ იგი მშვენიერია. ის, რის ნახვაც ჩვენ მოვასწრეთ საქართველოში ჩამოსვლის დღიდან, სრულ საბაბს გვაძლევს ვთქვათ, რომ საქართველო არა მარტო მშვენიერია, არამედ ძლიერიცაა. ამიერ-კავკასიაში ამჟამად შექმნილია ისეთი პირობები, რომ მშრომელ მასებს ბევრის გაკეთება შეუძლიათ, რადგან მენშევიკური ხანჯლის, დაშნაკური მაუზერის და მუსავატისტური ხმლის ბატონობა ისტორიას ჩაბარდა“.

„პროლეტარიატის ენერგია, მისი წითელი არმიის ხიშტების და ჩვენი კალმები ისეთი ძალაა, რომელიც ადვილად შესძლებს ყოველგვარი დაბრკოლებათა გადალახვას“,—განაცხადა აზერბაიჯანის მწერალთა დელეგაციის თავმჯდომარემ ამხ. ახვერდოვმა.

შემდეგ დელეგატებმა ინახულეს ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. შ. ელიავა.

ამხ. შ. ელიავასთან

ურთიერთ მისალმების დროს ამხ. შ. ელიავამ შემდეგი სიტყვით მიმართა სტუმრებს:

„მართალია, ცალკე მწერლებს შორის წარსულშიაც იყო მეგობრული ურთიერთობა, მაგრამ ასეთ მასიურ კავშირს ადგილი არ ჰქონია. ქვეყნის წინაშე სდგას აუარებელი საერთო ამოცანები. ამიერ-კავკასია წარმოადგენს ერთ რაიონს, ერთიანი ეკონომიური ამოცანებით. ამ ფედერაციაში შემავალ ცალკე რესპუბლიკების ამოცანები მჭიდროდაა გადაჯაჭვული ერთმანეთთან, ამიტომ ურთიერთ ინტერესების გათვალისწინების გარეშე რაიმეს გაკეთება შეუძლებელი იქნება, მასიური აღმშენებლობის სისტემა მოითხოვს ყველა სახის იარაღების გამოყენებას შრომის რაციონალურად განაწილების საფუძველზე; კულტურა ერთ-ერთ ამ იარაღთაგანს წარმოადგენს, მაგრამ დღემდე ეს იარაღი სუსტად იყო გამოყენებული. ამიერ-კავკასიის მწერალთა შეთანხმებულ მუშაობას უდიდესი როლის შესრულება შეუძლია სოციალისტურ აღმშენებლობის საქმეში. მწამს, რომ თქვენი ენერგიით და ჩვენის დახმარებით მწერლობა ბრწყინვალედ შეასრულებს დაკისრებულ ამოცანებს“.

გამომშვიდობებისას ამხ. ახვერდოვმა განაცხადა:

„იმ ადგილზე, რომელიც წინად თვითმპყრობელობის წარმომადგენლებს ჰქონდათ დაკავებული და სადაც ერთა შორის მტრობის გეგმები მუშავდებოდა, დღეს მშრომელთა ნებისყოფის განსახიერებას ვხედავთ. ჩვენ, მწერლები ბედნიერნი ვართ ვემსახუროთ ამ ნებისყოფას“.

სამხატვრო აკადემიაში

სამხატვრო აკადემიაში [illegible]

სამხატვრო აკადემიაში მისვლისას დელეგატებს მიეგება აკადემიის რექტორი ამხ. შ. დუდუჩავა. დელეგატები ყურადღებით ათვალიერებდნენ სტუდენტთა ნამუშევარს და აღტაცებაში მოდიოდნენ. დაათვალიერეს აკადემიის ყველა განყოფილებები, ამხ. დუდუჩავამ სტუმრებს მოკლედ გააცნო აკადემიის მიღწევები და პერსპექტივები.

—„თუმცა მიღწევები ბევრია, მაგრამ ეს ჩვენ არ გვაკმაყოფილებს. წელს ვაპირობთ კიდევ კინო-ფაკულტეტის გახსნას, განაცხადა ამხ. დუდუჩავამ, რომელსაც დელეგატებმა აუარებელი შეკითხვები მისცეს.

ნახულით კმაყოფილი დელეგატები სახელმწიფო უნივერსიტეტში გაემგზავრნენ.

სახელმწიფო უნივერსიტეტში

უნივერსიტე[illegible]სავალ კიბეზე აუარებელი სტუდენტე[illegible]ენ თავმოყრილი. შესავალთან სტუმრებს დახვდა პროფ. შ. ნუცუბიძე.

დიდი ინტერესი გამოიწვია დელეგატებში უნივერსიტეტის მუზეუმის დათვალიერებამ.

უნივერსიტეტის კლუბი სტუმრების მოლოდინში სტუდენტებით იყო გაჭედილი. დელეგატების გამოჩენას ისინი მქუხარე ტაშით ეგებებიან და ფეხზე ადგომით სცემენ პატივს. სტუდენტებისა და პროფესურის სახელით სტუმრებს პროფ. შ. ნუცუბიძე მიესალმა.

„ბურჟუაზიული წყობილების პირობებში უნივერსიტეტების ისტორია შოვინისტური სულისკვეთების ჩანერგვით ხასიათდება. ჩვენი უნივერსიტეტი განსხვავდება მათგან იმით, რომ იგი ინტერნაციონალური სულისკვეთებით ზრდის ახალ თაობას. ნება მიბოძეთ მოგესალმ[illegible] იმ სტუდენტთა და პედაგოგთა სახელით, რომელიც ძმურ ეროვნებათა წარმომადგენლებს ტაშით შეეგებნენ“.

დამსწრეები მქუხარე ტაშით შეხვდნენ აზერბაიჯანის დელეგაციის თავმჯდომარის ამხ. ახვერდოვის სიტყვას, იგი მიესალმა აზერბაიჯანის უნივერსიტეტის (სადაც იგი თანამშრომლობს) სტუდენტებისა და პროფესურის სახელით.

სომხეთის დელეგაციის თავმჯდომარემ ამხ. შირვან-ზადემ განაცხადა: „ის შენობა, რომელშიაც ამჟამად თქვენი უნივერსიტეტია მოთავსებული, ერთ დროს სათავადაზნაურო გიმნაზიას ჰქონდა დათმობილი. მე მახსოვს, რომ აღნიშნული სასწავლებლის მოწაფეებსა და სომხური სემინარიის მოწაფეებს შორის ხშირად ადგილი ჰქონდა შეტაკებებს. ეს ფაქტი ნაყოფი იყო იმ პოლიტიკის, რომელსაც ატარებდა მაშინდელი წყობილება. დღეს ზეიმობს ძმური თანამშრომლობის და სოლიდარობის იდეა, რაც ნაყოფია ქვეყნის კულტურულ ძალების შრომისაც“.

— „მარქსის და ენგელსის ინტერნაციონალური ლოზუნგი, სთქვა ეკონომიური ფაკულტეტის დეკანმა ამხ. ერქომაიშვილმა, მენშევიკებისათვის იყო ნიღაბი, რომელსაც უნდა დაეფარა მათი ბნელი ზრახვები, როცა ისინი ბატონობდნენ. ამ დრომ განვლო, ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკების მშრომელთ ერთი და იგივე მიზნები გვაქვს, მიზნები არა მარტო პოლიტიკური და ეკონომიური ხასიათისა, არამედ კულტურულიც და ამიტომ შურსა და მტრობას ჩვენს შორის ვერ ექნება ადგილი“.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ს. ეული და სტუდენტი ბობოხიძე.

უკვე სამი საათია. მწერლები გამოემშვიდობენ სტუდენტობას და პროფესურას, რომლებმაც ისინი მქუხარე ტაშით გააცილეს.

სხედან: აბოვი, სარიანი, მირაჯიანი, დგანან: ფაჯი, ტარონცი, ალაზანი

ტოტოვენც, მაგარი, არმენ, ვარდანიან

მუშათა კლუბებში

ამიერ-კავკასიის მწერალთა შეხვედრა თბილისის მუშებთან

გუშინ, სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს საბჭოთა მწერლები დაიყვნენ ჯგუფებათ და კლუბებში მოაწყვეს შეხვედრა თბილისის პროლეტარებთან.

მწერლებისა და მუშების შეხვედრის საღამო გაიმართა ორჯონიკიძის სახელობის, ნარიმანოვის სახელობის, მბეჭდავთა და ტყავ - ტრესტის მუშათა კლუბებში.

ყველგან ამიერ - კავკასიის საბჭოთა მწერლებს მუშათა აუდიტორია შეხვდა ენტუზიაზმით და იშვიათი პროლეტარული სტუმართმოყვარეობით.

მწერლებს თავიანთი საწარმოების სახელით მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს მუშებმა, რომლებმაც სრული სისწორით შეაფასეს ამიერ - კავკასიის საბჭოთა მწერლების გაერთიანების ფაქტი და უწოდეს ამ მოვლენას ამიერ - კავკასიის მშრომელთა ნებისყოფის გამარჯვება, რომელიც ღირსია შევიდეს ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა მატიანეში. მუშების დასკვნით, ამიერ - კავკასიის მწერალთა შეკავშირება საწინდარია იმისი, რომ მუშათა კლასი საბჭოთა მწერლებთან ხელიხელ ჩაკიდებული ადვილად დასძლევს იმ დაბრკოლებებს, რომელიც წინ ეღობება კულტურულ რევოლიუციას და აფერხებს სოციალისტურ აღმშენებლობას.

მუშების მისალმების შემდეგ საპასუხო მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს სამივე რესპუბლიკის საბჭოთა მწერლების დელეგაციის წარმომადგენლებმა. ორჯონიკიძის კლუბში მუშებს მიესალმენ თურქი პოეტი სანლი; პოეტი აზატ ვშტუნი, სტეფანე ზორიანი და სანდრო ეული; ნარიმანოვის სახელობის კლუბში: გუსეინ სადიხ, არმენი ავეტისოვი, ემილ ბეილი, მირაქიანი, ლისაშვილი; და პ. იაშვილი; ორთაჭალის მუშათა კლუბში: ს. ჩიქოვანი, სომეხი დრამატურგი დემირჩიანი, სულეიმან ხანი, დარბინიანი და არუტინიანი. მწერლებმა მუშებს აღუთქვეს, რომ თავის მხატვრული შემოქმედებით ისინი შეეცდებიან მუშათა კლასს და მშრომელ გლეხობას დაეხმარონ იმ დიდ ამოცანების გადაჭრაში, რომელთაც მათ წინაშე აყენებს სოციალისტური აღმშენებლობა, რომ მათ ამიერიდან ექნებათ მუდმივი საქმიანი კავშირი მუშათა მასებთან.

დახასრულ ყველა ეროვნების პოეტებმა წაიკითხეს საკუთარი ლექსები. ნარიმანოვის სახელობის კლუბში გამოვიდნენ შემდეგი პოეტები: ირაქიანი, ნარიმან ფარხი, ლისაშვილი, სულეიმან რუსტამი, ვარლამ ურული, სარიანი; ორთაჭალის კლუბში — ს. ჩიქოვანი, გეორქ გრიკი, ჯავიდი; დარბინიანი და გ. ქუჩიშვილი. ორჯონიკიძის კლუბში: — სანლი, აზატ ვშტუნი, ნავთლუღელი, ბობოხიძე, სანდრო ეული; პაოლო იაშვილი; ტ. ტაბიძე და ი. გრიშაშვილი, რომელმაც წაიკითხა ოვანეს თუმანიანის ლექსი, „ქართველ მწერლებს“ მის მიერ ქართულად თარგმნილი.

თითეული პოეტის გამოსვლა მუშებში იწვევდა აღტაცებას და მქუხარე ტაშს.

დღეს 8 საათზე ამიერ - კავკასიის საბჭოთა მწერლები ესტუმრებიან წითელარმიის ნაწილებს.

დილის 10 საათზე ხელოვანთა სასახლეში გაიმართება ამიერ - კავკასის საბჭოთა მწერლების საქმიანი თათბირი.

სომხეთის და აზერბაიჯანის პროლეტ მწერალთა ჯგუფი სახ. უნივერსიტეტის მუზეუმში

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომ. პლენუმზე

გუშინ საღამოს 6 საათზე ბლმასკომის დარბაზში შესდგა ს. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მე-4 პლენუმის მორიგი სხდომა, რომელზედაც მოსმენილი იქნა ამხ. ვარდანიანის მოხსენება საბჭოთა აპარატის წმენდის შესახებ.

როგორ ჩატარდება საბჭ. აპარატის წმენდა

სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის და კლასთა ბრძოლის გამწვავების პირობებში, — სთქვა ამხ. ვარდანიანმა, — საბჭოთა აპარატის წმენდას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება; ჩვენი აპარატი თავისი სტრუქტურით ბიუროკრატიული არ არის, მაგრამ მისი მუშაობა ბევრად არის დამოკიდებული პირად შემადგენლობის თვისებებზე. ბიუროკრატიული გადამახინჯებანი, რომელთაც ადგილი აქვს ჩვენს აპარატში, განსაკუთრებით საშიშია ეხლა, რადგანაც, მათ შეუძლია უარყოფითი გავლენა იქონიონ ხუთწლიანი გეგმის შესრულების საქმეზე. ზოგჯერ აპარატში მომუშავე პირთა ბიუროკრატიზმი პირდაპირ ზღაპრულ საზღვრებს აღწევს. იყო შემთხვევა, როცა 1 კაპიკის საქმე 40 მანეთი დაჯდა (მისი სასამართლოს ორგანოებში გადატანის წყალობით).

ასეთი მოქმედებანი ბევრ შემთხვევაში აშკარა მავნებლობის შედეგია, რომელსაც ადგილი აქვს უცხო ელემენტების მხრივ.

თუ რამდენად ბევრია ასეთი ელემენტები ჩვენს აპარატში, ამის დასასურათებლად შეიძლება შემდეგი ფაქტის მოყვანა: რუსეთის და უკრაინის სოც. საბჭ. რესპუბლიკების ზოგიერთ ოლქებში საცდელმა წმენდამ გამოააშკარავა აპარატებში 372 ყოფილი პოლიციელი და ჟანდარმი, 833 ყოფ. ვაჭარი და ქარხნის პატრონი, 437 მემამულე და კულაკი, 2.444 ყოფ. აქტიური თეთრგვარდიელი და სხვ. ერთ - ერთ დაწესებულებაში აღმოჩენილ 301 თავად - აზნაურთაგან 250 მუშაობდა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. ამ.-კავკასიის რკინისგზის განჯის უბანში მომუშავეებიდან 16 ყოფილი ჟანდარმი აღმოჩნდა. ცხადია, რომ ასეთი ხალხი ჩვენს აღმშენებლობაზე თავს არ შეიწუხებს და წინაალმდეგობასაც გაგვიწევს.

საბჭოთა აპარატის წმენდის საკითხი სავსებით მომწიფებულია. ყველა ის უცხო ელემენტები, რომლებიც ამახინჯებენ კლასიურ ხაზს, იჩენენ უყაირათობას, სიზარმაცეს და ბიუროკრატიზმს, დაუზოგავად უნდა იქნან განდევნილი სახელმწიფო აპარატიდან. რომ გაწმენდილს არ ექნეს მეორე დაწესებულებაში მოკალათების საშუალება, მას უნდა მიეცეს ისეთი საბუთები, რომელიც შეუძლებელს გახდის გაწმენდილის გადრომას სხვა დაწესებულებებში.

ზოგიერთს აპარატის წმენდა წარმოუდგენია შტატის შემცირებად. ეს სწორი არ არის. გაწმენდილთა ადგილი ჩვენ უნდა შევავსოთ ახალი ძალებით მუშათა და ახალგაზრდ. სპეციალისტთა წრიდან. ამიტომ წმენდის საკითხი მჭიდროთაა გადაჯაჭვული მუშათა დაწინაურების საკითხთან.

აპარატის წმენდის ჩატარება შეუძლებელია მშრომელთა ფართე მასების მონაწილეობის გარეშე, ამიტომ პარტიულ ორგანიზაციის წინაშე ისმება ამოცანა, ფართე ახსნა - განმარტების ჩატარება მუშათა შორის. ამასთანავე მკაცრი წინაალმდეგობა უნდა გაეწიოს ყველა მათ, ვინც შეეცდება წმენდის გამოყენებას კინკლაობისათვის და კარიერისტული მიზნებისათვის. რუსეთის ზოგიერთ რაიონებში ჩატარებულმა წმენდამ გვიჩვენა, რომ წმენდის დროს ადგილი ჰქონდა მრავალ შეცდომებს, მაგ., გაწმენდის საბაბად იყენებდნენ იმას, რომ ესა თუ ის თანამშრომელი „თავადის შთამომავლობისაა“. ცხადია, ამასაც აქვს მნიშვნელობა, მაგრამ მარტო ამის გამოყენება მოხსნის საბაბად არ კმარა, თუ კი უცხო სოციალურ წრიდან გამოსული პირი პატიოსნად და საქმისათვის სასარგებლოდ მუშაობს, ის უნდა დატოვებულ იქნას თავის ადგილზე.

სულ შემოღებული იქნება 3 კატეგორია.

პირველ კატეგორიაში მოყოლილ პირთ, როგორც ჩვენთვის უცხო და მავნე ელემენტებს სრულებით არ მიეცემათ სახელმწიფო, კოოპერატიულ და სხვ. ორგანოებში მუშაობის უფლება, მეორე კატეგორიაში შედიან ისეთი პირები, რომლების მუშაობაც ამა თუ იმ დაწესებულებაში მიზანშეუწონელია და რომელთა გამოყენებაც შეიძლება სხვა ადგილზე, მესამე კატეგორიაში კი ისეთები, რომლებსაც აეკრძალებათ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობა.

მოხსენების დამთავრების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ამხ. ბეჟირგანოვმა, საყვარელიძემ, გულივერდაშვილმა, ვალიაშვილმა, ანთაძემ, შახსუვაროვმა, ჟოჟიკაშვილმა; ზ. ლეჟავამ, მიროტაძემ და სხვ.

ორატორები სავსებით დროულად სცნობდნენ საბჭოთა აპარატის წმენდის ჩატარებას და გამოსთქვამდნენ სურვილს იმ მუშათა კადრების წინასწარ მომზადების შესახებ, რომლებმაც უნდა შესცვალონ აპარატიდან განდევნილნი. ამასთანავე, შეცდომების თავიდან აშორების მიზნით, საჭიროდ სცნობდნენ მშრომელთა შორის წინასწარი ახსნა - განმარტების ჩატარებას.

ამხ. ვარდანიანის საბოლოო სიტყვის შემდეგ მიღებული იქნა სათანადო რეზოლიუცია.

გერმანიის ს.-დ. პარტიის ყრილობა

(წერილი გერმანიიდან)

ამა წლის 26 მაისს მაგდებურგში გაიხსნა გერმანიის სოც.-დემოკრ. პარტიის ყრილობა, რომელმაც უნდა მოისმინოს, შეაფასოს და კმაყოფილების ხოტბა შეასხას ფორშტანდს და 4 მინისტრს ბურჟუაზიული მთავრობაში მოღვაწეობის გამო.

როგორც მკითხველმა იცის, ეს ყრილობა უნდა მომხდარიყო ორი თვის წინეთ, მაგრამ პარტიის ცეკამ, მოსალოდნელ „წყალდიდობის“ გამო, გადასდო ის, შემდგომ დროისათვის, ესე იგი 26 მაისისათვის.

მკითხველმა არ იფიქროს, თითქოს ამ „წყალდიდობას“ რაიმე საერთო ჰქონდეს ნამდვილ წყალდიდობასთან, რომელიც გამოწვეულია ხოლმე ბუნების ძალების ზეგავლენით... არა!—ეს იყო პოლიტიკური „წყალდიდობა“ სოც.-დემოკრ. პარტიაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა ორი თვის წინეთ და რომელიც ერთნაირ უსიამოვნებას უქადდა სოც.-დემ. პარტიას და მუშათა კლასის ინტერესების გამყიდველ ბელადებს.

რამ გამოიწვია ეს პოლიტიკური „წყალდიდობა“ სოც.-დემ. პარტიაში? ამის შესახებ ბევრი რამ შეიძლება დაიწეროს. ეს არ შეადგენს ამ წერილის მიზანს, მაგრამ მაინც ორიოდე სიტყვით აღვნიშნავთ, რომ სოციალ - დემოკრატიამ დიდი დაპირება მისცა თავის ამრჩევლებს გასული წლის საპარლამენტო არჩევნებში. ამით სოც.-დემოკრატიამ გაიმარჯვა მაშინ: უკანასკნელ არჩევნებში მათ მეტი დეპუტატი გაიყვანეს. ვიდრე ძველად. არჩევნების შემდეგ გავიდა ერთი წელიწადი; ამ დროის განმავლობაში სოც.-დემ. პარტია კოალიციაში იმყოფება ბურჟუაზიასთან და ამ მოღვაწეობის დროს არა თუ რამე გააკეთა პროლეტარიატისათვის, არამედ, პირიქით, რაც ამ უკანასკნელს აქამდე მოპოვებული ჰქონდა რევოლიუციის წყალობით, ისიც კი დაეკარგა. რეფორმისტების ყოფნამ ბურჟუაზიულ მთავრობაში არავითარი სარგებლობა არ მოუტანა მუშათა კლასს.

სამაგიეროთ რაც უფრო დრო გადის სოციალისტი მინისტრები სულ უფრო და უფრო მეტს უთმობენ კაპიტალისტებს პროლეტარიატის ხარჯზე, რათა სამინისტრო სავარძლები, რომელზედაც ისინი გასუქდნენ, ხელიდან არ გამოეცალოთ. ასეთი ანტიმუშური პოლიტიკის წყალობით უკანასკნელ დროს მუშათა კლასის სიღატაკე და პოლიტიკური დაბეჩავება ძალიან გაიზარდა. ამას ზედ მიემატა სოც.-დემ. მინისტრების სრული თანხმობით გამოტანილი მთავრობის გადაწყვეტილება ჯავშნოსანი გემის აშენების დაწყების შესახებ. თქმა არ უნდა, ამან უდიდესი აღელვება გამოიწვია, როგორც პარტიის ფართო მასებში, ისე მის ამრჩევლებში. ეს აღელვება და უკმაყოფილება ელვისებური სისწრაფით ს.-დემ. პარტიის ყველა ორგანიზაციებს მოედო. იგი შეიჭრა ყველა უჯრედში, რასაც მთელი რიგი საერთო პარტიული კრებები მოჰყვა. მუშები მოითხოვდნენ ოთხი მინისტრის პარტიიდან გამორიცხვას და მათი სამარცხვინო ბოძზე გაკვრას. რადგან მათ არ შეასრულეს არჩევნების წინ მიცემული დაპირება, უღალატეს მუშათა კლასის ინტერესებს და მხარი დაუჭირეს გერმანიის ნეოიმპერიალიზმის გაძლიერებას.

დღე მუდამ პარტიის ფორშტანდი (ცეკა) იღებდა უთვალავ რეზოლიუციებს, რომელშიაც მოითხოვდნენ მინისტრების გამორიცხვას პარტიიდან. სოც.-დემოკრატიული მუშების მღელვარებამ ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა. შეიქმნა ერთობ დამაფიქრებელი მდგომარეობა პარტიის ხელმძღვანელებისათვის. ასეთ ატმოსფერაში პარტაიტაგის (პარტყრილობის) მოწვევა არასფერ სასიამოვნოს არ უქადდა რეფორმისტებს. ამიტომ გადაწყვიტეს ყრილობის გადადება მაგრამ როგორ უნდა დაესაბუთებიათ ეს ნაბიჯი? და აი ცეკამ გამოიგონა გაზაფხულის „წყალდიდობა“, რომელიც თითქოს ხელს შეუშლიდა რეფორმისტების მუშაობას. ამრიგათ პარტაიტაგი 26 მაისისათვის გადაიდო.

ამ ხნის განმავლობაში პარტიის ფორშტანდი (პარტიის ცეკა) და მისი ბიუროკრატია გასკეცებული ენერგიით მოქმედობდენ პარტიულ მასაში აღელვების დასაწყნარებლათ. აღსანიშნავია, რომ ეგრედწოდებული „მემარცხენე“ ოპოზიციამ როგორც ყოველთვის, ისე ეხლა ერთობ სამარცხვინო როლი ითამაშა ამ დაწყნარებაში. მან თავისი **მემარცხენე** ფრაზეოლოგიით **შეცდომაში შეიყვანა პარტიული მასა** და ამით **უფრო გაუადვილა ფორშტანდს** დაწყებული გაიძვერობის სისრულეში მოყვანა. ერთი სიტყვით, რეფორმისტებმა პოლიტიკური „წყალდიდობა“ თავიდან აიცდინეს, აღელვება დაწყნარდა, დანაშაული დავიწყებას მიეცა და ამის შემდეგ დაწყნარებულ ატმოსფერაში ადვილი გახდა პარტიული ყრილობის მოწვევაც.

ყრილობა იკრიბება ისეთ დროს, როცა რეფორმისტები, ბურჟუაზიასთან ერთად, აშკარა ფაშისტურ მეთოდებს მიმართავენ პროლეტარიატზე შესატევათ. სოციალ-ფაშისტებს გადაწყვეტილი აქვთ, რაც არ უნდა დაჯდეს, მოსპონ და დაიმორჩილონ რევოლიუციონური პროლეტარიატი და მისი ხელმძღვანელი კომპარტია.

სოციალ - ფაშისტების ასეთ პოლიტიკურმა ხაზმა თავისი გამოხატულება ჰპოვა, პირველ მაისობის ამბებში.

პირველ მაისის დემონსტრაცია აკრძალა ბერლინის პოლიცმეისტერმა ს.-დ. ცერგიბელმა, როგორც პრესა აღნიშნავს, მენშევიკების ცეკასთან და პროფკავშირების ხელმძღვანელებთან შეთანხმებით. ამის მიზეზი მრავალია.

გერმანეთის თანამედროვე პოლიტიკური და ეკონომიური განვითარება იწვევს მუშათა მასების სწრაფ გამემარცხენებას. გამემარცხენების პროცესში პროლეტარიატის შეგნებული ელემენტი სტოვებს ს.-დ. პარტიის რიგებს და უერთდება რევოლიუციონურ მასებს, შედის კომპარტიაში, რომ მისი ხელმძღვანელობით შეუტიოს თავდამსხმელ ბურჟუაზიას და კოალიციონურ მთავრობას, სადაც ოთხი ს.-დ. მინისტრია მოკალათებული.

ასეთი გამემარცხენების საუკეთესო დამამტკიცებელია ფაბრიკა - ქარხნების კომიტეტების არჩევნები, სადაც ოპოზიციამ, რომელსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, აბსოლიუტური უმეტესობა მიიღო და რეფორმისტები უკანა რიგებში დაჰყენა.

ეს ს.-დ. პარტიის ცეკას, მის ბიუროკრატიას და პროფკავშირების ხელმძღვანელთ, არ ეპიტნავებათ, ვინაიდან ნიშნავს მათი ნდობის დაკარგვას კაპიტალისტების თვალში, რასაც სამინისტროების პორთფელების გაუქმება უნდა მოჰყვეს შედეგათ. ბურჟუაზია იქამდე ითმენს თავის რიგებში ს.-დ. მინისტრებს, მანამ მათ მასები მისდევენ, რათა ამათ საშუალებით „მოაჰკვიანოს“ გზა - აბნეული ხალხი, დაუმორჩილოს თავის ინტერესებს, და შექმნას ხელსაყრელი პირობები მათი გაყვლეფისათვის.

პირველ მაისობის დემონსტრაციაზე რომ თანხმობა განეცხადებიათ სოც. - დემოკრატებსაც, ეს იქნებოდა მშრომელი მასების გამემარცხენების შემოწმების საუკეთესო საშუალება. ვინაიდან რეფორმისტები არ მოისურვებდენ კომპარტიასთან ერთად მოეწყოთ დემონსტრაცია, არამედ ცალკე მოუწოდებდენ თავიანთ მიმდევრებს. ეჭვი არაა, მასები რევოლიუციონურ ავანგარდს, კომპარტიას, გაჰყვებოდა. ეს დაამტკიცებდა რეფორმისტების გაკოტრებას, მათი გავლენის შესუსტების გამოაშკარავებას. ასეთი სირცხვილი რომ არ ეჭამათ გერმანეთის დედა ქალაქში, საითკენაც მსოფლიო პროლეტარიატის ყურადღება არის მიპყრობილი, ცერგიბელმა საზოგადოდ აკრძალა დემონსტრაციები ამ დღეს.

პირველ მაისობის დღესასწაულზე არაფერს მოვყვები, აქ აღვნიშნავ, მხოლოდ, რომ ის, რაც ს.-დ. პარტიამ ჩაიდინა, არ მომხდარა ვილჰელმის დროსაც. ხუთი ათეული წლის განმავლობაში, სოციალისტების კანონის შემდეგ, ჯერ არ ყოფილა ფაქტი, რომ პროლეტარიატს საშუალება არ ჰქონოდა მუშათა კლასის სოლიდარობის დღე ღირსეულად არ ედღესასწაულა. წელს ამის საშუალება მას არ მისცა ს.-დ. პარტიის წევრმა, ცერგიბელმა, ფორშტანდთან და რეფორმისტული პროფკავშირების ხელმძღვანელებთან შეთანხმებით.

პირველ მაისობის აკრძალვა იყო დასაწყისი იმ ზომებისა, რომელიც მიღებული იყო მის შემდეგ რევოლუციონურ პროლეტარიატის წინაალმდეგ. პირველ მაისობის აკრძალვას მოჰყვა კომპარტიის ცენტრალური ორგანოს „როტე ფანეს“ აკრძალვა სამი კვირით და შემდეგ კიდევ ოთხი კვირით. შემდეგ წითელ ფრონტელების, ე. ი. ფაშიზმის წინაალმდეგ მებრძოლ მთავარ ორგანიზაციის აკრძალვა.

და აი სწორედ ასეთ დროს, როცა ს.-დ. ფაშიზმისაკენ გადიხარა, როცა თავის სოციალისტურ ნიღაბს იხდის და საქვეყნოთ ამჟღავნებს თავის რეაქციონურ, ანტიმუშურ რაობას, გაიხსნა მისი მორიგი პარტაიტაგი (პარტიის ყრილობა).

რეფორმისტების კილის პარტაიტაგი მიმდინარეობდა ჰილფერდინგის მოხსენების ნიშან ქვეშ. ამ რეფერატმა კილის პარტაიტაგს განსაზღვრული სახე მისცა, მან ლიკვიდაცია უქნა თეორიულადაც ს.-დ. პარტიას, როგორც მუშათა პარტიას. ჰილფერდინგმა თავისი მოხსენებაში აღიარა ყოველნაირი პირობის გარეშე კაპიტალისტური საზოგადოება და კაპიტალისტური სახელმწიფო, ამით მან თავის პარტიას ადგილი მიუჩინა ბურჟუაზიის ბანაკში პროლეტარიატის განთავისუფლების წინაალმდეგ.

მაგდებურგის პარტაიტაგი ამ მხრივ შორს არ წასულა. მის სხდომებზე წარმოთქმული სიტყვები ჰილფერდინგის იდეოლოგიას არ გასცილებია და უნდა ვიფიქროთ, რომ ბრაიტშაიდის და კრისპიენის სიტყვები, რომელიც ჯერ არა თქმულა, ვერ გასცილდებიან ჩვეულებრივ პარლამენტარულ ლაყბობას. ამიტომ რომ წარმოვიდგინოთ ამ პარტიის იდეოლოგიური „წარმატება“, ის უნდა ვეძიოთ პარტიის სხვადასხვა გამოჩენილ ხელმძღვანელის სიტყვაში ამ პარტაიტაგზე.

დღევანდლამდე ორი უმთავრესი მომენტის აღნიშვნა შეიძლება პარტაიტაგის საქმიანობის მსვლელობაში: ს.-დ. პარტიის ფაშისტური დიქტატურაზე აშკარა ლაპარაკი, და მისი სურვილი გააძლიეროს გერმანეთის ნეოიმპერიალიზმი. ეს მომენტები თვალსაჩინოთ არის დახატული ველსის და ჰერმან მიულერის სიტყვაში.

ველსის მოხსენებამ გამოაშკარავა ს.-დ. პარტიის სრული იდეური გაკოტრება. მასში აშკარათ სჩანდა, რომ ს.-დ. პარტია ჰკარგავს გავლენას პროლეტარიატის მთავარ მასებში, და ხელმძღვანელობა გადადის კომპარტიის ხელში. ამით აიხსნება, რომ რეფერატის ნახევარზე მეტი წილი კომპარტიის წინაალმდეგ მიმართულ ლანძღვა-გინებას შეიცავდა. ველსის პირიდან გაისმა ძველი, ცნობილი უწმაწური სიტყვები.

ველსის სიტყვაზე ჩვენ არ შევჩერდებოდით, რომ შიგ, გარდა ლანძღვა - გინებისა, არ ერიოს ისეთი რამ, რაც საუკეთესოთ ამტკიცებს რეფორმისტების ფაშისტურ მეთოდებს, მათი განვითარების დღევანდელ საფეხურზე. ს.-დ. პარტიის წევრებს მიუძღვით დანაშაული პირველ მაისობის პროლეტარული სისხლის დაღვრაში. იმავე პარტიის წევრებმა უდანაშაულო ქალების და, ბავშების ხოცვა - ჟლეტა მიზეზათ გამოიყენეს „წითელ ფრონტელების“ ორგანიზაციის დახურვისათვის. ამ უსაზიზღროეს საქმეს ველსმა „იდეოლოგიური“ დასაბუთება მისცა თავის სიტყვაში; — აი რას ამბობს იგი ამის შესახებ: „სრულიად ახალი ლოზუნგია ანტი - მილიტარისტულ დღისათვის (1.8.1929), პროლეტარული რევოლიუციის გაღრმავება პირველ მაისობის პოლიტიკური და ტეხნიკური გამოცდილების გამოყენებით — ეს არის აშკარა მოწოდება ახალ პუჩისაკენ“.

რასაკვირველია, ს.-დ. პარტიამ და თვითონ ველსმაც მშვენივრად იციან, რომ კომპარტია ბუნტარული პარტია არ არის, არამედ ისეთი პარტია, რომელიც რევოლიუციონურ მარქსიზმის და ლენინის მოძღვრებაზე დაყრდნობილი, ამზადებს პროლეტარულ რევოლიუციას. მათ კარგათ იციან, რომ კომპარტია, დაყრდნობილი პროლეტარიატის საუკეთესო ნაწილის უმეტესობაზე, შესაფერ დროს მოუწოდებს მუშებს შეიარაღებულ აჯანყებისაკენ. მაგრამ რეფორმისტებს ახლავე უნდათ აკრძალონ კომპარტია, რათა ათი ათასი რბილი სავარძელი, რომელიც მათ ხელში აქვთ სახელმწიფო აპარატის მართველობისათვის ხელიდან არ წაუვიდეთ.

რეფორმისტებს ძალიან უნდათ კომპარტიის აკრძალვა, რადგან მათ ესმით, რომ კაპიტალიზმის კრიზისის გაძლიერებასთან, მუშათა კლასის გაყვლეფის და დამონების გამწვავებასთან დაკავშირებით, დღითიდღე იზრდება კომპარტიის გავლენა პროლეტარიატში. რათა დაღუპვის გზაზე დამდგარი კაპიტალისტური საზოგადოება გააახანგრძლივონ და თავიანთი მდგომარეობა უზრუნველყონ, კომპარტია უნდა აკრძალონ.

სოციალ - ფაშისტები, რომელნიც უკვე დღესვე ფაშისტურ მეთოდებს იყენებენ რევოლიუციონურ პროლეტარიატის წინაალმდეგ, იწყებენ აშკარა ლაპარაკს დიქტატურაზე. ველსმა განაცხადა: „თუ რესპუბლიკის მტერმა მძიმე ზიანი მიაყენა გერმანიის დემოკრატიას და სხვა გზა აღარ დარჩა გარდა დიქტატურისა, მაშინ ფოლადის მუზარადელებმა, ნაციონალ - სოციალისტებმა და მათ ძმებმა კომუნისტებმა მოსკოვიდან, უნდა იცოდნენ, რომ ს.-დ. და პროფკავშირები, როგორც გერმანიის ერის უმეტესობის წარმომადგენლები, დარაზმული ორგანიზაციულად, სრული პასუხისგების შეგნებით და შეურყეველი დისციპლინით, შევძლებთ დიქტატურის გამოცხადებას“.

რომელ დიქტატურაზე ლაპარაკობს ველსი? შეიძლება ისეთ დიქტატურაზე, რომელიც მიმართული იქნება კაპიტალისტურ სახელმწიფოს და კაპიტალისტურ საზოგადოების წინაალმდეგ? — არასოდეს!.. სოციალდემოკრატიული „იდეოლოგია“ ხომ აღიარებს კაპიტალიზმში სოციალიზმის ორგანიულ განვითარებას? მაშასადამე დიქტატურა, რომელზედაც ველსი ლაპარაკობს, იქნება დიქტატურა კაპიტალისტურ საზოგადოების ინტერესების დაცვის და პროლეტარიატის წინაალმდეგ მიმართული. ხოლო მუქარა ფოლადის მუზარადელების და ნაციონალ სოციალისტთა მიმართ უნდა მივიღოთ არა სერიოზულ განცხადებათ, თუ მოვიგონებთ იმ ფაქტს, რომ, როცა მაგდებურგში რეფორმისტების პარტაიტაგია, „ფოლადის მუზარადელების“ ორგანიზაციასთან მოლაპარაკება აქვთ ერთიანი ფრონტის შესახებ რესპუბლიკანელების წინამძღოლებს, რომლებიც უმეტეს ნაწილს რეფორმისტების გაგზავნილები შეადგენენ, როგორც ვხედავთ, ველსი ლაპარაკობს ისეთ დიქტატურაზე, რომელიც მიმართული იქნება რევოლიუციონურ პროლეტარიატის და მის ბელად კომპარტიის წინაალმდეგ. საგულისხმო აქ ის არის, რომ პირველათ გამოჩენილი სოციალ - დემოკრატი აშკარათ ლაპარაკობს ფაშისტურ დიქტატურაზე და მას კვერს უკრავს პარტაიტაგი და პროფკავშირების გამოჩენილი ხელმძღვანელნი.

თუ მხედველობაში მივიღებთ ს.-დ. პარტიის პოლიტიკას, რომელსაც იგი უკანასკნელი დროის განმავლობაში აწარმოებს კომპარტიის მიმართ, ველსის განცხადებას ფაშისტურ დიქტატურის შესახებ და პარტაიტაგის თანხმობას ამავე დასრულებულ სურათს მივიღებთ რეფორმისტული პარტიის იდეურ ავლადიდებას. ასეთია ის დასკვნები, რომელიც უნდა გამოვიტანოთ ველსის სიტყვიდან.

ახლა გადავიდეთ ჰერმან მიულერის სიტყვაზე, ჰერმან მიულერი გერმანიის რესპუბლიკის კანცლერია, სოც.-დემ. პარტიის თავმჯდომარე და მისი სამხედრო პროგრამის თავდადებული გამტარებელი და დამცველი პრაქტიკაში. ამიტომ საინტერესო და საგულისხმოა მისი ნალაპარაკევი.

„ჩვენ თავს სამუდამოთ გავამასხარავებთ, თუ ჯავშნოსანის აშენების გამო ა.-წ. მაისის ბოლოში მთავრობის კრიზისი გამოვიწვიეთ. 1920-23 წ. განმავლობაში ჩვენ არა ერთხელ მიგვიღია დადგენილება სამხედრო შეიარაღების შესახებ ისე, რომ არავის აზრადაც არ მოსვლია ბავშური ზღაპარი გერმანიის ნეოიმპერიალიზმის შესახებ, თუ სამხედრო პროგრამაში ჩვენ ფლოტის სრული გაუქმება მოვითხოვეთ, მაშინ კოალიციის საკითხი პრაქტიკულად გათავებული უნდა ჩაითვალოს“.

მაშასადამე ჰერმან მიულერი ამტკიცებს: აღელვება იმის შესახებ, რომ ს.-დ. პარტიამ თავისი ოთხი მინისტრის პირით თანხმობა განაცხადა ჯავშნოსანის აგების შესახებ, ზედმეტიაო. მით უმეტეს, რომ სოც.-დემ. უკანასკნელ წლების განმავლობაში დასტურს აძლევდა ყოველგვარ სამხედრო გასავალზე. თავის სიტყვაში შემდეგ მიულერი დასძენს, რომ კოალიციის და არსებული რესპუბლიკის ფორმის მომხრე სხვანაირად ვერ მოექცევაო.

პარტაიტაგმა მოისმინა მიულერის განცხადება და მისი შეხედულების პოლიტიკური დასაბუთება. მან უყურადღებოთ დასტოვა ოპოზიციის მიერ შეტანილი წინადადება ჯავშნოსანის უარყოფის შესახებ და დემონსტრატიულად გადავიდა დღიური წესრიგის მორიგი საკითხის განხილვაზე.

როგორც ვხედავთ, პარტაიტაგი სრული მომხრეა გერმანიის იმპერიალისტების შეიარაღების და მომავალი ომის მომზადების, ამ ხაზით ჰერმან მიულერის სიტყვა დამატება არის ველსის სიტყვისა. თუ კაპიტალისტური საზოგადოების ბატონობის გასამტკიცებლად რესპუბლიკის შიგნით ველსი მოითხოვს თავისი პარტიის დიქტატურის გამოცხადებას რომელიც მიმართული იქნება კომუნისტური პარტიის წინაალმდეგ, საგარეო პოლიტიკაში ის მოითხოვს შეიარაღებას და მომავალ იმპერიალისტურ ომისათვის მზადებას, რათა გერმანიის ბურჟუაზიის ინტერესები შესაფერათ იყოს დაცული ამ შეჯახებაში.

ლ. ყან—ლი.

ბერლინი, 28 მაისი.

შაბათს, 15 ივნისს საღამოს სრულ 7 საათზე რუსთაველის თეატრში შესდგება ქ. თბილისის პროფესიონალური, პარტიული, საზოგადოებრივი და ყველა კულტურული ორგანიზაციების

საზეიმო სხდომა

აზერბაიჯანის და სომხეთის მწერალთა დელეგაციის პატივსაცემად

საზეიმო სხდომის შემდეგ საკონცერტო განყოფილება მრავალფეროვანი პროგრამით, რომელიც შეიცავს საბჭოთა ამიერ-კავკასიის მიღწევებს ხელოვნების დარგში.

შესვლა სპეციალური ბილეთებით.

ბილეთები განაწილებულია სათანადო ორგანიზაციებს შორის.

საორგანიზაციო კომისია.

პარტიის რიგების გენერალური შემოწმება

წმენდის გაკვეთილები და მორიგი ამოცანები

ამხ. ლენგნიკის მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმზე

ამხანაგებო, ჩვენი პარტიის შემადგენლობის მოწესრიგების საკითხს შეიძლება მივუდგეთ მხოლოდ დიალექტიურად, მხოლოდ იმ სხვადასხვაგვარი პირობების მხედველობაში მიღებით, რომლებშიაც მიმდინარეობდა და მიმდინარეობს ჩვენი მუშაობა.

პარტიის ზრდა და მოწესრიგება წინად

თუ გავიხსენებთ, როგორ უდგებოდა ჩვენი პარტია თავის ზრდის მოწესრიგებას იმ შორეულ ხანებში, როცა იგი პირველად ადგენდა თავის რიგებს, თავის თავად ცხადია, ძალიან დიდ განსხვავებას ვნახავთ იმ ხანებში არსებულ მიდგომასა და ეხლანდელ მიდგომას შორის. მიდგომა თანდათან იცვლება, ეს მიდგომა ხდება სულ უფრო და უფრო გარკვეული პარტიის სოციალური შემადგენლობისათვის წარდგენილი მოთხოვნათა მხრივ, პარტიის წევრთა დამახასიათებელი ცალკე ნიშნებისათვის წარდგენილი მოთხოვნათა მხრით და სხვ. მე მახსოვს, მაგალითად, ჩვენი პარტიის პირველი ნაბიჯები. ეს იყო ლენინგრადში, მაშინდელ პეტერბურგში, სადაც იმ დროს მუშაობდა „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი", შექმნილი, როგორც იცით, ამხ. ლენინის მიერ. მაშინ, თავის-თავად ცხადია, ჩვენი პირველი კადრების ყველა ცდა იქითკენ იყო მიმართული, რომ რამდენიმედ მაინც დაგვემყარებია მთლიანობა ჩვენი პარტიის შემადგენლობასა და მუშაობაში, ეს იყო წრეების დრო, ზოგჯერ ძალიან პატარა წრეების, სავსებით ავტონომიური წრეების, რომლებიდანაც თვითეული იცავდა თავის თვალსაზრისს და თავის ხაზს.

ყველაზე მნიშვნელოვანი იმ დროს ჩვენი პარტიის წევრებისათვის (თუმცა მაშინ არც კი შეიძლებოდა მისთვის გვეწოდებია პარტია) იყო მთლიანობის შექმნა თუნდაც ცალკე ქალაქებში, ჩვენ გვქონდა ასეთი წრეები სხვადასხვა ქალაქებში, მოსკოვში, ლენინგრადში, უკრაინაში და სხვ. აქ, ამიერ-კავკასიაში იყო მთელი რიგი ქალაქები, სადაც ძალიან ადრე დაიწყო პირველი მოძრაობა. და აი, მთელი ჩვენი მისწრაფება მდგომარეობდა იმაში, რომ შეგვექმნა თუნდაც ნაწილობრივი მთლიანობა. ამასთან, თავის-თავად ცხადია, სიმკაცრე, რომელიც ეხლა არსებობს იმ საკითხებში, რომ პარტიის წევრები უმთავრესად უნდა იყვნენ მუშები ან ღარიბესი გლეხები, ეს სიმკაცრე მაშინ არ არსებობდა. მაშინ პარტიაში ხშირად ვიღებდით ისეთ პირებს, რომლებიც ჩვენდამი მტრულად განწყობილ კლასს ეკუთვნოდნენ. ამასთან, იმის ერთგვარი გარანტია, რომ პარტიის ესა თუ ის წევრი იქნებოდა თავისი მდგომარეობის სიმაღლეზე იყო ის, რომ პარტიაში შესვლისათვის მას კავშირი უნდა გაეწყვიტა თავის კლასთან, კავშირი უნდა გაეწყვიტა თავის ოჯახთან. ეს იყო, რასაკვირველია, ერთგვარი, სხვათა შორის, საკმაოდ დიდი გარანტია იმისა, რომ პარტიის ესა თუ ის წევრი იქნებოდა სწორედ ისეთი, როგორც ჩვენი პარტიის წევრები უნდა ყოფილიყო იმ შორეულ გმირულ ხანაში.

შინაპარტიული ბრძოლის გავლენა პარტიის შემადგენლობაზე

შემდეგში ჩვენი პარტიის ისტორიას ახასიათებს მთელი რიგი მეტად მკაცრი შეტაკებანი პარტიის შიგნით. საკმაოა გავიხსენოთ ჩვენი პარტიის თუნდაც მე-2 ყრილობა, სადაც პირველად შეეტაკა ერთმანეთს ორი მიმდინარეობა, რომლებიც შემდეგ დადგნენ ბარიკადების სხვადასხვა მხარეს. მეორე ყრილობაზე, როგორც იცით, მენშევიკები და ბოლშევიკები შეადგენდნენ ერთ პარტიას, მათი ყველაზე უფრო ცნობილი წარმომადგენლებიც კი მუშაობდნენ ერთსა და იმავე ორგანიზაციებში, იმავე „ისკრა"-ში, რუსეთის და საზღვარგარეთისაში, და მხოლოდ მეორე ყრილობაზე გამოირკვა ის უდიდესი უთანხმოებანი, რომელმაც გამოიწვია რადიკალური განსხვავება, რაც შემდეგში ჩვენი ქვეყნის მუშათა მოძრაობის ძირითად ნიშნად გახდა. შემდეგში უთანხმოებანი ყოველთვის მეორდებოდა, შეტაკება სულ უფრო და უფრო გამწვავებულ ხასიათს იღებდა. იმ ამხანაგებს, რომლებსაც დიდი ჰასაკი აქვთ, როგორც ფიზიკური, ისე პარტიული, უნდა ახსოვდეთ ის უთანხმოებანი, რომლებიც არსებობდნენ 1905 წლის შემდეგ 1906 და 1907 წლებში, მათ შეუძლიათ მოიგონონ ოტზოვისტები, ვპერიოდოვისტები და სხვ. ყოველივე ეს, რასაკვირველია, იწვევდა ჩვენი პარტიის შემადგენლობის მოწესრიგებას და ამაგრებდა ამხანაგების იმ ჯგუფს, რომელიც დაირაზმა ჩვენი სახელოვანი ბელადის ვ. ი. ლენინის ირგვლივ და შექმნა ის პარტია, რომელმაც ბოლოს და ბოლოს მიაღწია დიადი ოქტომბრის რევოლუციას და ჩვენი ქვეყნის იმ გარდაქმნას, რომლის მოწამენიც ეხლა ვართ.

რეაქციის წლები

რეაქციის წლების ხანაში, როცა უთანხმოება ჩვენი პარტიის წევრებს შორის განსაკუთრებით მწვავე იყო, ინტელიგენცია სხვადასხვა მოსაზრებებით, მასიურად მიდიოდა ჩვენი პარტიიდან. რეაქცია იმდენად ძლიერი იყო, მუშაობა იმდენად ძნელი გახდა, რომ ნება-უნებლიედ ყველა მერყევი გვშორდებოდა, ამგვარად ჩვენი პარტია იწმინდებოდა, ამტკიცებდა თავის რიგებს და ბოლოსდაბოლოს შეიქმნა პარტია, რომელმაც შესაძლო გახადა ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება.

პარტიის ზრდა სამოქალაქო ომის დროს

ძლევამოსილი რევოლუციის შემდეგ გასვლა ჩვენი რიგებიდან კიდევ უფრო გაძლიერდა, თუმცა მან სხვაგვარი ფორმები მიიღო. გაიხსენეთ, ამხანაგებო, ის დრო, როცა ჩვენი პარტია განსაკუთრებით მწვავე პერიოდს განიცდიდა 1918—19 წელს, როცა დენიკინი სხვა გენერლებთან ერთად, აგრეთვე დასავლეთ-ევროპის ბურჟუაზია შეტევას აწარმოებდა ჩვენს წინააღმდეგ. ჩვენს პარტიას მაშინ მოქმედების საშუალება ჰქონდა ეხლანდელი ჩვენი კავშირის ტერიტორიის მეტად პატარა ნაწილზე. ჩვენი პარტიისათვის სწორედ ამ მძიმე დროს ლენინმა გადმოისროლა ლოზუნგი, რომ მოგვეწყო პარტიული კვირა, რათა პარტიის რიგებში მოგვეზიდა ჩვენთვის საჭირო წევრების დიდი რაოდენობა მუშათა წრიდან. ამ პირველმა კვირეულმა, მოწყობილმა, მოგვცა ძალიან ბევრი მეტად სასარგებლო მუშაკი, რომლებსაც დღემდე ძალიან თვალსაჩინო და საპატიო ადგილი უჭირავთ ჩვენს პარტიაში.

და შემდეგ, ამხანაგებო, 1921 წელს, როცა დავამარცხეთ ჩვენი მთავარი მტერი, გარეშე მტერი, როცა სამხედრო კომუნიზმიდან სოციალიზმის მშენებლობაში უნდა გადავსულიყავით, როცა ლენინმა გამოაცხადა ახალი ეკონომიური პოლიტიკა, უნდა გვეფიქრა, ჩვენი რიგების გადასინჯვაზე.

პირველი გენერალური წმენდა

1921 წ. მოხდა პარტიის პირველი გენერალური წმენდა. თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ ამ წმენდამ ძალიან დიდი, ძალიან კარგი შედეგები მოგვცა გენერალური წმენდის დროს თავიდან მოვიშორეთ დიდი ბალასტი, ათი ათასი კაცი, რომლებიც მერყეობდნენ და ბოლომდე არ უნდოდათ ჩვენს პარტიასთან ერთად სვლა, რომლებიც პარტიისათვის არ იყვნენ საიმედონი და ნდობის ღირსნი. და თქვენ იცით, ამხანაგებო,რომ პირველმა წმენდამ უეჭველად დიდათ აწია პარტიის პრესტიჟი. მუშათა კლასმა დაინახა, რამდენად სერიოზულად ეკიდება პარტია იმ საკითხს, თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს მის წევრად. ამ პირველ წმენდას უეჭველად უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო იმ დროისათვის. თქვენ იცით ამხანაგებო, რომ ჩვენმა პარტიამ მაშინვე გადასწყვიტა, რომ ასეთი წმენდა მომავალშიაც უნდა მოეწყოს.

საბჭოთა და უმაღლეს სასწავლებელთა უჯრედების წმენდა

მას შემდეგ, როცა აღმოჩნდა, რომ ჩვენს რიგებში არიან ისეთი პირები, რომლებიც მერყეობენ, როცა 1923 წელს აღმოჩნდა, რომ ტროცკიზმმა ჩვენი პარტიის რიგებში საკმაოდ მტკიცედ დაიბუდა, განსაკუთრებით უმაღლესი სასწავლებლების და საბჭოთა უჯრედებში, პარტიამ გადასწყვიტა გამოეცხადებია უმაღლესი სასწავლებლების და საბჭოთა უჯრედების წმენდა. ამ წმენდამ განამტკიცა ჩვენი რიგები, ჩვენს მუშაობას მისცა უფრო მნიშვნელოვანი, უფრო იდეური, უფრო მტკიცე, იდეოლოგიურად უფრო მჭიდრო ხასიათი.

რამ გამოიწვია ახალი წმენდის ჩატარების საჭიროება

და ბოლოს, ამხანაგებო, ეხლა, როცა უფრო და უფრო ღრმად ვანვითარებთ ლენინიზმის ძირითად იდეებს, როცა დასახულია მთელი რიგი ამოცანები, რომლებიც განსაკუთრებით დიდ ენტუზიაზმს, განსაკუთრებულ თვისებებს მოითხოვენ კომუნისტებისაგან, რომლებმაც უნდა განახორციელონ ეს ამოცანები, ყველა უჯრედის—საწარმოო, უმაღლეს სასწავლებლების და გლეხთა უჯრედის, გენერალურ წმენდას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა.

გენერალურმა წმენდამ უნდა გასწმინდოს ჩვენი რიგები გახრწნილი ელემენტებისაგან, უნდა გააძლიეროს მშრომელთა სიმპატია პარტიისადმი როგორც ქალაქად ისე სოფლად. თუ ეს წმენდა გამოიწვევს ჩვენი რიგების შემცირებას, სამაგიეროდ იგი ასჯერ მეტ სარგებლობას მოგვიტანს ჩვენს პარტიაში ქალაქისა და სოფლის ახალი მშრომელთა ჩაბმით. ეს ახალი წევრები პარტიის ცხოვრებას როგორც ქალაქად, ისე სოფლად უფრო აქტიურს, უფრო შეტევითს და ლენინის მოძღვრების შესაფერს გახდის. თქვენ იცით, ამხანაგებო, ლენინის გარდაცვალებამ გამოიწვია მუშების უდიდესი ლტოლვა პარტიისაკენ. თქვენ იცით, რომ თუ ლენინის გარდაცვალებამდე პარტიაში მუშები 44 პროცენტს შეადგენდნენ, ეხლა ეს პროცენტი 64-მდე გაიზარდა, რაც აიხსნება იმ დაუღალავი მუშაობით, რომელსაც ჩვენი საკონტროლო ორგანოები აწარმოებდნენ ცენტრში და ადგილებზე ჩვენი რიგების გასაწმენდად გახრწნილი და მერყევი ელემენტებისაგან, პარტიის მოქმედებისათვის ხელის შემშლელ ელემენტებისაგან.

მუშების ეს პროცენტი, რომელიც ყოველწლობით იზრდება, ჯერ კიდევ ნოემბრის პლენუმმა დაადგინა თანდათან აყვანილ იქნას 80 პროცენტამდე. ეხლანდელმა წმენდამ ხელი უნდა შეუწყოს ნოემბრის პლენუმის ამ მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მალე განხორციელებას.

ამხანაგებო, თქვენ იცით, რომ ჩვენმა პარტიამ მეტად ძნელი ამოცანები დაისახა. თქვენ იცით, რომ დიდია სიძნელენი, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ჩვენი მრეწველობის რეკონსტრუქციასთან, სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციასთან, ჩვენს კულტურულ მუშაობასთან, კულტურული რევოლუციის განხორციელებასთან. ეს სიძნელენი სულ უფრო და უფრო საგრძნობი ხდებიან, რაც უფრო მეტად მივდივართ წინ ჩვენი ძირითადი ამოცანების განხორციელების გზით. პარტიამ მიზნად დაისახა არა მარტო დავეწიოთ, არამედ გავუსწროთ დასავლეთის ქვეყნებს ინდუსტრიის განვითარების მხრივ. თქვენ იცით, როგორი ენტუზიაზმი უნდა გამოიჩინონ პარტიის წევრებმა იმისათვის, რომ ეს უდიდესი პერსპექტივა განხორციელდეს, რომ ის ნამდვილად გატარდეს ცხოვრებაში და არ დარჩეს ქაღალდზე.

მე უკვე ვილაპარაკე იმის შესახებ, რომ ეს უდიდესი პერსპექტივები ჩვენი მრეწველობის განვითარებაში, მისი რეკონსტრუქციის და სოფლის მეურნეობაში სრული რევოლუციის მოხდენის საქმეში, კულტურული რევოლუციის განხორციელების საქმეში, ჩვენი პარტიისა და ჩვენი ქვეყნის ყველა შეგნებულ მოქალაქეთაგან მოითხოვს მეტ შეგნებას, დარაზმულობას და სიმტკიცეს, და ჩვენი პარტია სავსებით მიზანშეწონილად მოიქცა, რომ სწორედ ეხლა დასვა თავისი რიგების გადასინჯვის, გენერალური წმენდის საკითხი, რის მეოხებითაც იგი განდევნის თავისი რიგებიდან ყველა იმას, ვინც მერყეობს, ვისაც ეჭვი შეაქვს საბოლოო გამარჯვების შესაძლებლობაში, ყველა იმას, ვინც ფიქრობს, რომ პარტიის წინაშე დასმული ამოცანები განუხორციელებელი ან გადაჭარბებულია.

ამ მხრივ, ამხანაგებო, გენერალურ წმენდას, რომელიც ეხლა იწყება, უეჭველად უდიდესი მნიშვნელობა აქვს, იგი შესაძლოდ გახდის იმ გარდატეხას, რომელიც ჩვენმა პარტიამ დასახა მსოფლიოში ჯერ-ჯერობით ერთად-ერთი სოციალისტური ქვეყნის ცხოვრების ყოველ დარგში.

მე, ამხანაგებო, აღარ გავაგრძელებ სიტყვას წმენდის საჭიროების შესახებ. წმენდის საკითხებზე ბევრი წერილი დაიწერა, ბევრი სიტყვა წარმოითქვა და მე ვფიქრობ, რომ საბუთები, რომლებიც შეიძლება მოვიყვანოთ ჩვენი დიადი, მილიონ ნახევრიანი პარტიის ყველა უჯრედის გენერალური გაწმენდის საჭიროების დასაცავად, არავითარ წინააღმდეგობას არ გამოიწვევს აქ. ყოველივე ეს უკვე შეგნებული აქვს ყველას და მგონია, რომ ამ წმენდის აუცილებლობას არავინ სადაოდ არა სთვლის.

როგორ ჩატარდა ხელმძღვანელ მუშაკთა შემოწმება

ჩვენს კომისიას, რომელიც დანიშნულია საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისიის მიერ, მიზნად ჰქონდა ამიერ-კავკასიის სახ. რესპუბლიკების პასუხისმგებელი ამხანაგების შემოწმება. ეს მუშაობა ჯერ კიდევ განვითარების სტადიაშია, ჩვენ შვიდასი კაციდან ჯერ შევამოწმეთ 200-მდე კაცი, სწორედ რომ ვსთქვათ—198 კაცი. ჩვენ ჯერ-ჯერობით საქმე გვქონდა პარტიის პასუხსმგებელ მუშაკებთან და ის შედეგები, რომლებიც მივიღეთ, სავსებით დამაკმაყოფილებლად შეიძლება ჩაითვალოს. ამიერ-კავკასიის ორგანიზაციებს საერთოდ ჩვენს პარტიაში აქვთ საუკეთესო რეპუტაცია იმ ენტუზიაზმის, იმ სიცხოველის მხრივ, რომელიც ამ ორგანიზაციებს შეაქვთ და მომავალშიაც შეიტანენ თავიანთ მუშაობაში. რასაკვირველია, ამ წმენდამ აღნიშნა მთელი რიგი დეფექტები. მეტად საოცარი იქნებოდა, რომ სხვანაირად მომხდარიყო, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მომავალში, როცა წმენდა მიაღწევს პარტიის რიგის წევრებამდე, იგი ალბად გამოიწვევს უფრო დრამატიულ ეპიზოდებს და გამოაშკარავებს მთელ რიგ უარყოფით მოვლენებს, და მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ამ საკითხის გამო არ უნდა ვინერვიულოთ, უნდა შევინარჩუნოთ ბოლშევიკური სიმშვიდე. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს მტკივნეული ოპერაცია საჭიროა, რათა ჩვენს პარტიას შეუქმნათ ის მთლიანობა, ის სიმტკიცე, რომელიც მას ესაჭიროება თავისი დიადი მიზნების მისაღწევად.

ეხლა, როცა ჩვენი პარტია გაფართოვდა, ათასიდან გახდა მილიონიანი (ჩვენი პარტიის რიგებში კანდიდატებთან ერთად მილიონ ნახევარი წევრი ირიცხება), როცა იგი არის უდიდესი ქვეყნის — მსოფლიოს მეექვსედი ნაწილის ბატონ-პატრონი, ასეთ პარტიაში არ შეიძლება ადგილი ქონდეს უარყოფით ელემენტებს, ისეთ ელემენტებს, რომლებიც ჩვენთან მოვიდნენ მხოლოდ საკუთარი საქმეების გასაჩარხავად, რომლებიც პარტიას უყურებენ როგორც საშუალებას საკუთარი სარგებლობისათვის, როგორც საშუალებას საკუთარი საქმეების მოსაწყობად და სხვ.

მე ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ ამ მხრივ ამიერ-კავკასიის ორგანიზაციები დიდ სიმაღლეზე აღმოჩნდებიან, მაგრამ უეჭველია, ამიერ-კავკასიის ორგანიზაციებშიაც უნდა გაიაროს იმ გამწმენდავმა ქარიშხალმა, რომელსაც წარმოადგენს ჩვენი პარტიის წმენდა.

გადავდივარ საქართველოს ორგანიზაციის წმენდის შედეგებზე. მე უნდა გავიმეორო, რომ ჩვენ ჯერ შევამოწმეთ მხოლოდ ისეთი ამხანაგები, რომლებიც თვით თბილისში იმყოფებიან. საქართველოს რაიონებზე მიმაგრებული ამხანაგები ჯერ კიდევ არ შეგვიმოწმებია. საქართველოს პასუხისმგებელი ამხანაგების უმეტესი ნაწილი უკვე გატარდა ჩვენს კომისიაში. წმენდაში გატარდა 200 კაცი, ეს, ჩვენი ანგარიშით, შეადგენს იმ პასუხისმგებელი ამხანაგების დიდ უმრავლესობას, რომლებიც საქართველოში მუშაობდნენ და მუშაობენ.

იმისათვის, რომ დავაჩქაროთ წმენდის განვითარების პროცესი, ჩვენ იძულებული ვიყავით ნება-უნებლიეთ მოგვეწვია უჯრედთა ჯგუფური კრებები, ჩვენ არ შეგვეძლო გვეკისრა ამოცანა, რომელსაც მოითხოვს ინსტრუქცია: წმენდის ცალკე უჯრედებში ჩატარების ამოცანა. ჩვენ ვიწვევდით უჯრედთა ცალკე ჯგუფებს. ასეთ ჯგუფებში მონაწილეობას იღებდა 5—6, ზოგჯერ კი 11-მდე უჯრედი. თავისთავად ცხადია, რომ ამის გამო ჩვენ არ გვქონდა საშუალება დაწვრილებით შევჩერებულიყავით ცალკე უჯრედების მუშაობაზე.

წმენდის შემდეგ პარტიაში მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მთელმა ორგანიზაციამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმ ამოცანებს, რომლებსაც დღემდე არ ვსვამდით. ეს არის საკითხი იმის შესახებ, რომ ნათლად გამოაშკარავდეს პარტიის არა მარტო ცალკე წევრების, არამედ მთელი ორგანიზაციების მუშაობა, რადგან მხოლოდ მთელი ორგანიზაციების მუშაობის შემოწმებით ჩვენი პარტიის მუშაობას მიეცემა ის გასაქანი, რომელსაც ვისახავთ.

ჩვენ, ამხანაგებო, ამ ორი კვირის მუშაობის განმავლობაში მოვაწყვეთ 19 ჯგუფური კრება, რომლებსაც დაესწრო 86 უჯრედი. საინტერესოა ვიცოდეთ, რამდენი კაცი დაესწრო ამ კრებებს, უნდა ითქვას, რომ ეს რაოდენობა ძალიან დიდია. ამ 19 ჯგუფურ კრებას დაესწრო 11.600 კაცი, მათ შორის პარტიული—7.475 და უპარტიო—4.130. იმ 198 ამხანაგიდან, რომლებიც წმენდაში გატარდნენ, დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ მამაკაცები (191 მამაკაცი და 7 ქალი, ე. ი. 96,5 პროცენტი მამაკაცი და 3,5 პროცენტი ქალი). მუშები იყო 109, რაც შეადგენს 55 პროცენტს. ეს ცოტაა, მაგრამ ეს, რასაკვირველია, აიხსნება იმით, რომ ამიერ-კავკასიაში მუშები ნაკლებია, მუშათა დიდ ცენტრებთან შედარებით. მოსამსახურეთა რიცხვი შეადგენ. და 45 პროცენტს—89 კაცი. საქმიანობის მიხედვით მუშები იყო 15, ანუ 7,6 პროცენტი, მოსამსახურენი—166, ანუ 83,8 პროცენტი, ამასთან ყოფილი მუშები, რასაკვირველია, აქ უკვე შეგვყავდა მოსამსახურეთა კატეგორიაში.

პარტსტაჟის მიხედვით 1900 წლამდე იყო 11 კაცი, რაიც შეადგენს 5,6 პროცენტს, დიდი პროცენტია 1901-დან 1905 წლამდე—43 კაცი ანუ 21,6 პროცენტი. საკმაოდ დიდი პროცენტია აგრეთვე 1906 წლიდან 1917 წლამდე, ე. ი. ოქტომბრის რევოლუციამდე—73 კაცი ანუ 36,9 პროცენტი. ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ არალეგალური მუშაობის სტაჟის მქონე პასუხისმგებელი ამხანაგთა რაოდენობა მეტად დიდია. და ბოლოს, 1918-დან 1920 წლამდე იყო 60 კაცი, ე. ი. 30,3 პროცენტი. 1921-დან—11 კაცი, ე. ი. 5,6 პროცენტი. ამგვარად, თქვენ ხედავთ, რომ იმ წევრთა რიცხვი, რომლებმაც თავიანთი მუშაობა დაიწყეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ამ ჯგუფში მეტად უმნიშვნელოა.

რაც შეეხება ჰასაკს, იგი განისაზღვრება ასეთი ციფრებით: 30 წლამდე—24 კაცი ანუ 12,1 პროც., 31-დან 40 წლამდე—100 კაცი ანუ 50 პროცენტი, 41-დან 50 წლამდე—57 კაცი ანუ 28,8 პროცენტი. 51-დან 60 წლამდე—16 კაცი ანუ 8,1 პროცენტი. 61-დან და მეტი—1 ამხანაგი ანუ 0,5 პროცენტი.

შემოწმების მთავარი შედეგები

ეხლა შევეხები ჩვენი შემოწმების ძირითად შედეგებს, მე უკვე ვსთქვი, რომ ყველა ჩვენ მიერ შემოწმებული ამხანაგებიდან არ აღმოჩნდა არც ერთი ისეთი ცუდი ვინმე, რომელიც უნდა გამოგვერიცხა პარტიიდან, თუმცა გაზეთების ცნობებიდან იცით, რომ ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებში იყო ასეთი შემთხვევები, როცა პარტიიდან რიცხავდნენ პასუხისმგებელ ამხანაგებს. ჩვენდა სასიხარულოდ ასეთი შემთხვევები აქ ჯერ არ არის, არის ცოტად თუ ბევრად სერიოზული პარტსასჯელის მხოლოდ ცალკე შემთხვევები.

უშენიშვნოთ შემოწმებულ იქნა 188 კაცი. მაშასადამე ერთგვარი შენიშვნებით შემოწმებულ იქნა 10 კაცი, ასეთი ამხანაგების პროცენტი, როგორც ხედავთ ძალიან მცირეა, იგი შეადგენს დაახლოებით 5 პროცენტს.

მითითება მიეცა (პარტსასჯელის ყველაზე მსუბუქი ფორმა) სამს, შენიშვნა მიეცა — ერთს, საყვედური გამოეცხადა ორს, საპასუხისმგებლო სამუშაოდან მოხსნილ იქნა ორი, პარტსტაჟი შეუმცირდა—სამს, თავის თავად ცხადია, რომ სტაჟის შემცირების ყოველ ცალკე შემთხვევაში შესაძლებლობა ეძლევა ამხანაგს დაამტკიცოს საკონტროლო კომისიის საშუალებით, რომ პირველად ნაჩვენები სტაჟი სწორი იყო.

სტაჟის შეწყვეტის შემთხვევა ჰქონდა ერთ ამხანაგს. გამორიცხვას, როგორც ვსთქვი. ადგილი არ ჰქონია. ხელმძღვანელი ორგანიზაციის შემადგენლობიდან გამოყვანილ იქნა—ორი. სტაჟი გაუდიდდა—ორს; სხვადასხვა ახსნა-განმარტებისათვის გამოწვეულ იქნა 15 კაცი.

ასეთია მუშაობის შედეგები ციფრების მიხედვით.

მტერი ცდილობს გამოიყენოს პარტიის წმენდა

უნდა ვსთქვათ, ამხანაგებო, რომ ჩვენს მუშაობას ორგანიზაციები საერთოდ და მთლიანად დიდი ყურადღებით ეპყრობოდნენ, დიდ აქტივობას იჩენდნენ. ცალკე შემთხვევებში, როცა ადგილი ჰქონდა ეჭვს ამა თუ იმ ამხანაგის წარსულის შესახებ, როცა ამხანაგის მიერ დაშვებული იყო დიდი შეცდომები, ძალიან ხშირად თავს იჩენდა გაცხარება და ჩვენ გვიხდებოდა ზედმოქმედების სხვადასხვა ზომების გამოყენება, რათა შესაძლო გამხდარიყო ამა თუ იმ შემთხვევის გარკვევა.

უნდა ითქვას, ამხანაგებო, რომ იყო ცალკე შემთხვევები, როცა ჩვენი მტრები ცდილობდნენ წმენდა გამოეყენებიათ იმისათვის, რომ ჩირქი მოეცხოთ პატიოსანი, სინდისიერი ამხანაგისათვის, ცხადია, რომ ამას ჩადიოდნენ არა მარტო ამ ამხანაგისათვის, არამედ მთელი ჩვენი პარტიისათვის ჩირქის მოცხების მიზნით. ასეთ შემთხვევებს ჰქონდა ადგილი და შემმოწმებელი კომისია ყოველგვარ ზომებს იღებდა იმისათვის, რომ ჩვენი მტრების ამ ინტრიგებს, რომლებმაც, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერ იქონიეს გავლენა ჩვენი მუშაობის შედეგებზე, ბოლო მოღებოდა. ასეთი შემთხვევები ცოტა იყო და მტრული ელემენტების განსაკუთრებით დიდ გამოსვლებს ადგილი არ ჰქონია, რამდენადმე ამას ადგილი ჰქონდა რკინის გზების სახელოსნოების შენობაში შეკრებილ ჯგუფში, რაც, ალბად აიხსნება თქვენთვის კარგად ცნობილი მიზეზებით: თქვენ იცით, რომ ამ რაიონში მენშევიკებს თავის დროზე ბევრი მომხრეები ჰყავდათ. ისინი ალბად ეხლაც არიან აქ და ჩვენმა პარტიამ მთლიანად და თქვენ პირველ რიგში, უნდა მიიღოთ ზომები იმისათვის, რომ მენშევიკების მომხრეთა ნაშთები რაც შეიძლება მალე განდევნოთ.

მენშევიზმის ნაშთები, რასაკვირველია, არ შეიძლება იყვნენ ასეთ ორგანიზაციაში, რომელსაც ასეთი დიდი წარსული აქვს.

უნდა ითქვას, ამხანაგებო, რომ ის ავტობიოგრაფიები, რომლებიც მოვისმინეთ, შეიცავდნენ რევოლუციის მეტად საინტერესო ეპიზოდების მთელ რიგ თემებს. და ჩვენ ასეთ შემთხვევებში ძალიან გვენანებოდა, რომ ამ ძვირფასი მასალის სტენოგრაფიული ჩაწერა არ სწარმოებდა, მაგრამ ეს არ შეგვეძლო, რადგან იგი შეაფერხებდა წმენდის მუშაობას. ჩვენ მოვისმინეთ ძალიან ბევრი მაგალითები იშვიათი გმირობისა, რომლებსაც ჩვენი ორგანიზაციის წევრები იჩენდნენ არა მარტო აქ, კავკასიაში, არამედ ჩვენი კავშირის ყველა რაიონებში. და ამას უმეტეს შემთხვევაში გვიამბობდნენ გასაოცარი ეპიური სიმშვიდის ტონით.

ა.-კავკასიის ორგანიზაციები წარმატებით შეასრულებენ დასმულ ამოცანას

ამხანაგებო, ნება მომეცით გამოვსთქვა იმედი, რომ წმენდა, რომელიც დღემდე ტარდებოდა ასეთი ენტუზიაზმით, მომავალშიაც ასეთივე ტემპით ჩატარდება, რომ შემმოწმებელი კომისიები, რომლებიც მუშაობენ და იმუშავებენ ყველა უჯრედში, შეუწყობენ ხელს ჩვენი პარტიის მუშაობის როგორც უარყოფითი ისე დადებითი მხარეების გამოაშკარავებას. მხოლოდ მაშინ მოგვცემს ეს წმენდა იმ დიდ შედეგებს, რომლებსაც ჩვენი პარტია მოელის ყველა ჩვენი ორგანიზაციიდან, მათ შორის ისეთი დამსახურებული ორგანიზაციიდან, როგორიცაა თქვენი—ამიერ-კავკასიის ორგანიზაცია (მხურვალე ტაში).

წმენდის კალენდარული გეგმა

თბილისის ორგანიზაცია

I. ლენინის რაიონი

1 კომისია

კომისიის შემადგენლობა:

ლელაშვილი გიგო (თავმჯდ.), პაპოვი გრიგოლი, ყამარაული.

მდივანი შავლაძე იასონ.

უჯრედები:

რკინისგზის პროფგანათლების მთავარი სამმართველო	17 ივნისს
მაუდის ფაბრიკა	21 „
გემო-კვების ქარხკომი	27 „
სტალინის სახელობის ქარხანა (შემკრები ცეხი, სადურგლო ინსტრ., და საშულო რემონტ.)	6 ივლისს

მე-2 კომისია

კომისიის შემადგენლობა:

რთველაძე (თავმჯდ.), პისეცკი გრიგ., ჯატიევი კონს.

მდივანი—ამხ. სამსონიძე ვალერიანი.

უჯრედები:

განათლების მუშაკთა კავშ.	17 ივნისს
სპილენძის სატკეცი ქარხანა	21 „
კალინინის სახ. ქარხანა	23 „
სადგ. თბილისი	26 „
დეპო (ვაგონის პარკ. კოლექტ. მეტარებლის ბრიგადა)	11 ივლისს

მე-3 კომისია

კომისიის შემადგენლობა:

ზაქრაძე სტეფანე (თავმჯდ.) გობერკორნი ანტონი, კესინოვი ივანე.

მდივანი ამხ. კეკელიძე პროკოფი.

უჯრედები:

სახკინმრეწველობა	17 ივნისს
„პეჩე"/3	26 „
26 კომუნარის სახ. ქარხანა	2 ივლისს
დეპო ორთქმავლისა	11 „

მე-4 კომისია

კომისიის შემადგენლობა:

ტერ-ვართანოვი ასატური (თავმჯდ.), თავდიშვილი ალექსი, კოჩეტკოვი ალექსი.

მდივანი ამხ. გუივიკი მარიამი.

უჯრედები:

ამ.-კავკასიის სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოება („ზაკტპო")	17 ივნისს
„ემ-ო"/2	24 „
სტალინის სახელობის ქარხანა (სავაგონო ცეხი, საქვაბო, მცირე ელექ.)	6 ივლისს

მე-5 კომისია

კომისიის შემადგენლობა:

ვაცეკი ივანე (თავმჯდ.), ნამორაძე ზურაბ, კუჭაიძე გრიგოლ.

მდივანი ფანცულაია ვასილ.

უჯრედები:

შავი ზღვის რკინის გზის სამმართველო	17 ივნისს
როზა ლიუქსემბურგის ფაბრ.	19 „
„სამშენი"-ს სახელოსნო	30 „
ტრამვაის სახელოსნო	4 ივლისს

მე-6 კომისია

კომისიის შემადგენლობა:

თელეთაშვილი ზაქ. (თავმჯდ.), ვინტინი პეტრე, ორაგველიძე ლუკა.

მდივანი—ამხ. მთვარელიძე.

უჯრედები:

აგურის ქარხანა	17 ივნისს
„ხის ნაწარმი"	20 „
„პროლეტარი"	23 „
ტრამვაის მოძრაობა	4 ივლისს

მე-7 კომისია

კომისიის შემადგენლობა:

ყურულიშვილი გიორგი (თავმჯდ.) გლინსკი ვალენტინი, კალაძე ალექსანდრე.

მდივანი—ზეიც გენრიხი.

უჯრედები:

„სტროიუზ"-ი	17 ივნისს
ა.-კ. რკინისგზის სამმართვ.	19 „
რკ. გზ. მოძრაობის დარგი.	1 ივლისს
დეპო	11 „

მე-8 კომისია

კომისიის შემადგენლობა:

მზარეულიშვილი ვასო (თავმჯდომარე) არუთინოვი გრიგოლი, ტარასოვი სერგი.

მდივანი—ამხ. ხუბოვი ალექსანდრე.

უჯრედები:

საქონლის სადგური	19 ივნისს
გზათა სახალხო კომისარიატის დამცველი რაზმი	24 „
სტალინის სახელობის ქარხანა (სახარატო ცეხი)	13 ივლისს
„პე ჩე"/6	5 „

მე-9 კომისია

კომისიის შემადგენლობა:

ჩორხელაძე ლავრენტი (თავმჯდომარე), გარიშვილი სტეფანე, მონტინი გრიგოლი.

მდივანი—ამხ. ზირაქაშვილი.

უჯრედები:

რკინისგზის საავადმყოფო	17 ივნისს
„ლურსმანი"	23 „
რკ. გზ. სტამბა	25 „
„მაჩტოსტროი"	1 ივლისს
ტელეგრაფის სახელოსნო	3 „
სტალინის სახელობის ქარხანა (სამჭედლო და ჩამომსხმელი ცეხები)	6 „

II. 26-ის რაიონი

1 კომისია

კომისიის შემადგენლობა:

პაპახჩიანი მაცაკ (თავმჯდ.), ფირალოვი გლასტონ, გულივერდაშვილი გიორგი.

მდივანი—შალომიან მარიამ.

უჯრედები:

ქალაქის მილიცია	17 ივნისს
სანიტარ.-ტეხნიკ. სექცია	11 ივლისს
ხე-ტყის სახერხი ქარხანა	6 აგვისტ.
წყალსადენი	20 ივლისს
ძეხვის ქარხანა	28 „
სამხედრო წისქვილი	31 „
მებაღეები	16 „
აბრეშუმის ფაბრიკა	9 აგვისტ.

მე-2 კომისია

კომისიის შემადგენლობა:

არტაკი (თავმჯდ.), ჩიხრაძე ივანე, ტარფანოვი ვაჰანი.

მდივანი—ამხ. მაჩტოვაია მარიამი.

უჯრედები:

„კუსტპრომ"-ი	17 ივნისს
ტყავის სინდიკატი	30 „
ფეხსაცმელის ფაბრიკა	3 აგვისტ.
ტყავის ქარხანა № 2	11 ივლისს
ტყავის ქარხანა № 1	4 „
მეტყავეთა უჯრედი № 1	12 „
მეტყავეთა უჯრედი № 2	14 „
ფეხსაცმელის კოლექტივი	15 „

მე-3 კომისია

კომისიის შემადგენლობა:

იაკუბოვი სეიდ (თავმჯდ.), ავაქოვი ვართან ენუქიძე აკაკი.

მდივანი—ბეჟანოვი თათეოზი.

უჯრედები:

„ზაკგოსტორგ"-ი	17 ივნისს
„გრუზგოსტორგ"-ი	26 „
სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭო	1 ივლისს
სამთო ტრესტი	5 „
ახალნაგებობათა კომიტ.	10 „
ნავთლუღი	12 „
გარეუბანი	25 „
სალანლუღი	28 „
ჯაგრის სახელოსნო	30 „

მე-4 კომისია

კომისიის შემადგენლობა:

მაკაროვი ნიკოლ. (თავმჯდ.) შავერდოვა სუსანა, დემეტრაშვილი სოლომონ.

მდივანი ამხ. ჭყუასელი კონსტანტინე.

უჯრედები:

მუშფაკი	21 ივნისს
მასწავლებელთა უჯრ.	17 „
საფაბრიკო-საქარხ. სკოლა	15 ივლისს
ქიმიკოსების უჯრ.	19 „
ფეიქართა კავშირის	23 „
„ეირომას"-ისა	29 „
მტვირთავებისა	1 აგვისტ.

მე-5 კომისია

კომისიის შემადგენლობა:

ზაკომოლდინი სტეფანე (თავმჯდ.) სულავა კირილე, შახსუვაროვი გიორგი.

მდივანი—ამხ. ბუდილიოვი დიმიტრი.

უჯრედები:

„სოიუზხლებ"-ი	17 ივნისს
„ტექსტილტორგ"-ი	19 „
„მიასოპროდუქტ"-ი	22 „
ქალაქის საავადმყოფო	24 „
იზოლიატორი	29 „
მშენებელთა № 1	3 ივლისს
მშენებელთა № 2	8 „
აგურის ქარხანა	10 „
თურქული უჯრედი	11 „
აბანოები	16 „
მკერავი № 1	20 „
მკერავი № 2	28 „

მე-6 კომისია

კომისიის შემადგენლობა:

ენუქიძე ლევანი (თავმჯდ.), კუზნეცოვი (ამ.-კავკასიის რკინის გზელთა პროფკავშ. საბჭო), პეტრენკო პავლე.

მდივანი—ამხ. ნუცუბიძე ვლადიმერი.

უჯრედები:

მაკარონის ფაბრიკა	17 ივნისს
მელითონეთა გაერთიანებული ქარხკომი	19 „
სასაკლაო	24 „
სანიტარული ტრანსპორტი	30 „
არსენალი	1 ივლისს
გალეტის ფაბრიკა.	9 „
საკონდიტერო ფაბრიკა	11 „
პურის მცხობელთა	13 „

III. ქალაქის რაიონი

1 კომისია

კომისიის შემადგენლობა:

ესაკია სოლომონ (თავმჯდ.) შახსუვაროვი ალექსანდრე, ფხაკაძე სოსო.

მდივანი—ამხ. ბრეიტმანი ანა.

უჯრედები:

საქართველოს სტატ. ცენტრალური სამმართველო	17 ივნისს
ამ.-კავკ. სტატ. ცენტრალური სამმართვ.	21 „
საქართველოს სახელმწიფო დაზღვევა	24 „
ამ.-კავკასიის სახელმწიფო დაზღვევა	28 „
ამ.-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისია	1 ივლისს
რეზინის ტრესტი	4 „
ჯგუფკომი № 1	8 „
მუშათა სასახლე	11 „
მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატი	14 „
„საქართველოს ღვინო"	20 „

მე-2 კომისია

კომისიის შემადგენლობა:

მღებრიშვილი გიორგი (თავმჯდ.), არეშიძე ვასო, ლორთქიფანიძე ტიტე.

მდივანი—ამხ. ჩიხლაძე ლეონიდ.

უჯრედები:

„სოფლის კავშირი"	17 ივნისს
ამ.-კავკასიის სას.-სამ. ბანკი	21 „
„მწყემსი"	24 „
ამ.-კავკ. მებამბეობის კომიტეტი	28 „
საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველო	1 ივლისს
„ზაკსოიუზ"-ი	4 „
ამ.-კავკ. წყალთა მეურნეობის სამმართველო	7 „
„ზაკსელსოიუზ"-ი	12 „

მე-3 კომისია

კომისიის შემადგენლობა:

ღნიაშვილი პეტრე (თავმჯდ.), ვოლსკი ივანე, გოგელიძე ნიკოლოზ.

მდივანი—ამხ. კურასპედიანი ირაკლი.

უჯრედები:

განათლების სახალხო კომისარიატი	17 ივნისს
განათლების მუშაკთა კავშ.	21 „
სახელმწიფო გამომცემლობა.	27 „
სახელმწიფო ბანკი	29 „
ქალაქის ბანკი	4 ივლისს
ამ.-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი	7 „
საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატი	12 „
ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული	18 „
საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატი	20 „
ამ.-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი	26 „

მე-4 კომისია

კომისიის შემადგენლობა:

პევცოვი ივანე (თავმჯდ.), მესხი დავითი, ზურაბოვი არტემი.

მდივანი—ამხ. ოგანიანი ანა.

უჯრედები:

მთავარი საავადმყოფო.	17 ივნისს
ალმასკომის ჯანმრთელ. განყოფილება	21 „
გინეკოლოგიური ინსტიტ.	23 „
„სახმედვაჭრობა"	27 „
ფოლაქების ფაბრიკა	5 ივლისს
გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებული	14 „
მუშათა და გლეხთა ინსპექცია	7 „

მე-5 კომისია

კომისიის შემადგენლობა:

ბოლქვაძე სერგო (თავმჯდ.), კიკნაძე ნიკოლოზ, მარასალოვი იაკობ.

მდივანი—ამხ. სალუქვაძე ლავროსი.

უჯრედები:

იუსტიციის სახალხო კომის.	17 ივნისს
„უელსოიუზ"-ი	27 „
„სამშენი"	3 ივლისს
მშენებელთა კავშირი	8 „
კარტონაჟის ფაბრიკა	12 „

მე-6 კომისია

კომისიის შემადგენლობა:

ჩოჩიევი ალექსანდრე (თავმჯდომარე), ცინცაძე ვასო, ენუქიძე ნიკოლოზ.

მდივანი—ამხ. მელიმონაძე ნიკიფორე.

უჯრედები:

კავშირ-გაბმულობის ოლქი.	17 ივნისს
ფოსტა	21 „
ტელეგრაფი	24 „
რკინის გზის ფოსტა	27 „
ტელეგრაფის ქსელი	30 „
რადიო	3 ივლისს
სატყეო ტრესტი	12 „
ავეჯის ფაბრიკა	5 „

მე-7 კომისია

კომისიის შემადგენლობა:

ფურცხვანიძე ალექსანდრე (თავმჯდომარე), ქუთიკაშვილი ალექსანდრე, სედიხოვი ივანე.

მდივანი—მეტონიძე მარიამი.

უჯრედები:

სახკომსაბჭო	17 ივნისს
გლეხის სახლი	28 „
შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი	3 ივლისს
მეეზოვეთა უჯრედი	5 „

მე-8 კომისია

კომისიის შემადგენლობა:

მაშკევიჩი მოსე (თავმჯდომარე), მაისურაძე ივანე, ლავრენტიევი ტარასი.

მდივანი—ამხ. ქავთარაძე ოფელია.

უჯრედები:

მუშკოოპი	17 ივნისს
მუშკოოპის ტრანსპორტი	4 ივლისს
„ბოეც"-ი	6 „
„გემო-კვება"	10 „
სახალხო კვების მუშაკთა კავშირი	12 „
„ცეკავშირი"	16 აგვისტ.

მე-9 კომისია

კომისიის შემადგენლობა:

კვანტალიანი ეპიფანე (თავმჯდ.), ნაფეტვარიძე გერმანე, ჩესანიკი ფრანცი.

მდივანი—სულუხია გიორგი.

უჯრედები:

თბილისის ალმასკომი	17 ივნისს
ელექტრონის ტრესტი	6 ივლისს
მეხანძრეთა რაზმი	8 „
„თემქა"	15 „
„თელას"-ი	24 „
ლუდის სახდელი ქარხანა	2 აგვისტო
აგურის ქარხანა	5 „

მე-10 კომისია

კომისიის შემადგენლობა:

ფილია მელიტონ (თავმჯდომარე), რცხილაძე იოსებ, სამოილოვი ანტონი.

მდივანი—ამხ. ავეტისოვი ბორისი.

უჯრედები:

„ზარია ვოსტოკა"-ს კანტორა	17 ივნისს
1-ლი სტამბა	20 „
მე-2 სტამბა	27 „
მე-3 სტამბა	1 ივლისს
მე-5 სტამბა	6 „
მე-6 სტამბა	17 „
პოლიგრაფტრესტის საფაბრიკო-საქარხნო სკოლა	21 „
პოლიგრაფტრესტის ლიტოგრაფია	25 „
კავკას. წითელდროშ. არმიის ტიპო-ლიტოგრაფია	2 აგვისტ.
კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სტამბა	5 „
„ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა	9 „

შენიშვნა: უმაღლეს სასწავლებლების და სკოლების უჯრედების შემოწმებისა და წმენდის ვადები დამატებით გამოცხადდება.

საქ. სახკომსაბჭოში

სამკითხველოთათვის გაღებული თანხის განაწილება

საქართველოში სამკითხველოსათვის გაღებული თანხა 80.000 მან. განაწილდა შემდეგნაირად: აჭარისტანს—8.000 მან., აფხაზეთს—9.000 მ., სამხრეთ-ოსეთს—8.000 მან., კახეთის მაზრას—7.000 მან., თბილისის მაზრას—3.500 მან., გორის—3.000 მან., ქუთაისის—3.500 მან., რაჭა-ლეჩხუმის—5.000 მან., ზემო-სვანეთის—2.000 მან., შორაპნის—3.000 მ., სენაკის მაზრას—3.500 მან., ზუგდიდის მაზრას—4.000 მ., ფოთის რაიონს—500 მან., ოზურგეთის მაზრას—3.000 მან., ბორჩალოს მაზრას—5.000 ახალქალაქის მაზრას—6.000 მან. ახალციხის მაზრას—6.000 მან.

შემოდგომის თესვის კამპანიის რწმუნებულის დანიშვნა

სახკომსაბჭოს რწმუნებულად შემოდგომის თესვის კამპანიის ჩატარების საქმეში დაინიშნა ამხ. ხ. ჯუღელი, ხოლო მის მოადგილეთ ამხ. რასულ-ზადე.

თივის დამზადებისა, მომარაგებისა და შემოზიდვის შესახებ

საქართველოში თივის დამზადება და მომარაგება 1929/30 წ. დაევალა ცეკავშირს.

ახალქალაქის მაზრაში თივის დამზადება დაეკისრა „სოფლის კავშირს". საქართველოში თივის დამამზადებელი ორგანიზაციები (საბჭოთა მეურნეობების ტრესტი, კახეთის ტრესტი, „სოფლის კავშირი" და სახელმწიფო ცხენთა საჯიშოების სამმართველო) ცეკავშირს აბარებენ მხოლოდ იმ ზედმეტ თივას, რაც მათ თავის მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდეგ დარჩებათ.

მასთან საჭიროდ იქნა ცნობილი აღიძრას სახელმწიფო ბანკის წინაშე საკითხი, თივის დამამზადებელი ორგანიზაციებისათვის საჭირო კრედიტების მიწოდების შესახებ.

რა ხდება ადგილებზე

გვალვა

ოზურგეთი, 13 ივნისი. არაჩვეულებრივი გვალვაა. წვიმა არ მოსულა უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში. დაითესა სახნავი მიწების მხოლოდ 40 პროცენტი. დათესილ მინდვრებზე ჯეჯილი არ მოვიდა. გვალვამ დიდი ზარალი მიუტანა მებაღეებს, მეაბრეშუმეებს და მეთამბაქოებს.

გურიის ნაწილზე გადაიარა გრიგალმა, რომელმაც ძალიან დააზიანა თუთის ხეები, ვენახები და ხილის ბაღები. (ადს).

უჯრედთა ბიუროების გადარჩევის შედეგები ხონში

ხონი, 13 ივნისი. დამთავრდა ხონის პარტორგანიზაციის უჯრედთა ბიუროების გადარჩევის კამპანია. საანგარიშო კრებებზე კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ ნაყოფიერ ბრძოლას მემარჯვენე და „მემარცხენე" გადახრებთან და შემარიგებლობასთან. მათ საჭიროთ მიაჩნიათ აგრეთვე კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობის გაუმჯობესება, მოსამზადებელი ახსნა-განმარტებითი კამპანიის ჩატარება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის შესახებ, კომკავშირის ხელმძღვანელობის და ქალთა შორის მუშაობის გაძლიერება.

უჯრედთა ბიუროების მუშაობა დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი. (ადს).

ფოთის პარტკონფერენცია

ფოთი, 13 ივნისი. დამთავრდა ფოთის ორგანიზაციის მე-11 პარტკონფერენცია. კონფერენცია მთლიანად შეუერთდა მე-16 პარტკონფერენციის დადგენილებებს. მან ბოლშევიკური კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა ფოთის ორგანიზაციის მუშაობა.

საწარმოო თათბირების და ქალაქის საბჭოს სექციების მუშაობის არასაკმაოდ გაშლა, სოციალისტური შეჯიბრის სუსტი მსვლელობა, ბიუროკრატიული ელემენტების არსებობა პარტიასა და კომკავშირში, სამეურნეო მუშაკების არაფხიზელი დამოკიდებულება სამეურნეო საჭიროებებისადმი, მუშების კულტურული და საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა არასაკმაოდ დაკმაყოფილება, თვითკრიტიკის გადამახინჯების ფაქტები,—აი რა აღნიშნეს კამათის დროს ორატორებმა.

კონფერენციას დაესწრო 131 დელეგატი. კონფერენციას მიესალმნენ საქართველოს კომპარტიის (ბ) სენაკის ორგანიზაციის დელეგატები. საქართველოს კომპარტიის ყრილობაზე გასაგზავნად არჩეულ იქნა 9 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 3 სათათბირო ხმით. (ადს).

იწყებენ ხვნას

სოხუმი, 14 ივნისი. ზღვაზე ძლიერი ქარია, რომლის ძალაც 9 ბალს აღწევს. ტალღა პარაპეტს სწვდება. ერთი დღის განმავლობაში მოვიდა 85 მილიმეტრი ნალექი ანუ 76.000 ვედრო ჰექტარზე, რაც სავსებით საკმარისია მიწის დასახნავად. როგორც კი გადაიღებს წვიმა, მოსახლეობა შეუდგება ხვნა-თესვას, რომელიც ძლიერ დაგვიანდა გვალვის გამო. (ადს).

მდინარეების ნაპირებიდან გადასვლა

სოხუმი, 14 ივნისი. 13 ივნისს ღამით მდინარე კოდორმა გადალახა ნაპირები და დაფარა გზატკეცილი. წყალი შევარდა აგრეთვე მახლობელ სოფლებში. ამჟამად წყალი კლებულობს.

გადალახა ნაპირები მდინარე მაჭარამაც. საფოსტო და სამგზავრო მიმოსვლა დროებით შესწყდა. (ადს).

კატასტროფა მაღაროში

ტყიბული, 14 ივნისი. 14 ივნისს დილით ხანგრძლივი წვიმების შემდეგ ძლიერი ნიაღვარი უეცრად შეიჭრა დასავლეთ უბნის ერთ-ერთ მაღაროში, სადაც ამ დროს მუშაობა სწარმოებდა. წყალმა დაანგრია მაღაროს კედელი. მაღაროში მყოფ მუშათაგან სამი სასიკვდილოდ დაშავდა, მეოთხე მძიმედ არის დაშავებული, ორი მუშა (ათის თავი და უბნის გამგე) მსუბუქად დაშავდა.

საქართველოს ს. მ. უ. საბჭომ კატასტროფის ადგილას სასწრაფოდ გაგზავნა საგამომძიებლო კომისია. (ადს).

ამინდი საქართველოში

13 და 14 ივნისს ტემპერატურა ყველგან დაეცა. 13 ივნისის განმავლობაში შავი ზღვის ნაპირებზე ნალექი შეადგენდა: გაგრაში — 20 მილიმეტრს, სოხუმში — 14, ბათომში — 23. ძლიერი წვიმა იყო ქიათურაში — 63 მილიმეტრი. გუდაურში 13 ივნისს ღამით ტემპერატურა დაეცა მინუს ორ გრადუსამდე. (ადს).

ახალსენაკი, 14 ივნისი. გვალვის შემდეგ, რომელმაც ორ თვეს გასტანა, წამოვიდა კოკისპირული წვიმა. მაზრის დაბლობებში მდინარეები ტეხური და რიონი ნაპირებიდან გადავიდნენ. (ადს).

გამწმენდი კომისიების

წევრებისა და მდივნების საყურადღებოდ

იმ უჯრედების მდივნები, სადაც წმენდა 17 ივნისისთვის არის დანიშნული, და, შემმოწმებელი კომისიების ყველა წევრები და მდივნები აუცილებლად უნდა გამოცხადდენ თავიანთ რაიკომებში შაბათს, 15 ივნისს, დილის 9-დან 2 საათამდე სათანადო ინსტრუქციების მისაღებად და უჯრედების მდივნებთან მუშაობის შესათანხმებლად.

როგორ უნდა მუშაობდეს საწარმოო უჯრედი?

თათბირი საორგანიზაციო საკითხებზე საქ. კ. პ. (ბ) ცეკაში

ეს საკითხი იყო დასმული 13 ივნისს საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას საორგანიზაციო თათბირზე, რომელსაც ესწრებოდნენ თბილისის ორგანიზაციის რაიკომების მუშაკები, მსხვილი საწარმოო უჯრედების მდივნები და ჯგუფური პარტორგანიზატორები.

„უჯრედები, რომელთა გამოკვლევის მასალების მიხედვით არის აგებული ჩემი მოხსენება და დასკვნები—დაიწყო მომხსენებელმა ამხ. მელიქსეტოვმა,—ემსახურებიან 3.000-დე უპარტიო და პარტიულ მუშ. თვით ამ უჯრედებში 1.053 კომუნისტი ირიცხება.

ცეკას ნოემბრის პლენუმის დამუშავებამ ამ უჯრედებში ის შედეგი მოგვცა, რომ ზრდა მხოლოდ მუშების ხარჯზე სწარმოებს. ამას გარდა ახალ მიღებულთა თვისობრივი შემადგენლობაც დამაკმაყოფილებელია, მათ უმეტეს ნაწილს აქვს დიდი საწ. სტაჟი.

უჯრედის ბიუროები მჭიდროდ დაუახლოვდნენ წარმოების საკითხებს. მაგრამ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ უჯრედების და ბიუროების დღის წესრიგი ხშირად დატვირთულია ისეთი წვრილმანი სამეურნეო საკითხებით, რომლებიც ადგილკომების სხდომებზე უნდა ირჩეოდენ (მაგ., კალინინის სახ. ქარხანა).

დადგენილებათა შინაარსი წარსულთან შედარებით გაუმჯობესდა, მაგრამ ჯერ-ჯერობით მათ კიდევ აკლიათ კონკრეტულობა.

ბიურო ზოგჯერ სულ წვრილმანი საკითხებისათვის იწვევს სხდომებს. მაგალითად, მე-6 სტამბის უჯრედის ბიუროს ოქმებში ასეთი საკითხებია ჩაწერილი: მეტრანპაჟის შესახებ, ერთი ამხანაგისათვის დახმარების გაცემის შესახებ და სხვ. სწორეთ ასეთი დაწვრილმანებაა იმის მიზეზი, რომ ამ უჯრედის ბიუროს ძლიერ ხშირად უხდება სხდომების მოწვევა.

ძლიერ სუსტად არის დაყენებული დადგენილებათა შესრულების კონტროლი.

სხვადასხვა პარტიული და პროფ. საკითხები უჯრედებში ისმება მხოლოდ ანგარიშების მოსმენის სახით, ეს კი იწვევს საერთო ხასიათის დადგენილებათა მიღებას.

თვითღირებულების შემცირებისა და შრომის დისციპლინის საკითხები ბიუროებს არ დაუმუშავებიათ. პარტმუშაობის რაციონალიზაციის საკითხი თუმცა განიხილავთ უჯრედებს, მაგრამ რეალური შედეგი ამ მხრივ ჯერ არა ჩანს.

უკანასკნელ ხანებში უჯრედები არჩევენ მემარჯვენე გადახრის საკითხებს. სამწუხაროდ ბევრ მათგანს ვერ შეუგნია მემარჯვენეობის ნამდვილი შინაარსი და გამოაქვს რეზოლიუცია, რომლის მიხედვითაც მემარჯვენე გადახრა თურმე იმიტომ არის საშიში საქართველოსათვის, რომ ნაციონალისტურ ელემენტებს შეუძლიათ მისი გამოყენება. დაახლოებით ასეთი შინაარსისაა თვით ქალაქის რაიკომის პლენუმის რეზოლიუციაც.

თვითკრიტიკა და შინაპარტიული დემოკრატია გახდა საუჯრედო მუშაობის სისტემის განუყრელი ნაწილი. მაგრამ თვითკრიტიკის შედეგები ბევრგან მცირეა. აბა რა თვითკრიტიკა უნდა ყოფილიყო განვითარებული მე-5 სტამბის უჯრედში, სადაც 13 კომუნისტი სისტემატიურად ლოთობდა ადგილკომის ხარჯზე და ეს ამბავი მხოლოდ მაშინ გაირკვა, როცა ქარხკომის მდივანმა მოიკლა თავი?

მასიური მუშაობის დარგში უნდა აღინიშნოს საერთო კრებების სიხშირე ზოგიერთ წარმოებაში და ის გარემოება, რომ ამ კრებების დღის წესრიგი ხშირად არ არის საინტერესო.

წარმოებებში შემჩნეულია სოც. შეჯიბრებისადმი ერთგვარი ბიუროკრატიული ფორმის მიცემა. მაგ., სავაგონო პარკის ერთმა ბრიგადამ მიმართა უჯრედს: „ნება მოგვეცით გამოვიწვიოთ მეორე ბრიგადაო", ამაზე მათ უპასუხეს: „მოიცადეთ, ჯერ ვემზადებითო" და სრულიად არ შეეცადენ გამოეყენებიათ მუშების ინიციატივა".

მოხსენებას ცხოველი აზრთა გაცვლა გამოიწვია.

„ჩვენ ძლიერ დატვირთული ვართ კრებებით, თათბირებით"—აცხადებენ უჯრედების მდივნები.

„პარტიული კომიტეტები აუარებელ საკითხებს ახვევენ თავს უჯრედებს, რაც იწვევს მათს მოწყვეტას წარმოების ყოველდღიურ საკითხებიდან"—ხაზს უსვამს თბ. კომიტეტის ინსტრუქტორი ამხ. აზარაშვილი.

„პარტიაში მიღება კამპანიის წესით არ იძლევა სასურველ ნაყოფს, ჩვენ უვლით, ვზრდით, ამგვარად მიღებულ ამხანაგებს, მაგრამ ბოლოს მაინც იძულებული ვხდებით ბევრი მათგანი თავიდან მოვიცილოთ" (ამხ. სარქისიანი).

„იმის თქმა, რომ ჩვენ ცოტა საკითხებს ვამუშავებთ—არ არის სწორი, ჩვენ ძალიან ბევრსაც „ვამუშავებთ", მაგრამ საუბედუროდ ცოტას „ვასრულებთ"—აი, რის გამოსწორებას უნდა მივაქციოთ ყურადღება" (ამხ. ბელულაძე).

ამხ. ლუსკინას წინადადება შემოაქვს შემოღებულ იქნეს პარტაქტივის ჩაბმა მუშაობაში დარგების მიხედვით.

„საჭირო არ არის სენსაციების გამოკიდება, რასაკვირველია ჩვენ შეიძლება ბევრ საკითხს ვერ ვამუშავებთ კარგად, მაგრამ საწარმოო უჯრედების მუშაობა, რომ მჭიდროდ დაუახლოვდა წარმოებას—ეს ფაქტია"—(ამხ. შოგირაძე).

დასასრულ, სიტყვა წარმოსთქვა ამხ. სვანიძემ. „მთავარი ნაკლი—ამბობს ამხ. სვანიძე—არის ის, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შევასრულეთ იმ ძირითადი რგოლის მონახვა, რომელსაც უნდა ჩასჭიდოს ხელი საწარმოო უჯრედმა თავის მუშაობაში. ასეთ რგოლათ კი მაგალითად შეგვეძლო ჩაგვეთვალა თვითღირებულების შემცირების საკითხი. ამ საკითხში, როგორც ფოკუსში, თავს იყრის საწ. უჯრედის მუშაობის თითქმის ყველა დარგები: შრომის ნაყოფიერების აწევა, შრომის დისციპლინის განმტკიცება, „წაგლეჯით" განწყობილებებთან ბრძოლა და სხვ.

უჯრედის სხდომაზე უნდა განხილულ იქნას მხოლოდ ძირითადი საწარმოო საკითხები, დანარჩენები კი უშუალოდ საერთო კრებაზე უნდა დაისვას. ეს გააძლიერებს პარტიულების დასწრებას საერთო კრებებზე".

თათბირმა გამოყო კომისია პრაქტიკულ ღონისძიებათა გამოსამუშავებლად.

მე-5 სტამბა

გადადის 7 საათის სამუშაო დღეზე

პოლიგრაფიულ წარმოებაში შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლა ხდება სოციალისტური შეჯიბრების პერიოდში. 15 ივნისიდან შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადადის პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა. პოლიგრაფიულ მრეწველობაში თუ მხედველობაში არ მივიღებთ ასოთჩამომსხმელ ქარხანას და ზოგიერთ, მუშის ჯანმრთელობისათვის მავნე ცეხებს, პირველი მაგალითია სტამბის მთლიანად შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლა. ამის შემდეგ დანარჩენი სტამბებიც თანდათანობით გადავლენ შვიდ საათიან სამუშაოზე და მით პოლიგრაფიულ მრეწველობაში საბოლოოდ განხორციელდება საკავშირო ცაკის მიერ გამოცემული მანიფესტი.

შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლის ძირითად პირობას წარმოადგენს ერთის მხრივ გამომუშავებული პროდუქციის ნორმის აუცილებლად შენარჩუნება, ხოლო მეორეს მხრივ უცვლელი უნდა დარჩეს მუშების შრომის ხელფასი. ამ მიზნის განხორციელება არც ისე ადვილი საქმეა. აქ საჭიროა როგორც მუშების მიერ მაქსიმალური ენერგიის გამოჩენა, ისე ადმინისტრაციის განსაკუთრებული ყურადღება წარმოების კეთილმოწყობის და მისი შემდგომი რაციონალიზაციისათვის. ყოველგვარი ზომები უნდა იქნას მიღებული, რომ წარმოებაში მუშას ხელი არ შეეშალოს მუშაობაში და ის მომარაგებული იყოს როგორც სამუშაოს მიცემით, ისე სათანადო მასალებითაც.

თუ ამ მხრივ მივუდგებით საკითხს, მე-5 სტამბის სამეწყობო განყოფილება (ჩვენ არაფერს ვამბობთ დანარჩენი ცეხების შესახებ) ჯერ-ჯერობით სანახევროდაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. პირველ ყოვლისა ხსენებულ განყოფილებაში მუშები განიცდიან ძალზე სივიწროვეს შენობის სიპატარავის გამო. განყოფილებას უჭირავს ერთი მოზრდილი ოთახის ნახევარი და თუმცა მუშათა რიცხვი ამ განყოფილებაში მცირეა, მაგრამ საექსპედიციო განყოფილება თავისი მუშაობის პირობებით მოითხოვს ფართე ადგილს. ამასთან ერთად ამავე განყოფილებაში არაა საკმაო შრიფტი, კასები, აწყობილი ნაბეჭდის გადასაშვები ფიცრები და სხვა. ყველაფერი ეს ძალზე ამცირებს მუშების შრომის ნაყოფიერებას, რითაც ზარალობს როგორც წარმოება, ისე მუშებიც.

სასტამბო მრეწველობაში სამეწყობო განყოფილებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა სამანქანო და საამკინძაო განყოფილების რეგულიარული მუშაობისათვის, თუ პირველის მუშაობა მოიკოჭლებს, შეფერხებულია დანარჩენი საამქროების მუშაობაც.

ამიტომ საჭიროა შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლასთან დაკავშირებით პოლიგრაფტრესტმა და მე-5 სტამბის ადმინისტრაციამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სამეწყობო განყოფილების მომარაგებას საჭირო ხელსაწყო-იარაღებით. ამის განხორციელება არც ისე ძნელია, ვინაიდან ამავე სტამბაში მუშაობს ასოთ-ჩამომსხმელი განყოფილება, სტამბას აქვს საკუთარი სადურგლო განყოფილება და სხვ. მიღებული უნდა იქნას ზომები აგრეთვე სამეწყობო განყოფილების გასაფართოებლადაც.

ყოველმხრივ უნდა ვეცადოთ 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლამ სტამბის წვრილმანი ტეხნიკური დაბრკოლებების გამო არ შეამციროს როგორც პროდუქციის გამომუშავება, ისე მუშების შრომის ხელფასი.

ასოთამწყობი.

სახელმწიფო ბანკის მუშაობა ფართე მასებში

სახელმწიფო სესხების პოპულარიზაცია

სახელმწიფო სესხების გასაღების გასაუმჯობესებლად და ფართო მშრომელი მასის ჩასაბმელად ობლიგაციების გასაღების საქმეში, სახელმწიფო ბანკის თბილისის სააგენტომ გადასწყვიტა თავისი საქმიანობა გადაიტანოს მუშა მოსამსახურეთა ფართო მასებში.

ამ მიზნით 16 ივნისს 26 კომუნარის სახელობის ბაღში (ყოფ. ალექსანდრეს ბაღი) სახელმწიფო ბანკის თბილისის სააგენტო აწყობს სპეციალურ მოედანს, სადაც იწარმოებს ყველა სახელმწიფო სესხების ობლიგაციათა გასაღება, ობლიგაციების მეპატრონეთათვის ყოველგვარი ცნობების მიცემა, მომგებიან ობლიგაციებზე მოგებათა გაცემა და სხვ.

იქვე დილის 11 საათზე შესდგება სახელდახელო მიტინგი, რომელზედაც მოწვეული არიან სხვადასხვა დაწესებულებათა და წარმოებათა მუშები და მოსამსახურეები. ობლიგაციების გასაღების და მოგებათა გაცემის ოპერაციები იწარმოებს დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 5 საათამდე.

მოედანზე მოწყობილი იქნება ცალკე ფანჩატურები ობლიგაციების გასასყიდათ და გამოსასყიდათ, ყველა სესხების მოგებათა დასარიგებლად, ობლიგაციების მიბარება შესანახად და ცნობების გასაცემათ ყველა სესხების გარშემო ჩატარებული ტირაჟების შესახებ.

შემდეგ კვირა-უქმე დღეებში სახელმწიფო ბანკის თბილისის სააგენტოს გადაწყვეტილი აქვს ასეთივე ოპერაციები ჩაატაროს სხვადასხვა მუშათა კლუბებში და ბაღებში, სადაც ამასთანავე მოწყობილი იქნება სპეციალურად სახელმწიფო სესხების კიოსკები.

საქართველოს სარეწაო კოოპერაცია

(„საქ. სარეწაო კოოპკავშირის" რწმუნებულთა ყრილობის გამო)

საქართველოს სარეწაო კოოპერაციის გეგმიან მშენებლობას საფუძველი ჩაეყარა 1927 წელს, როდესაც დაარსებული იქნა სარეწაო კოოპერაციის კავშირი. ამ დროისათვის საქართველოში ირიცხებოდა სულ 61 სარეწაო კოოპერატიული გაერთიანება, რომლებშიაც შეკავშირებული იყო 3.211 წევრი. აქედან ქალაქებში ირიცხებოდა 51 გაერთიანება—3.063 წევრით და სოფლებში 10 გაერთიანება—143 წევრით.

1927—28 წელში სარეწაო კოოპერაციის ძირითადი ქსელი სწრაფად იზრდება და 1928 წლის 1 ოქტომბრისათვის სარეწაო კოოპ. გაერთიანებათა რიცხვი უდრის უკვე 285-ს—7.600 წევრით (აქედან ქალაქში 217 გაერთიანება—6.350 წევრით და სოფელში—68 გაერთიანება 1.250 წევრით). განსაკუთრებული ზრდა ემჩნევა განსაზოგადოებულ სახელოსნოების მქონე არტელებს, რომელთა რაოდენობა უდრის 192 (წინა წელთან შედარებით გადიდებულია 234,4 პროცენტით). 1928 წლის 1 ოქტომბრისათვის სოფლებში ირიცხებოდა 68 სარეწაო არტელი, რომლებშიაც შეკავშირებული იყო 1920 კაცი (ერთი წლის განმავლობაში ზრდა უდრის 267,1 პროც.). 1927 წლის 1 ოქტომბრისათვის სარეწაო კოოპერაციაში გაერთიანებული იყო 352 ქალი, ხოლო 1928 წლის 1 ოქტომბრისათვის სარეწაო კოოპერაციაში შეკავშირებულ ქალთა რაოდენობა გაიზარდა—1.407-დე (წლის განმავლობაში ქალთა რიცხვი გადიდებულია 299,7 პროცენტით).

1929 წლის 1 აპრილისათვის სარეწაო კოოპ. გაერთიანებათა რიცხვი უდრის 375—12.600 წევრით. აქედან—სოფლებში 142 გაერთიანება 2.407 წევრით და ქალაქში—233 გაერთიანება—10.193 წევრით.

კავშირი სათანადო ყურადღებას აქცევდა სარეწაო გაერთიანებებში შეკავშირებულ მასის სოციალური მდგომარეობის მოწესრიგებას, რა მიზნითაც სისტემატიურად სწარმოებდა აღნიშნული მასის შემადგენლობის შესწავლა და 1928 წლის 1 ოქტომბრიდან 1929 წლის 1 აპრილამდე გაერთიანებიდან გაძევებული იქნა 270 შეუფერებელი წევრი, ამასთანავე ჯეროვანი ყურადღება ექცეოდა ღარიბ შინამრეწველ—ხელოსნების ხვედრითი წონის გადიდებას.

სამეურნეო საქმიანობაში კავშირს წინ ეღობებოდა სხვადასხვა მძიმე დაბრკოლებები, რომლებიც გავლენას ახდენენ სარეწაო კოოპერაციის ორგანიზაციულ და სამეურნეო ძლიერების განვითარებაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნედლეული მასალით და ნახევარ ფაბრიკატებით მომარაგების სისუსტე. 1928—29 წლისათვის სარეწაო კოოპერაციამ შეიმუშავა მომარაგების გეგმა 14.466.900 მანეთის რაოდენობით, რომელიც ფაქტიურად დაკმაყოფილებულია მხოლოდ 83 პროცენტით.

მიუხედავად დაბრკოლებებისა, სწრაფად იზრდება კავშირის საშუალო თვიური ბრუნვა. ასე, მაგალითად, 1927 წელში კავშირის საშუალო თვიური ბრუნვა უდრიდა 154.242 მანეთს, 1928 წლის 1 იანვრიდან ამავე წლის 1 ივლისამდე 328.846 მანეთს, ხოლო 1928 წლის 1 ოქტომბრიდან 1929 წლის 1 აპრილამდე კავშირის საშუალო თვიური ბრუნვა უდრის—701.800 მანეთს. მიმდინარე სამეურნეო წლის დამდეგამდე სრულიად მოუგვარებელი იყო სარეწაო კოოპერაციის პროდუქციის რეალიზაციის საკითხი. მიმდინარე წლის მდგომარეობა გაუმჯობესდა და ამჟამად პროდუქციის რეალიზაციის შესახებ მიღწეულია შეთანხმება სამომხმარებლო კოოპერაციასთან.

ვინაიდან სარეწაო კოოპერაციას ეძლეოდა მეტად უმნიშვნელო კრედიტები, განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული ჰქონდა საკუთარი თანხების ზრდას და ამ საქმეში მიღწეულია საგრძნობი შედეგები: 1928 წლის 1 ივლისს საკუთარი თანხები უდრიდა 160.322 მანეთს, ამავე წლის 1 ოქტომბრისათვის კი—301.897 მანეთს.

ძირითად ქსელში 1928 წლის 1 ივლისს თვითეულ წევრზე საკუთარი თანხა მოდიოდა—80,3 მანეთი, ხოლო ამავე წლის 1 ოქტომბრისათვის—115 მანეთი.

ანაბარების ოპერაციების გაძლიერებისა და სესხების მოზიდვის გზით საგრძნობლად გაიზარდა ნასესხებ თანხების ჯამი: 1928 წლის 1 ივლისს ამ გზით მოზიდული თანხების ჯამი უდრიდა—620.084 მანეთს, ამავე წლის 1 ოქტომბრისათვის—829.807 მანეთს. ამრიგად, სამი თვის განმავლობაში საკუთარი თანხები გადიდებული იქნა 87,7 პროცენტით, ნასესხები თანხები—39,6 პროცენტით. ამავე სამი თვის განმავლობაში ძირითად ქსელში ნასესხებ თანხების ჯამი გაიზარდა 3,3 პროცენტით.

1928 წლის 1 ივლისისათვის ბრუნვაში გაშვებული იყო კავშირის მთელი თანხების 87,22 პროცენტი, ხოლო ამავე წლის 1 ოქტომბრისათვის—88,47 პროცენტი.

ვ. კავკასიძე.

ქრონიკა

ამხ. მიხა ცხაკაიას და .ს. თოდრიას გამგზავრება

14 ივნისს ახალციხე - ახალქალაქის მაზრებში გაემგზავრნენ საქ. ცაკის თავმჯდომარე ამხ. მ. ცხაკაია და ცაკის მდივანი ამხ. ს. თოდრია.

მათი მოგზაურობის მიზანია მიმდინარე მშენებლობის დათვალიერება ადგილებზე.

საქ. ცაკის თავმჯდომარის მოვალეობის აღსრულება დაეკისრა ამხ. ლ. სუხიშვილს, ხოლო მდივნის — ამხ. დ. ქუჩულორიას.

ამხ. მ. ცხაკაია და ს. თოდრია თბილისში დაბრუნდებიან ერთი კვირის შემდეგ.

ბუნებისმეტყველ მასწავლებელთა კონფერენცია

გუშინ, გაიხსნა თბილისის სკოლების ბუნებისმეტყველ მასწავლებელთა საქალაქო კონფერენცია, რომლის დღის წესრიგში დასმულია ახალგაზრდობის ანტირელიგიური აღზრდის და ბუნებისმეტყველების სწავლების საკითხები.

კონფერენციაზე განხილული იქნება აგრეთვე განვლილი დასრულებული სამოსწავლო წლის განმავლობაში ჩატარებული მუშაობის შედეგები ყველა სკოლებში და გამომუშავებული იქნება პრაქტიკული ღონისძიებები შემჩნეულ დეფექტთა გამოსასწორებლად მომავალი სამოსწავლო წლისათვის.

კონფერენციის პირველ სხდომაზე მოსმენილ იქნა ორი სკოლის წარმომადგენელთა მოხსენებები მათ სკოლებში ბუნებისმეტყველების სწავლების მდგომარეობის შესახებ მოსწავლე ახალგაზრდობის ანტირელიგიურად აღზრდის თვალსაზრისით.

კონფერენციის მორიგი სხდომა შესდგება დღეს მე-14 შრომის სკოლის შენობაში.

7 საათის სამუშაო დღე

წარმოებების 7 საათის სამუშაო დღეზე გადამყვან კომისიის ცნობით, 1930—31 წელში 7 საათის სამუშაო დღე შემოღებული იქნება შემდეგ ქარხნებში: თბ. ტყავის მეორე ქარხანაში, მეორე ქიმიურ ქარხანაში, თელავის, ახალდაბის, ყულევის, ოზურგეთის, მარელისის და ფოთის ხე-ტყის ქარხნებში, პოლიგრაფტრესტის 1, 2, 3 და მე-6 სტამბაში, ოზურგეთის ძაფსახვევ და ძაფსართავ ქარხნებში, სამხრეთ-ოსეთის 4 წარმოებაში და თბ. ფეხსაცმელების ფაბრიკაში.

ფაქტიური მშენებლობის გამოკვლევა

საქართველოს სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო შეუდგა 1928 წლის ფაქტიურ მშენებლობის გამოკვლევას მთელ საქართველოში. გამოკვლეული იქნება, თუ რამდენი საბინაო შენობა იქნა აგებული 1928 წლის განმავლობაში, რას უდრის ამ შენობათა საცხოვრებელი მოედანი, რა დაჯდა სამშენებლო ერთეულის აგება და სხვ.

ახალი ცირკულის გამოგონება

მიწადმოქმედების კომისარიატის მიწსაზომელმა კოტე გოგოლაშვილმა გამოიგონა ახალი ცირკული, რომელიც საგრძნობლად ამარტივებს მხაზველების მუშაობას და ამცირებს ხარჯებს გოგოლაშვილის მიერ გამოგონებული ცირკული მოიწონა მიწადმოქმედების კომისარიატის სპეციალისტების კომისიამ და სახ. მეურ. უმაღ. საბჭოს საგამომგონებლო კომიტეტმა.

მოდელი გადაიგზავნა საკავშირო სახ. მეურ. უმ. საბჭოს მთავარ საგამომგონებლო კომიტეტში.

ძროხების ფერმა სამეგრელოში

მესაქონლეთა კოოპ. ამხანაგობა „მეჯოგე“-ს განზრახული აქვს სენაკის ან ზუგდიდის მაზრაში მოაწყოს მეგრული ჯიშის მეწველი ძროხების საცდელ - საჩვენებელი სადგური 100 ძროხისთვის. ამავე სადგურთან მოწყობილი იქნება რძის ნაწარმოების გადასამუშავებელი ქარხანა. ამ დღეებში „მეჯოგე“-მ მიიწვია პროფესორი ჯანდიერი, რომელმაც გამოიკვლია ადგილობრივი ჯიშის საქონელი.

ქალაქის კომენდანტისაგან

ქ. თბილისისა და მისი მიდამოების კომენდანტი აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ 16 ივნისს, საღამოს, მუშათა ახალი კლუბის ბაღში შესდგება მაზალების სროლა, ხოლო 19, 22, 26, 29 ივნისს და 3 და 6 ივლისს ვაკეზე მოხდება თოფების სროლა. 17 ივნისიდან 1-ლ ივლისამდე თოფების სროლა იწარმოებს მლაშე ტბის რაიონში.

სანიტარული თავდაცვა

საქართველოს წითელ ჯვართან დაარსდა სამხედრო - სასანიტარო განყოფილება, რომელიც მიზნად ისახავს მოსახლეობის მომზადებას სანიტარული თავდაცვისათვის.

განყოფილების ხელმძღვანელობა დაკისრებული აქვს ამხ. ი. მამულიას. სანიტარული თავდაცვის ხელმძღვანელობა მთელს რესპუბლიკაში — ექ. კ. ტარიელაშვილს.

თბილისის აღმასკომში

◆ **სისხლის სამართლის მილიციის უფროსად** დაინიშნა ამხ. **გიორგი ტაბიძე.**

◆ **უმუშევართა კოლექტივის** მოსაწყობათ შრომის ბირჟას გადაეცა ყოფ. ჰაიდაროვის და ლამბაროვის აგურის ქარხნები.

◆ **დახმარება.** სას.-სამ. კოლექტივს — „წითელ ვარსკვლავს“ აღმასკომმა დახმარების სახით მისცა 500 მ.

ჯანსახკომში

◆ **ჭიათურის საავადმყოფოში** ჯანსახკომი აწყობს რენტგენის კაბინეტს.

◆ **ქინაქინა.** ჯანსახკომმა დამატებით შეიძინა ქინაქინა, რომელიც გაუნაწილდება მაზრებს.

სხვადასხვა

◆ **ლენინის სახ. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის** მუშფაკის კურსდამთავრებულთა გამოშვების აღსანიშნავად 17 ივნისს ინსტიტუტის შენობაში გაიმართება საზეიმო საღამო.

◆ **საბავშო მოედანი.** დღეს ხაშურში იხსნება საბავშო მოედანი — 50 ბავშვისათვის. მოედანი მოწყობილია ამ.-კავკ. სატრანსპორტო კოოპერაციის მიერ — ხაშურის უბნის რკინისგზელთა ბავშვებისათვის.

მოედნის მოწყობაზე დახარჯულია — 3.500 მანეთი.

◆ **დამცველთა კოლეგიის წევრების კრება.** დღეს საღამოს 7 საათზე შესდგება დამცველთა კოლეგიის წევრების საერთო კრება. განსახილველია საკითხი კოლეგიის რეორგანიზაციის შესახებ.

◆ **ინჟენერ-ტეხნიკოსთა კრება.** დღეს, სახალხო მეურნეობის მუშაკთა კლუბში მოწვეულია თბილისში მომუშავე ინჟენერ-ტეხნიკოსების საქალაქო კრება, რომელზედაც მოსმენილი იქნება მოხსენება პოლონეთის მთავრობის პროვოკაციული გამოსვლების შესახებ. კრება გაიხსნება საღ. 7 საათზე.

◆ **ახალი გამოცემები.** გამოვიდა ჟურნალი „ტროპიკული მედიცინის მოამბე“ № 4 და სარეწაო კოოპერაციის რწმუნებულთა 1-ლი ყრილობის მუშაობის ანგარიში.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები** — მოსკოვიდან—ტატიშვილის, მიკუშანოდან — ბახტაძეს, დიდი-ჯიხაიშიდან — გ. აბურჯანიას, ხაშურიდან — კარტოზიას და წნორიდან —პაპელოვს.

ხელოვნების ქრონიკა

— **სახელმწიფო ბაღი** გაიხსნება დღეს. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ძალები.

— **ოპერის თეატრში** დღეს მოსკოვის რევ. თეატრის მიერ წარმოდგენილი იქნება „ჰოპლა - ჩვენ ვცოცხლობთ“.

— **მედსანშრომის კლუბში** დღეს გაიმართება დიდი კონცერტი.

— **აშუღების საღამო.** ელმშენებელთა კლუბში დღეს შესდგება აშუღების საღამო.

— **ტრამვაელთა კლუბში** დღეს გაიმართება ქუთ. სატირის თეატრის წარმოდგენა.

საექიმო რაზმები

ფსიქო-ნერვიულ რაზმების გარდა, ჯანმრთელობის კომისარიატი მაზრებში აგზავნის შემდეგ საექიმო რაზმებს:

თვალის ექიმთა 3 რაზმს (სვანეთში, ბორჯომში და ბორჩალოში), ვენეროლოგიურ რაზმს ახალქალაქის მაზრაში, ტრამვატიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ექიმთა რაზმებს ქუთაისში და ჭიათურაში, 2 სამეანო-გინეკოლოგიურ რაზმს და კბილის ექიმთა რაზმს ფოთსა და სამტრედიის რაიონებში.

აღსანიშნავია, რომ ფოთისა და სამტრედიის რაიონებში მასიური ხასიათი მიიღო კბილის ერთგვარი სენით „პიორეია“-თი დაავადებამ. ამ სენის გავრცელებას უნდა იწვევდეს მალარია. ვინაიდან ჯერ მეცნიერულად არ არის გამოკვლეული, თუ ნამდვილად რა უწყობს ხელს კბილის დაავადებას „პიორეია“-თი, ამიტომ რაზმს დავალებული აქვს კბილის ექიმობასთან ერთად, აწარმოოს ავადმყოფობის მეცნიერულად შესწავლა და მისი წარმომშობ მიზეზების გამორკვევა.

წიგნი მასებს!

სახელგამი ამჟამად ატარებს წიგნების გავრცელების კამპანიას. იმ მიზნით, რომ მუშა-მოსამსახურეებსა და გლეხებს მიეცეს წიგნების შეძენის შესაძლებლობა, სახელგამმა დაუკლო ფასები თავის პროდუქციაზე დაახლოვებით 20 — 80 პროცენტამდე. განსაკუთრებით შეეხო ეს დაკლება პოლიტიკურ ხასიათის ლიტერატურას. მუშა-მოსამსახურეებს ლიტერატურა ეძლევა ნისიათ, ოთხი თვის ვადით. წიგნები დახარისხებულია სხვადასხვა ბიბლიოთეკებათ: მაგ., საბავშო, სასკოლო, პედაგოგიური, საგლეხო; მეცნ.-პოპულიარული, კომკავშირის და პოლიტიკური. უკანასკნელი დაყოფილია სხვადასხვა საკითხებათ: ქართული ემიგრაცია, ჩინეთის რევოლიუცია, ლენინიზმი და სხვ. ცალკე ბიბლიოთეკათ არის გამოყოფილი ფ. მახარაძის თხზულებანი. თვითეულ ბიბლიოთეკაში შედის საშუალოდ 10—15 წიგნი, ხოლო საგლეხოში კი —118 წიგნი, (ძველი ფასი 14 მ., ახალი ფასი 5 მან. 45 კ.) გამოშვებულია სპეციალური კატალოგები და სიები და აგრეთვე რამდენიმე პლაკატი. კამპანია ლოზუნგით: — **„წიგნები მასებს“** ტარდება ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციებისა და სხვა ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით. განსაკუთრებით აღსანიშნავია მუშათა და სამრეწველო რაიონების (ჭიათურა, ფოთი და სხვ.) გაცხოველებული ინტერესი კამპანიისადმი.

კამპანიასთან დაკავშირებით მიმდინარეობს ხელისმოწერა სახელგამის პერიოდულ გამოცემებზე.

კამპანია **„წიგნები მასებს“** ტარდება ყველა ქალაქებში და თემებში. განსაკუთრებით წარმატებით მიმდინარეობს კამპანია აჭარისტანში. გაზ. „საბჭოთა აჭარისტანი“ სისტემატიურათ ათავსებს ცნობებს კამპანიის მსვლელობის შესახებ.

წიგნების ფართოდ შეჭრა ფართო მასებში და აგრეთვე საქ. მივარდნილ კუთხეებში დიდი მნიშვნელობის კულტურული მოვლენაა.

საერთოდ, სახელგამს აღებული აქვს გეზი იქითკენ, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოაგვაროს წიგნის გავრცელების საქმე. ამჟამად წარმოებული კამპანია მხოლოდ დასაწყისია ამ დიდი საქმის.

სახელგამის ცხოვრებაში და მის მუშაობაში ხდება დიდი გარდატეხა.

სახელგამელი.

მდგომარეობა ხორცის ბაზარზე უმჯობესდება

„მიასოპროდუქტი“ აიძულეს შეესრულებია თავისი ვალდებულებანი

უკანასკნელ დროის განმავლობაში თბილისის ბაზარზე ადგილი ჰქონდა ხორცის კრიზისს. ზაფხულის პერიოდში ხორცის ბაზარზე ყოველთვის აქვს ადგილი ერთგვარ გართულებას, მაგრამ ეს გარემოება წინასწარ აქვთ გათვალისწინებული დამამზადებელ ორგანიზაციებს და თავის დროზე იღებენ საჭირო ზომებს მოსალოდნელი კრიზისის შესანელებლად. წელს ამის მსგავსი არ ყოფილა რა.

იბადება კითხვა—თუ რამ გამოიწვია დამამზადებელი ორგანიზაციების ასეთი დაუდევრობა?

ხორცის ძირითად დამამზადებლად ამიერ კავკასიაში და, კერძოდ, თბილისში ითვლება საქკ. სახ. „მიასოპროდუქტი“, რომელსაც სათანადო ხელშეკრულება აქვს დადებული მუშკოოპთან. აღნიშნულ ხელშეკრულებაში (მის პირველ ვარიანტში) არის პუნქტი, რომელშიაც ნათქვამია, რომ თუ „მიასოპროდუქტი“ სამომხმარებლო კოოპერაციას ვერ მიაწოდებს ხორცის ყოველდღიურ ნორმას, სამომხმარებლო კოოპერაციას უფლება აქვს თვითონ შეიძინოს საკლავი საქონელი, ხოლო თუ საქონელი მუშკოოპს უფრო ძვირად დაუჯდება, ვიდრე უნდა მიეღო „მიასოპროდუქტისაგან“, განსხვავება უნდა მიეწეროს „მიასოპროდუქტს“. ხელშეკრულების ეს პუნქტი ნავარაუდევია უმთავრესად ზაფხულის პერიოდისათვის, როდესაც მოსალოდნელია საკლავი საქონლის დამზადების შემცირება და დასამზადებელი ფასების გადიდება.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ზამთრის განმავლობაში ხორცის დასამზადებელი ფასი გაცილებით დაბალია, ვიდრე ეს გათვალისწინებულია სამომხმარებლო კოოპერაციისა და დამამზადებელ ორგანიზაციას შორის დადებულ ხელშეკრულებით. ეს განსხვავება იმ ვარაუდით ეძლევა დამამზადებელს, რომ მან შესძლოს ზაფხულის პერიოდში ხორცის დამზადებასთან დაკავშირებული ზარალის ანაზღაურება.

ზამთრის განმავლობაში „მიასოპროდუქტ“-ს, როგორც სჩანს, არ უზრუნვია ზაფხულისთვის მარაგის დასამზადებლად, ხოლო, როდესაც ზაფხული მოახლოვდა და დასამზადებელი ფასები გაიზარდა, — მან არ მოისურვა საზარალო ოპერაციების წარმოება. ამასთანავე მან ამ.-კავ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის დახმარებით გააუქმა ხელშეკრულების ზემოხსენებული პუნქტი. ამრიგად ხელშეკრულება, მისი უკანასკნელი სახით, იცავდა მხოლოდ და მხოლოდ „მიასოპროდუქტი“-ს ინტერესებს და სრულიად არ უწევდა ანგარიშს მომხმარებლის საჭიროებებს.

საკითხი განხილულ იქნა ამ.-კ. სახკომსაბჭოში, რომელმაც გააუქმა ამ.-კავ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის მიერ ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილება და აღადგინა ხელშეკრულების პირველი ვარიანტი. ამ გარემოებამ სათანადო გავლენა მოახდინა „მიასოპროდუქტ“-ზე. მან იკადრა ყურების გაბერტყვა და შეუდგა საკლავი საქონლის დამზადებას, რათა თავიდან აეცილებია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯარიმა.

დღეს ხორცის ბაზარზე უკვე აღდგენილია ნორმალური მდგომარეობა. ვაჭრობის სახ. კომისარიატის ცნობით, ივნისის დამლევამდე თბილისისთვის საჭიროა 15.000 ფუთი ხორცი. ამ რაოდენობიდან 7.000 ფუთს ამზადებს „მწყემსი“ (რომელიც, უნდა აღინიშნოს, პირნათლად ემსახურება ბაზარს კრიზისის დროსაც), 7.000 ფუთს „მიასოპროდუქტი“.

ქ. ტ.

საანგარიშო-საარჩევნო კამპანია სატრანსპორტო კოოპერაციაში

23 ივნისს თბილისში გაიხსნება ამ.-კავკასიის სატრანსპორტო - სამომხმარებლო საზოგადოების („ზაკტპო“-ს) რწმუნებულთა მორიგი წლიური ყრილობა.

წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა ყრილობისათვის უკვე დამთავრებულია. მთელ ა.-კ. რკინის გზაზე ჩატარებულია საანგარიშო - საარჩევნო კამპანია.

საანგარიშო - საარჩევნო კამპანია წელს სატრანსპორტო კოოპერაციაში განსაკუთრებული სიცხოველით ჩატარდა. კამპანიის ჩატარებაში, გარდა ინსტრუქტორებისა, უშუალო მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოების გამგეობის წევრები და პასუხისმგებელი მუშაკები, რომლებიც გამოდიოდნენ საანგარიშო კრებებზე და ანგარიშს აბარებდნენ წევრებს.

წევრთა მასაც დიდის ინტერესით ხვდებოდა თავის კოოპერატიულ ორგანიზაციის ანგარიშებს და აქტიურ მონაწილეობას იღებდა გამგეობის მიერ ჩატარებულ მუშაობის შეფასებაში, მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოსვლით და საქმიანი წინადადებების წამოყენებით. წევრების დასწრება კრებებზე აღწევდა 80, 90 და ზოგ შემთხვევებში სრულ ას პროცენტს.

საანგარიშო კრებებზე დამსწრენი მთავარ ყურადღებას აქცევდნენ დიფერენციალური პაის შემოღების საკითხს. ყველა კრებებზე ერთსულოვნად იწონებდნენ დიფერენციალური პაის შემოღებას.

დამსწრენი „ზაკტპო“-ს გამგეობას უსაყვედურებდნენ სასოფლ.-სამეურნეო პროდუქტების დამზადების მოუწესრიგებლობას და მოუწოდებდნენ მათი დამზადების გაძლიერებისაკენ.

გამგეობის საქმიანობა ყოველი კრების მიერ შეფასებულია დამაკმაყოფილებლად.

ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალური მეურნეობის მუშაკთა თათბირი

სპეციალისტების მოხსენებები

თათბირის მეშვიდე სხდომაზე მოხსენება გააკეთა **ინჟ. გ. ქურდიანმა,** რომელიც შეეხო რესპუბლიკის ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილების კეთილმოწყობის საკითხებს. მომხსენებელმა თათბირის წევრებს გააცნო მუშაობის ის წესი, რომელიც საჭიროა ქალაქების კეთილმოწყობისათვის. მან აღნიშნა, რომ ქალაქების ხელახალი დაგეგმვისას ადგილებმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ მიწის ზედაპირის რელიეფს, გაითვალისწინონ მზის სხივების და ქარის მიმართულება, გამოჰყონ მცენარეულობის მოსაშენებელი ადგილები და სხვ.

მერვე სხდომაზე ქალაქებში სანიტარული ტეხნიკის მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა **ინჟ. ლ. დიასამიძემ.** მომხსენებელმა აღნიშნა ქალაქებში სანიტარული პირობების დაცვის მნიშვნელობა სახალხო ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. მან განაცხადა, რომ ამ რამოდენიმე წლის წინათ თბილისში გავრცელდა ე. წ. ამებური დიზინტერია, რომლის გავრცელების მიზეზიც, ჩატარებული გამოკვლევის მიხედვით, აღმოჩენილ იქნა შემდეგნაირად: ორთაჭალის ბოსტნეულის ბაღებს მებაღეები რწყავდნენ მტკვრის წყალით. მტკვრის წყალი კი ქალაქში ცუდათ მოწყობილი კანალიზაციის გამო იწამლებოდა ყოველგვარი სიბინძურით და ამნაირათ მდინარეში გავრცელდა სხვადასხვა ბაცილები. მორწყვის შემდეგ ბაცილები გადადიოდენ მწვანილზე და ხილზე და ამნაირათ წარმოიშვა ავადმყოფობა. ასეთივე შემთხვევას ადგილი ჰქონდა ოდესაში და პარიზში

შემდეგ თათბირმა მოისმინა ამხ. **ა. ბერიძის** მოხსენება საქართველოში ხანძართა ბრძოლის საქმის მდგომარეობის შესახებ. მომხსენებელმა გამოაქვეყნა ცნობები ხანძრებთან ბრძოლის შედეგების შესახებ და მოუწოდა ადგილების წარმომადგენლებს ფართო ნიადაგზე დააყენონ ხანძართან ბრძოლა ადგილებზე, რაც საბოლოო ანგარიშით დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს სახალხო მეურნეობას.

მოხსენების შემდეგ თათბირის წევრებს უჩვენეს თბილისის მეხანძრეთა რაზმის ილეთები.

რკინის გზებზე

მიწის ჩამონგრევა ჭიათურის შტოზე

13 ივნისს ღამით ჭიათურის რაიონში განუწყვეტლივ მოდიოდა კოკისპირული წვიმა.

მთებიდან დაქანებულმა ნიაღვრებმა მრავალ ადგილას წალეკა რკინის გზის გასწვრივ მდებარე ადგილები.

ჭიათურა - სალიეთის შუა რკინის გზაზე ჩამოწვა მიწის ზვავი. ზვავის ჩამოწოლა მოხდა სწორედ იმ დროს, როდესაც ამ გადასარბენზე მიდიოდა სახალხო მატარებელი № 55. დაგორებული მიწის მასა დაეჯახა მატარებელს და ორი ვაგონი აივსო მიწითა და ღორღით.

ვაგონებში მყოფი მგზავრები არ დაშავებულან. ისინი გადასვეს დანარჩენ ვაგონებში.

ჭიათურიდან შემთხვევის ადგილზე გაგზავნეს დამხმარე მატარებელი მუშებით, რომელთაც ხაზი გასწმინდეს და მოძრაობა აღადგინეს.

მოძრაობა შტოზე შეწყვეტილი იყო ხუთი საათის განმავლობაში.

შემთხვევები მეორე კვარტალში

მიმდინარე სამეურნეო წლის მეორე კვარტალში ა.-კ. რკინის გზაზე ადგილი ჰქონდა 611 შემთხვევას. გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით შემთხვევების რიცხვი გაიზარდა 30-ით, მაგრამ ამ შემთხვევებისაგან გამოწვეული ზარალი თვალსაჩინოთ შემცირდა.

სტალინის სახელობის ქარხნის გამოკვლევა

სახელმწიფო ფინკონტროლის მთავარ სამმართველოს განყოფილება უახლოეს ხანში დაიწყებს სტალინის სახელობის ქარხნის რევიზიას.

გამოკვლეული იქნება წარმოების მდგომარეობა და ფინანსიურ - ეკონომიური შედეგები, რომლებიც მიიღო ქარხანამ ახალ მოწყობილობათა გამოყენების შემდეგ.

ძლიერი ქარი აღმოსავლეთ უბანზე

13 ივნისს, ა.-კ. რკინის გზის აღმოსავლეთ უბანზე ამოვარდა ძლიერი ქარი. ქარი იმდენად ძლიერად ქროდა, რომ ზოგიერთ სადგურებ შორის მიმავალი მატარებლები გაჩერდა.

ადგილი ჰქონდა მატარებლების ნაწილ-ნაწილად ჩაყვანას სადგურებში.

ამის გამო, ხსენებულ უბანზე სახალხო და საქონლის მატარებლები მიდიან დაგვიანებით.

ძარცვა - გლეჯა

სადგ. ბათომში, ნავთლუღში და ბალაჯარაში ადგილი აქვს ვაგონებიდან ავტომატიური მუხრუჭების რეზინის მკლავების ძარცვა - გლეჯას და გაფუჭებას. ეს საგრძნობლად აფერხებს მატარებლების შედგენას.

გზის გამგეობამ წინადადება მისცა გზის დამცველ რაზმს მიიღოს ზომები ამ ძარცვა-გლეჯის წინააღმდეგ.

სასამართლო

საწამლავი ფქვილში

ამბავი მოხდა გასული წლის აგვისტოში. ხეთის თემში (ზუგდიდის მაზრა).

ადგილობრივ მცხოვრებმა **ბაბი გაბუნიას ასულმა კობახიძემ** ისე შეიძულა თავისი დედამთილი **ნატალია** და მული **ოლღა,** რომ საჭმელიც კი არ ემეტებოდა მათთვის. მუდამდღე ეჩხუბებოდა, მუდამდღე სცემდა მათ.

დედამთილი და მული იძულებული გახდენ დასახლებულიყვნენ ცალკე, მეზობლად, ბაბის მათი მეზობლად ცხოვრებაც არ აძლევდა მოსვენებას. კარგს ხასიათზე იყო მხოლოდ იმ დღეს, როცა თვალითაც არ დაინახავდა მათ.

ძალიან უჭირდათ ცხოვრება ნატალიას და ოლღას. განიცდიდენ უკიდურეს სიღარიბეს. ერთ დღეს სულ ულუკმაპუროდ დარჩენ ქალები.

მინდორში თამაშობდა ბაბის ვაჟი, ნატალიას შვილის - შვილი.

— შვილო, მოდი აქ, ხომ იცი დედაშენი სად ინახავს ფქვილს. მას ნუ გააგებინებ და ერთი თეფში ფქვილი მომიტანე.... შემდეგ ისევ დაგიბრუნებ, — ეუბნება ბებია ბავშს.

ბავში გაიქცა. ნამუსი ვერ შეინახა და უთხრა დედას: „ბებიამ შემოგითვალა ერთი თეფში ფქვილი მასესხეო“.

ბაბის თავში გაუელვა ბოროტმა აზრმა. ეს აზრი ხშირად მოსულია მას თავში, მაგრამ ხელსაყრელი შემთხვევა არ ჰქონია განზრახვის სისრულეში მოსაყვანად.

ბოროტმა ქალმა აიღო თეფშით ფქვილი, აურია ფქვილში დარიშხანი და გაატანა ბავშს.

ქალებმა გააკეთეს ფაფა. მოუსხდნენ სუფრას. ჭამის დროს ერთს აუტყდა პირიდან ღებინება, მეორე გულწასული დაეცა ლოგინზე.

ამბავი გაიგეს მეზობლებმა, „მოგვწამლა ბაბიმ“, — ამის თქმა მოასწრო ოლღამ და სული დალია. მეზობლებმა ფაფა აჭამეს ძაღლს, შემდეგ კატას, ორივე მაშინვე დაიხოცა.

ნატალია სასწრაფოდ მიღებული ზომების წყალობით სიკვდილს გადაარჩინეს. გარდაცვალებულ ოლღას გვამი გადაგზავნილ იქნა თბილისში, სადაც განკვეთის დროს სხეულში აღმოაჩინეს დიდძალი დარიშხანა.

ბაბი კობახიძე გაასამართლა ხობის სახალხო სასამართლომ. ბრალდებულს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით სასტიკი იზოლიაციით.

შემწვარი ინდაური მოუნდა

პავლე კატაროვი დიდი ხანია თბილისის ბინებს აცალიერებს. ბევრი მოქალაქე ჰყავს გაუბედურებული.

უკანასკნელად რუსთაველის პროსპექტზე ჩაიარა კატაროვმა. ათვალიერებდა მაღაზიებს, აინტერესებდა, საიდან რისი გატაცება შეიძლებოდა.

ელბაქიძის დაღმართის დასაწყისში კატაროვი გაჩერდა მუშკოოპის მაღაზიის წინ და თვალი მიაპყრო ვეებერთელა შემწვარ ინდაურს შევიდა მაღაზიაში. სტაცა ხელი და გაიტაცა.

ნოქრებმა ასტეხეს ყვირილი. დაედევნენ ქურდს. კატაროვი გარბის, თან გლეჯს ინდაურის ხორცს და პირში იდებს.

გამოუდგნენ იქვე მიმავალი წითელარმიელები. ქურდმა დააგდო ინდაურის ნაწილი და გარბის, მაგრამ წინ დაუხვდნენ მოქალაქეები და დაიჭირეს.

პირველი უბნის სახალხო სასამართლომ ამხ. კაკაბაძის თავმჯდომარეობით კატაროვს, როგორც გაუსწორებელ ქურდს, მიუსაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა და სასჯელის მოხდის შემდეგ 3 წლით გადასახლება თბილისიდან.

რძის პროდუქტების დამზადება

ვაჭრობის სახ. კომისარიატის ცნობით, „ყველ-კარაქ კავშირს“ ჩატარებული აქვს კონტრაქტაცია 27.083 ფუთ თუშურ ყველზე, 7.000 ფუთ — შვეიცარულ ყველზე და 5.224 ფუთ კარაქზე. გარდა ამისა, „ყველ-კარაქ კავშირს“ შეუძლია დაამზადოს კიდევ 10.000 ფუთი თუშური ყველი.

ბორჩალოს სამაზრო აღმასკომს კონტრაქტაცია ჩატარებული აქვს 16.000 ფუთ თუშურ ყველზე; 4.00 ფუთ შვეიცარულ ყველზე და 500 ფუთ კარაქზე.

ახალქალაქის აღმასკომს — 10.000 ფუთ თუშურ ყველზე, 1.500 ფუთ შვეიცარულ ყველზე და 900 ფუთ კარაქზე.

ამრიგად კონტრაქტაციით ჩატარებულია სულ 53.085 ფუთ თუშურ ყველზე, 12.500 ფუთ შვეიცარულ ყველზე და 6.524 ფუთ კარაქზე.

ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულთა სამმართველომ საჭიროდ სცნო ჩატარებული იქნეს რძის პროდუქტების კონტრაქტაციის შემოწმება.

მთელი დამზადებული რძის პროდუქტები უნდა გადაეცეს „ზაკსოიუზ“-ს, რომელიც აღნიშნულ პროდუქტებს გაანაწილებს სამომხმარებლო ორგანიზაციებს შორის.

თუშური ყველი განაწილებული იქნება შემდეგნაირად: მუშკოოპს მიეცემა 38.000 ფუთი, სატრანსპორტო - სამომხმარებლო საზ. — 16.000 ფუთი; სამხედრო - სამომხმარებლო საზ. — 6.000, ცეკავშირს (ბათომისა და ჭიათურისთვის) — 3.000 ფუთი, ხოლო 5.000 ფუთი გადადებული იქნება რეზერვში. კარაქის მთელი რაოდენობა განაწილებული იქნება შემდეგნაირად: მუშკოოპს მიეცემა — 65 პროც. სატრანსპორტო - სამომხმარებლო საზ. — 25 პროც, სამხედრო - სამომხმარებლო საზ. — 10 პროცენტი.

ფეხბურთი

მორიგი კალენდარული შეჯიბრებები

კვირას, 16 ივნისს, გაიმართება შემდეგი კალენდარული შეჯიბრებები:

„დინამო“-ს სტადიონზე თამაშობენ: 11 საათზე პროგრესი 1-ლი და მშენებელთა მე-2 სარაიონო კომიტეტი; 1 საათზე — მშენებლები და განათლების მუშაკები (პოლიტეხნიკური ინსტიტუტი); 3 საათზე — ტრანსპორტელები მე-2 და მე-50 შრომის სკოლა.

ლენინის სახელობის სტადიონზე თამაშობენ: 8 საათზე, კომუნალური მუშაკების 1 გუნდი — რკინის გზის საფაბრიკო-საქარხნო სკოლის 1-ლი გუნდი; 1 საათზე საბჭოთა მუშაკების მეორე გუნდი —26 კომუნარის სახელობის რაიკომი

5 ნახ. საათზე თამაშობენ მელითონეების და ადგილობრივი ტრანსპორტის მუშაკების პირველი გუნდები.

ჭადრაკი

ალიოხინი პირველ ადგილზე

ნიუ-იორკი, 13 ივლისი. მსოფლიო ჩემპიონმა ალიოხინმა პირველი ადგილი დაიჭირა ჭადრაკის საერთაშორისო ტურნირში.

რადიო-გადაცემა

შაბათი, 15 ივნისი

დღეს, თბილისის რადიო-ცენტრი გადასცემს შემდეგ პროგრამას:

საღამოს 6 საათიდან — რადიო-გაზეთი —ქართულ და რუსულ ენებზე; საგლეხო კონცერტი; დროს შემოწმება და ამინდის ბიულეტენი; ტრანსლიაცია რუსთაველის თეატრიდან აზერბეიჯანის და სომხეთის მწერალთა დელეგაციების პატივსაცემათ გამართულ საზეიმო კრებისა, რომელიც შესდგება პარტიულ, პროფესიონალურ, საზოგადოებრივ და ყველა კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენლების მონაწილეობით; უკანასკნელი ამბები.

შემთხვევები

წყალში დაახრჩობა.

წყალდიდობის დროს, მდ. არაგვში ცხენით გადასვლის დროს მდინარემ გაიტაცა და დაახრჩო მართა ბადრიაშვილისა და 10 წლის დავით ელისბარაშვილი.

კაცის დაკარგვა

სოფელ გამენარიდან (ფშავეთი) წავიდა და უგზუ - უკვლოთ დაიკარგა მოქალაქე პავლე მამიაური (ქალთათვისშვილი). მნახველს სთხოვენ შეატყობინოს მაღაროს - კარის თემაღმასკომს (თბილისის მაზრა).

თავის მოწამვლა

გუშინწინ, ალექსანდრა ივანეს ასულ ხალამოვამ (მცხ. ლაზარეთის ქუჩაზე) მოიწამლა თავი. მოწამლული სასწრაფოდ გადაიგზავნა რკინიგზის საავადმყოფოში.

ტრამვაის ქვეშ

კახეთის მოედანზე № 45 სახლის მახლობლად ტრამვაის ვაგონმა, რომელსაც მართავდა ვატმანი ანდრია პავლესძე ზედგინიძე, გაიტანა 7 წლის ბავშვი ელენე დოხლაძე. ბავშვს ვაგონმა გადასჭრა ორივე ფეხი მუხლებს ქვევით. ბავშვი უგრძნობ მდგომარეობაში გადაგზავნეს 1-ლ საავადმყოფოში.

დაჭრა

ბარათაშვილის ქ. № 1 სახლის წინ ქრისტეფორე არტემიძე არხიმანდრიტოვმა დახით მძიმედ დასჭრა ნიკოლოზ კონსტანტინესძე საიჯანოვი, რომელიც გადაიგზავნა 1-ლ საავადმყოფოში. ბოროტმოქმედი შეიპყრეს.

გვამის პოვნა

საგარეჯოს რაიონში ე. წ. „ყოროლის“ ტყეში იპოვეს მამაკაცის გახრწნილი გვამი. ვინაობა გამოურკვეველია.

თელეთობის მსხვერპლი

სოფ. თელეთში საეკლესიო დღესასწაულ თელეთობაზე თბილისიდან გაემგზავრა ოჯახით ნიკო აპრიამოვი, რომელმაც თან წაიყვანა ცხვარი.

აპრიამოვი დაბინავდა ერთ-ერთ სახლში და შეუდგა დღესასწაულისათვის მზადებას.

დაკლულ ცხვრის სახლში გატყავების დროს ჩავარდა იატაკი და თან ჩაიტანა აპრიამოვი, რომელიც ნახევარი საათის შემდეგ გარდაიცვალა.

უბედური შემთხვევა

რკინის გზის გადაღმა, პეტრე-პავლეს ეკლესიის მახლობლად ფურგუნმა, რომელსაც მართავდა ვართან ათაბეგიანი, გადაუარა 11 წლის ბავშვს ვასილ ისიდორესძე სხირტლაძეს, რომელიც იქვე გარდაიცვალა. ათაბეგიანი შეიპყრეს.

შეპყრობა

შეიპყრეს აიკ ეფრემისძე სარუხანიანი, რომელიც ცენტ. ბაზარში ყიდდა გორში დავით მარულაშვილისაგან მოპარულ ნივთებს. — ანეტა დვალიშვილის ბინაში (ნავთლუღის ქ. № 8) შეიპყრეს მამედ ქერიმოვი, რომელსაც უნდოდა გაექურდა აღნიშნული ბინა.

ქურდობა

იოსებ თვალაძის ბინიდან (იაბათის შესახვევი № 4) მოიპარეს 250 მ. ნივთები. — გაქურდეს სერგო ნუცუბიძის ბინა (დიღომის ქ. № 18).— პლეხ. სახელობის მუშათა კლუბის საპარიკმახეროდან მოიპარეს 150 მანეთის ნივთები. — გაქურდეს შალვა ჩხიკვიშვილის ბინა (წერეთლის ქ. № 39).

იურიდიული რჩევა-დახმარება

რკ. გზის მუშაკთა კავშირის წევრს № 25—01

კითხვა:

ვარ 55 წლის. ამასთანავე ვარ რკ. გზ. მუშაკთა კავშირის წევრი. მყავს ხუთი სული სარჩენი. ამათგან 2 სულ (სიდედრი 75 წ. და ობოლი ქალი 12—13 წლის) ცხოვრობს სოფელში. ვიღებ თვეში 100 მანეთამდე. სოფელში მოხუც სიდედრს და ბავშს აწერენ საგზაო ბეგარას.

გთხოვთ გვიპასუხოთ: აქვთ თუ არა უფლება—გაიყვანონ ბეგარაზე 75 წლის მოხუცი და 13 წლის ბავში და ამასთანავე—ვარ თუ არა ვალდებული მე პირადათ, როგორც 55 წლისამ გავაკეთო გზა და მევალება თუ არა გადავიხადო გზის გასაკეთებლად ქირა.

პასუხი:

(თქვენ, როგორც 55 წლის და სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურე, თავისუფალი ხართ საგზაო ბეგარისაგან. თქვენი სიდედრი და ობოლი გოგო თავისუფლდებიან [illegible] ბეგარისაგან, რადგან კანონით საგზაო ბეგარა ეკისრება მხოლოდ მამაკაცებს).

[illegible]

კითხვა:

ვმსახურობდი პირველ 7 წლედში დარაჯად. სრულიად უმიზეზოდ, კერძო ინტერესით ვიქენი მოხსნილი გაჭირვებული, ქვრივი ქალი [illegible]დან. ადგილობრივმა ორგანოებმა არ მომაქციეს ყურადღება. გთხოვთ გვიპასუხოთ, ვის უნდა მივმართო.

პასუხი:

თუ თქვენ სამუშაოდან მოხსნის დღიდან არ გასულა ჯერ ექვსი თვე, შეგიძლიათ მიმართოთ საჩივრით შრომის სასამართლოს. თუ იმ ადგილას, სადაც თქვენ სცხოვრობთ, არ არის შრომის სასამართლო, უნდა მიმართოთ სახალხო სასამართლოს.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 15 ივნისს, დღის 12 საათზე ცეკას აგიტპროპბეჭდვითი განყოფილებაში მოწვეულია თათბირი, რომელსაც დაუგვიანებლივ უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: გოგინაშვილი, დ. კანდელაკი, ა. მიქაძე, დუდუჩავა, ე. ბედია და დემეტრაძე (კ. კ ცეკა).

—:—

ხ. ა. ლ. კ. კ: თბილისის კომიტეტი აცხადებს, რომ დღეს, 15 ივნისს, საღამოს სრულ 6 საათზე შესდგება მიმღები კომისიის სხდომა.

სხდომას დაუგვიანებლივ უნდა დაესწრონ მიმღები კომისიის ყველა წევრები და ის ამხანაგები, რომლებიც წარდგენილი არიან კომკავშირის კანდიდატებათ დასამტკიცებლათ.

—:—

დღეს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილებაში (აღმასკომის ქუჩა № 7) შესდგება უჯრედთა ინფორმატორების და რაიკომის ინფორმატორების გაერთიანებული თათბირი.

დასწრება სავალდებულოა ყველა ინფორმატორებისათვის.

—:—

საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საალრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. **ისმაილ ბაბაევს** და **ანასტასია შაფგურიანს** სამი დღის განმავლობაში გამოცხადნენ ამხ. **კუზმასთან** (ოთახი № 66).

საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი სთხოვს ამხ. ხელაძეს გამოცხადდეს ამხ. აჯეტისოვთან (ოთახი № 67).

—:—

აგიტპროპმუშაკის ცენტრალური კაბინეტის ბიბლიოთეკა ზაფხულის პერიოდში დაკეტილია ყოველ კვირაობით. კვირის მაგიერ ბიბლიოთეკა გაიღება პარასკეობით დილის 9 საათიდან 2 საათამდე.

—:—

დღეს, 15 ივნისს, ნაშუადღევის 4 საათისათვის, რკინის გზის მე-8 შრომის სკოლაში მოწვეულია 1-ლი რაიონის მასწავლებელთა უჯრედის ღია კრება. დღის წესრიგშია — პარტიის წევრთა და კანდიდატთა წმენდა.

—:—

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგროფაკის 1-ლი და მე-2 კურსის კომკავშირის უჯრედის (№ 5) ბიურო აცხადებს ყველა წევრ-კანდიდატთა საყურადღებოდ, რომ რეგისტრაციის უკანასკნელ ვადათ დანიშნულია 16 ივნისი. რეგისტრაციაში გატარება სავალდებულოა, როგორც სოფელში მიმავალთათვის, ისე ყველა დანარჩენებისათვის.

—:—

სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის მექანიკური ფაკულტეტის ა. ლ. კ. კ. უჯრედის სხდომა მოწვეულია დღეს, 15 ივნისს, ნაშუადღევის 3 საათისათვის.

წევრებისა და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

გაუბედურებული ქმარი სიმონ, შვილები: ზურაბ და გივი შენგელიები აუწყებენ ნაცნობ-ნათესავეთ უძვირფასესი

მაშიკო ცაგარეიშვილი-შენგელიას

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება დღეს, 5 საათზე, ბინიდან გუნიბის ქ. მე-2 ჩიხი № 4, ვერის ახალ სასაფლაოზე. 2235

გულმოკლული დები: ეფროსიმე, ანეტა, ლიდა და ნადია, სიძეები ალექსანდრე შენგელია, კოწია შანიძე, კოწია გოგიაშვილი აუწყებენ ნაცნობ-ნათესავეთ

მაშიკო ცაგარეიშვილი-შენგელიას

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 5 საათზე, გუნიბის ქ. მე-2 ჩიხი, № 4. 2235

თბილისის აღმასკომის სამიწადმოქმედო განყოფილების თანამშრომელნი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ძვირფას თანამოსამსახურის მიწადმომწყობ სიმონ შენგელიას მეუღლის

მარიამის

უდროოდ გარდაცვალების გამო. 2237

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე დარია, და შვილი მიხა ჯორჯიაშვილი მეუღლე ოლღათი, სიძეები: დიმიტრი გორდაძე და ეპი კულულაშვილი მეუღლებით ბარბარე და ელენეთი აუწყებენ საზოგადოებას მათთვის დაუვიწყარ

პავლე ჯორჯიაშვილის

(არსენ ჯორჯიაშვილის მამის)

გარდაცვალებას. დაკრძალვა, შაბათს. ივნისის 15 სოფ. დიდ-ენაგეთში (ბოჯვი) თბილისის მაზრა.

დამწუხრებულნი მეუღლე სალომე, შვილები იოსებ, შალიკო და ნინა ბაახიები; ქეთევან და ისიდორე კუპრეიშვილები იუწყებიან მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

გიორგი ივანეს-ძე ბაახიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 16 ივნისს, 3 საათზე მარნის თემის სოფელ გაუწყენარში. 2227

დამწუხრებულნი მეუღლე იულია, დედა მარიამი, ძმა ვასილი და შვილი თამრიკო იუწყებიან მათთვის დაუვიწყარ

დავით ოსეს-ძე მათიაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება ქალაქის პირველ საავადმყოფოდან 15 ივნისს, 4 საათზე. პლეხანოვის პრ. 44). დაკრძალვა 16 ივნისს ნაშუადღევის 1 საათზე. 2234

ბებია ივდითი, ბიძა გერვასი, ბიცოლა ნინა გოგოლაძეები თავიანთ პატარა ნაირათი მწუხარებით დასტირიან მათთვის საყვარელ

პაწია ყონიკოს (კიკალიას)

უდროოდ დაკარგვას 2233

კვირას, 16 ივნისს, დღის 1 საათზე, კუკიის სასაფლაოზე, გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

სიმონ დავითის-ძე ლაღიძის

ხსოვნის აღსანიშნავათ; რასაც აუწყებენ საზოგადოებას მეუღლე სოფიო შვილებით და სიძეებით, მამა დავითი, და, ძმები და ოძლები. 2228

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები მატრონა და კონსტანტინე, და ნინა და ძმა ნიკოლოზ სანოევები იუწყებიან, რომ ა. წ. ივნისის 16-ს საღამოს 6 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მათი დაუვიწყარი

თამრიკოს

ხსოვნის აღსანიშნავად. 2238

სახელმწიფო კინოები

საზაფხულო აპოლო — უცხოეთის ახალი ფილმი მწვანე შესახვევი დადგმა რიხარდ ოსვალდის

საზაფხულო ეთერი — მსოფლიო ფილმი დიდი ქალაქის სიმფონია

საზაფხულო პალასი — პატი და პატაშონი ყველაზე მხიარულ კომედიაში ძალა და სილამაზე

მინიონი — სოლნცევა და მინდლინი სურათში გულუბრყვილო მკერავი

აპოლო / სოლეი — მხატვრული ფილმი ამბოხება დ. ფურმანოვის მოთხრობის მიხედვით

მალე 2 ჯავშნოსანი და რიაზანის დედაკაცები

საზაფხულო კინო-თეატრი
ეთერი
(სახელმწიფო ოპერის ბაღში)
დღეიდან
უცხოეთის მსოფლიო ფილმი
დიდი ქალაქის სიმფონია
(ბერლინი)
რეჟისორ რუტმანის დადგმა
დიდი ქალაქის სიმფონია მოსკოვში კინო-თეატრ არსში მიდიოდა 4 თვის განმავლობაში

შაბათს 15 ივნისს
სახელმწიფო ბაღის გახსნა (ყოფ. არტო, პლეხანოვის პრ. 105)
ესტრადზე—ცნობილი იუ ორისტი სატირიკოსი ვ. აფონინი
ახალი ქორეო-დადგმები მოსკოვის ანსამბლისა „ცეკვის ხელოვნება“
ვერა მაიას
იუმორი და სატირა: ნ. ალექსი-მესხიშვილი, მ. აფხაიძე, ლ. კავსაძე.
სამხედრო ორკესტრი ს. ცხომელიძის ხელმძღვან.
თეატრში კინო. ბაღში მაზხალები კოზლოვსკის ხელმძღვანელობით
კონფერანსიე ი. ვოლსკი. როიალთან ვ. შავერზაშვილი
დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე

სახ. საკონცერტო ბიურო
სრულიად საქართველოს მომღერალ გუნდების პირველი
ოლიმპიადა ს. ორჯონიკიძის სახ. კლუბში 28, 29, 30/VI.
პ/კავშ. წევრთათვის ბილეთი 25 კაპ.
ბილეთები იყიდება სახ. ოპერის, სახ. ბაღის (ყოფ. არტო) და მუშათა ზოლის სალაროებში.
დაწვრილებით აფიშებში. 2—1 ნ. 2862

შორაპნის ჯანგანყოფილება
იწვევს ექიმს
თავისუფალ ადგილებზე, როგორც ჭიათურის სამრეწველო რაიონში, ისე მაზრის სხვა ფარგლებში. ხელფასი 150—200 მანეთამდე. პირობების გაგება შეიძლება ქალ. ზესტაფონი, ჯანმრთელობის განყოფილება.
2145 3—1

მაქვს სამი ოთახი სივრცით 93 მეტრი
19 თებერვლის ქ. № 3 მე-2 სართულში მინდა
გადავცვალო ორ-სამ 60—70 მეტრის სივრციან ოთახზე, მდებარე I, II ან III სამილიციო რაიონში.
ნახვა შეიძლება ნაშუადღევის 3—6 საათამდე
14—13 სერგო ქავთარაძე

ექიმი — ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს
(ქალებს და ბავშვებს)
საღამოს 5—7 საათამდე. მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს
ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოე“-ს), პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8.

ექიმი
ა. დ. პეპელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9 —12. საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67. ნ. 20 25—1

ექიმი ოდონტოლოგი
აპოლონ პავლეს ძე
ურუშაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 8 ნახ. საათიდან 12 საათამდე.
2014—13—1

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა
მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 25—1

ექ. დ. ლ. თევზაძე
ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოშლილობანი ხმის და მეტყველებისა
ქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა
ჰონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა)
მიღება: საღამოს 5—7 საათ გარდა კვირა დღეებისა.
ტელ. №—2573 25—6 124-50

ექიმი
გ. გ. ფხალაძე
სიფილისი, ხუხუნატი (მისგართულებანი) და კანის სნეულებანი
მიღება: დილის 7—7 ნახ. საათ. / საღამ. 6—7 საათ. ქალები, 7—9 საათ. კაცები
მარტის ქ. (ყ. ბოგოსლოვის) № 6, (გადასახვევი ოლღას ქუჩიდან აფთიაქთან).
25—1

ანა ეპსილის ასული
მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და ტანის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტროაპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 25

ექიმი
მ. გ. შახნაზაროვი
სპეციალურად
სიფილისი, „914“ შეხაპუნება, ტრიპერი მწვავე და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი
ავადმყოფების მიღება ნაშუადღევის 4-დან 8 საათამდე. ქალების 4—5 საათამდე. ვასერის ქ. (ყოფ. კრასნოგორის) № 33 (ყოფ. თუმანოვის ქუჩ. კუთხე). 25—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.
ტელ. 10—14 412 25—1

ლოგოპედი
ა. ა. პაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26—01.

ქ. ქუთაისში
ექიმი
დ. ა. ჩიჩელაშვილი
იღებს სპეციალურად ფილტვების ავადმყოფებს
დილის 8—12 საათამდე. ჰაჯაავაძის ქუჩა № 4 ცეცხლის მქრობელ რაზმის გვერდით. 25—14

პროფ. გრ. გ. მუხაძე
თბილისიდან წასულია და დაბრუნდება 20 ივნისს. 13—1

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე სქესობრივ, ვენერიულ ავადმყოფობას, სიფილისს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე, ტრიპერი, სიფილისი, ბუასილი, სიმსივნე) ავადმყოფების მიღება დილის 8-დან შუადღის 12 საათამდე და საღ. 5-დან 8 საათამდე. ქალების მიღება დღის 11-დან 12 საათამდე. და საღამოს 7-დან 8 საათამდე. 13—1

ექიმი
ს. ი. ანდრეევისა
დაბრუნდა და ანაახლა ავადმყოფების მიღება სპეციალურად ძვლ ების, ჯ. რკვლების, ტუბერკულოზის მკურნალობა
მიღება 5—7 საათამდე. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის) № 29 ტელეფონი—11—78.

დაკარგვა: ზაკტპოს საწევრო წიგნაკი № 4300 ვალერიან ს მონის-ძე [illegible]ს სახელზე, ჩ. გ. 223

მათემატიკის
მასწავლებელი
ივ. მაჩაიძე
ამზადებს მათემატიკაში
(არითმეტ., ალგებ., გეომ ტ., ტრიგონ.)
და ყველა საგნებში შვიდწლედის ყველა ჯგუფ., მუშფაკ., სპეც. ტეხნიკ. (ინდუსტ. ქიმ. და რკინისგზ.) მე 9 და მე-10 ჯგ. შესასვლელ საკონკურსო გამოცდებისათვის და ასწორებს სუსტსა და ჩამორჩენილ მოწ-ფეებს.
შესავალი პლეხანოვის ქ. № 25 ან ჩერნიშევის ქუჩ. № 5. 9—12 საათ 4—6 საათ.

დაკარგვა: ერთი ათას მანეთიანი თამასუქი ხელმოწერილი სერაპიონ და სერგო ცერცვაძეების მიერ, ჩ. გ. ნ. 2861

დაკარგვა 4 სულის პურის მისაღები წიგნაკი გაცემული ქუთაისის პურის წიგნაკების შემომღებ კომისიის მიერ მელქო ივანეს ძე ამბროლაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 2861

დაკარგვა: სამხედრო საალრიცხვო წიგნაკი გაცემული მე-6 ქართულ მსროლელ ტერიტორიული პოლკის მიერ, სამსონ იაგორის-ძე ავაქოვის სახელზე ჩ. გ. 2226

დაკარგვა: პირადობის მოწმობა № 392 ძეგვის თემ-აღმასკომიდან გაცემული, „ძეგვი-კარი“-ს წევრობის მოწმობა № 20 სანდრო ივანეს-ძე ქიტუაშვილის სახელზე, ჩ. გ 2231

დაკარგვა: კომკავშირის მანდატი № 80774 და პირადობის მოწმობა გაცემული შორაპნის მაზრკომის მიერ, მოწმობა № 45 გაცემული მიხ. კახიანის სახელობის მუშაკთა მიერ, იარაღის ტარების მოწმობა, გაცემული ს.პ.ს. მიერ, სოციალური მდგომარეობის მოწმობა, გაცემული შორაპნის მაზრის მილიციის სამმართველოს მიერ რუბენ მიხეილის-ძე იაკობაშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 2861

დაკარგვა: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 10007 ოლღა ბაქრაძის სახელზე, ჩ. გ. 2232

თბილისის შრომის ბირჟასთან არსებული კოლექტივთა გაერთიანების სამმართველო აცხადებს, რომ ფასდადების მოწმობა 19 მაისს 1928 წ. № 10313, ალავერდის კოოპერატივ „გორნიაკ“-ის სახელზე **დაკარგულია** ჩაითვალოს გაუქმებულად

მმართველი ამირბეგოვი
საქმეთა მმართველი ბუთხუზი
222

ტირაჟი—39.586

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68

მთავლიტი № 904.